პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ივლისი ოთხშაბათი 2010

№ 175 (13 163) ფასი 60 თეთრი



# ივლისის ნიშნულები

## საქართველოს ნაკრები თბილისის ტურნირის შემდეგ

» გვერდი 12

# დიეგო მოხსნეს



**დიეგო მარადონა** არგენტინის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. მსოფლიო ფეხბურთის კოლორიტს ერთობ მძიმე შეხვედრა ჰქონდა **ხულიო გრონდონასთან**, რასაც შემდეგ მოჰყვა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც დიეგოს კარისკენ მიუთითა...

გრონდონასთან შეხვედრამდე მარადონა მზად იყო, გაეგრძელებინა მუშაობა, მაგრამ არგენტინული ფეხბურთის ბოსმა მწვრთნელის მოთხოვნა (სამწვრთნელო შტაბის მხოლოდ საკუთარი სურვილით დაკომპლექტება) არ დააკმაყოფილა. გრონდონას სხვა გეგმები აქვს - ის უკვე ეძებს მარადონას შემცვლელს...

„ოლეს" ინფორმაციით, ირლანდიასთან 11 აგვისტოს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის „ალბისელესტეს" დროებითი მწვრთნელის სტატუსით **სერხიო ბატისტა** (20-წლამდელთა თავკაცი) მოამზადებს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, არგენტინის ნაკრებს ახალი მწვრთნელი უხლოეს პერიოდში დაუნიშნონ...

უკვე ლაპარაკია კონკრეტულ პერსონებზე. ერთ-ერთი მათგანია **ალეხანდრო საბელია**, რომელმაც გასულ წელს „ესტუდიანტესს" „კოპა ლიბერტადორესი" მოაგებინა.

პოტენციური კანდიდატია **მიგელ ანხელ რუსოც** („რასინგი"). აბა, ისე როგორ იქნება, **კარლოს ბიანკის** კანდიდატურაც არ განიხილებოდეს. 61 წლის სპეციალისტმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია „ველეს სარსფილდსა" და „ბოკა ხუნიორსში", თუმცა მისი დანიშვნის შანსი მცირეა - ბიანკი გრონდონასთან თბილი ურთიერთობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის...

რა თქმა უნდა, სათვალავშია **დიეგო სიმეონეც**, ახლო წარსულში მადრიდის „ატლეტიკოს", „ინტერისა" და „ლაციოს" შესანიშნავი ნახევარმცველი, კაცი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში 106 მატჩი (11 გოლი) ჩაატარა და მოკლე პერიოდში სამწვრთნელო ასპარეზზეც მიაღწია ხელშესახებ წარმატებებს. ამ გაზაფხულზე ის „სან ლორენსოდან" გაათავისუფლეს და ჯერჯერობით, უმუშევარია.

დასახელდა **რამონ დიასის** კანდიდატურაც. ცხადია, შანსი აქვს დროებით დანიშნულ ბატისტასაც, რომელსაც ზურგს უმაგრებს 2008 წლის ოლიმპიადის ოქრო. სხვათა შორის, გაიხსენეს „ალბისელესტეს" ყოფილი დამრიგებელი **მარსელო ბიელსაც**, ვისაც გასულ მუნდიალზე არცთუ ურიგო გუნდი ჰყავდა ჩილეს ნაკრების სახით...

მოკლედ, ინტრიგა და სალაპარაკო უხვადაა. ჩვენც მივყვეთ მოვლენათა განვითარებას...

**ლევან ჯანეზაშვილი**

# მჭედლიძე ემპოლიში დაიწყებს

» გვერდი 2



# რეალი და ინტერი მაიკონზე შეთანხმდნენ

» გვერდი 6



# რაღა არ ხდება ამქვეყნად...

## მარადონა კოკოითის შეხვდა

დიეგო მარადონა, შესაძლოა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩავიდეს. ამის შესახებ ცხინვალის მედია იუწყება. ცხინვალის რეჟიმის ლიდერი მარადონას ვენესუელაში ყოფნის დროს შეხვდა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიიწვია. ოსური პრესის ინფორმაციით, მარადონამ მიწვევაზე თანხმობა განაცხადა.

*ინტერპრესნიუსი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

# გადაწყვეტილია: მჭედლიძე ემპოლიში დაიწყებს

## რატომ უარყო ლევანმა ჰოფენჰაიმი?


ლევან მჭედლიძე

როგორც ჩანს, 20 წლის თავდამსხმელ **ლევან მჭედლიძის** უთამაშებლობის საგა დასრულდა. გასული წლის მიწურულს, საახალწლო-საშობაო არდადეგების გამო თბილისში ჩამოსული ლევან მჭედლიძე „პალერმოში" აღარ დაბრუნებულა. მიზეზად კი პალერმოელთა გუნდის მთავარ მწვრთნელ **დელიო როსის** მხრიდან უნდობლობა და სათამაშო პრაქტიკის არქონა დაასახელა. რა თქმა უნდა, ძნელია ფეხბურთელი გაამართლო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დელიო როსი გამუდმებით ჰპირდებოდა ჩვენებურს გათამაშებო, მაგრამ გასული სეზონის პირველ ნახევარში მჭედლიძემ „პალერმოში" მხოლოდ ორ შეხვედრაში ითამაშა, ორივეჯერ შეცვლაზეც და ჯამში 31 წუთი დაყო მოედანზე.

ზამთრის პაუზისას ლევანს არაერთი მთხოვნელი ჰყავდა. ბოლოს „ნაპოლიდან" მიიღო რეალური შეთავაზება, მაგრამ... კონტრაქტი „ემპოლის" ეკუთვნის, გასული სეზონის დამთავრებამდე „პალერმოში" იყო განათხოვრებული და სიცილიელებმა ჩვენებური „ნაპოლიში" არ გაუშვეს. ლევანმაც მოცდა ამჯობინა, მაისის ბოლოს „პალერმოსთან" მისი საიჯარო კონტრაქტის ვადაც ამოიწურა. მჭედლიძე კვლავაც „ემპოლის" ეკუთნის. სერია B-ში მოასპარეზე ემპოლური კლუბის მესვეურებმა გადაწყვიტეს, ლევან მჭედლიძე მათ გუნდს დაეხმაროს. თავდაპირველად ლევანი უარობდა, სხვა კლუბში გადასვლის 2-3 რეალური ვარიანტიც ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო - არჩია „ემპოლიში" დაბრუნდეს და ახალი სეზონის სერია B-ში დაიწყოს. ჩვენ მიერ მოპოვებული ეს ინფორმაცია ლევანის ძმამ, სატრანსფერო სააგენტოში მომუშავე **გიორგი მჭედლიძემაც** დაგვიდასტურა.

„დიახ, მართალია, ლევანმა ოჯახის წევრებთან ერთად მიიღო ეს გადაწყვეტილება. ამ დღეებში ჩემი ძმა იტალიაში გაემგზავრება და „ემპოლისთან" ერთად დაიწყებს მზადებას. მერწმუნეთ, ალალად გეუბნებით, გერმანული „ჰოფენჰაიმიდან" ლევანმა რეალური წინადადება მიიღო. ამ კლუბის მიწვევა თბილისში, გერმანიის საკონსულოშია. იყო „ვერდერის" ვარიანტიც, „შალკესთანაც" შეიძლებოდა მოლაპარაკების დაწყება, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე „ემპოლიში" დაბრუნება უკეთესი ვარიანტია. სხვა თუ არაფერი, უკვე 6 თვეზე მეტია, რაც ლევანი უკლუბოდ არის. კარგა ხანია, სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. შესაბამისად, უმჯობესია, „ემპოლიში" მოემზადოს, ფორმა აღიდგინოს და უკეთეს გუნდში გადასვლაზე მერე იზრუნებს. „ემპოლიში" თამაშით, იმედია, ლევანით ნაკრების მწვრთნელები კვლავ დაინტერესდებიან", - აღნიშნა გიორგი მჭედლიძემ „ლელოსთან" საუბარში.

იტალიურმა ვებგვერდების tuttomercatoweb.com-ისა და sport.virgilio.it-ის მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანხმად, ლევან მჭედლიძით გერმანული „ჰოფენჰაიმი" ნამდვილად არის დაინტერესებული. ამ წყაროების ცნობით, ქართველი იტალიურ გუნდს შაბათს, 31 ივლისს, შეუერთდება.

სერია B-ს გასულ სეზონში „ემპოლიმ" მე-10 ადგილი დაიკავა. **სალვატორე კამპილონოს** გუნდი ორიოდე დღის წინ შეუდგა მზადებას. კამპილონო მჭედლიძეს ელის. მისი გუნდის დუბლებში უკვე არის ერთი ქართველი თავდამსხმელი **ირაკლი შეყილაძე**. 20 წლის ლევან მჭედლიძე, ვინც 2007 წლიდანაა ეროვნულ ნაკრებში, სადაც დღემდე 12 მატჩი ითამაშა და 1 გოლი გაიტანა. კარგა ხნის უთამაშებლობის მიუხედავად, 1,5 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

# მერაბ კოჭლაშვილი შოკიდან გამოვდივართ!

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში შინ ჩეხურ „ბანიკთან" 0:6 განადგურებას „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გელა გომელაურის წასვლა მოჰყვა - ოფიციალური ინფორმაციით, მან თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.

მის ნაცვლად ვეტერინარების მთავარ მწვრთნელად მერაბ კოჭლაშვილი იმუშავებს, რომელსაც კლუბში არაერთი წელიწადი გაუტარებია და ამ თანამდებობაზეც ბევრჯერ უმუშავია. კოჭლაშვილს გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობასა და სამომავლო მიზნებზე ვესაუბრეთ. თავდაპირველად კი მას „ბანიკთან" სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაზე ვკითხეთ.

**- ოფიციალურად, „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი გასულ სეზონშიც თქვენ იყავით, გომელაურის გარეშე კი გუნდს „ბანიკთან" განმეორებით შეხვედრაში უხელმძღვანელეთ. როგორ წარიმართა მატჩი ჩეხეთში?**


მერაბ კოჭლაშვილი

- შევეცადეთ, მეტოქისთვის უფრო დიდი წინააღმდეგობა გაგვეწია, რაც მოვახერხეთ კიდეც. „ბანიკს" სტუმრად უფრო მჭიდროდ ვეთამაშეთ და მოწინააღმდეგეს სათამაშო სივრცეები შევუზღუდეთ. თუმცა აქცენტი ყრუ დაცვაზე სულაც არ გაგვიკეთებია და როცა საშუალება გვეძლეოდა, ჩვენც ვუტევდით. საგოლე შანსები ჩვენც გვქონდა და ჩეხებსაც, მაგრამ გამარჯვებასთან ჩვენ უფრო ახლოს ვიყავით. რასაკვირველია, 0:6-ის შემდეგ ეს ფრე ჩვენთვის დიდი ვერაფერი შელავათია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რომ იმ შოკის შემდეგ ბიჭები გონს მოვიდნენ, საკუთარი შესაძლებლობებისა ირწმუნეს და ქართულ საკლუბო ფეხბურთს უეფას რეიტინგში მნიშვნელოვანი ქულა მოუტანეს. იმ მძიმე მარცხის შემდეგ მობილიზება და მაღალ დონეზე თამაში სულაც არ იყო ადვილი, ამიტომაც ბიჭებს თავდადებისთვის დიდ მადლობას ვუხდი.

**- დღეისთვის გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა როგორია?**

- ნორმალური. „ვიტ ჯორჯია" შოკიდან გამოდის და სულ მალე იდეალური განწყობა იქნება. ბუნებრივია, ასეთი მწარე მარცხის დავიწყება იოლი არაა, მაგრამ ვალდებულნი ვართ, გონს დროულად მოვეგოთ და ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ. „ბანიკთან" განმეორებითმა მატჩმა დამარწმუნა, რომ ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. უბრალოდ, შემადგენლობის ასე ერთი ხელის მოსმით შეცვლა ძალიან რთულია და ახალგაზრდა ფეხბურთელებს წასულების სრულფასოვნად შესაცვლელად გარკვეული დრო სჭირდებათ.

**- რამდენად პერსპექტიულები არიან ის ფეხბურთელები, რომლებიც „ვიტ ჯორჯიას" მთავარ გუნდში ახლა იმკვიდრებენ თავს?**

- მათ კარგი მომავალი აქვთ, ამ ბიჭების საფეხბურთო შესაძლებლობებში გულშემატკივარი ახალი სეზონის მსვლელობისას აუცილებლად დარწმუნდება. როგორც უკვე ვთქვი, ისინი გარკვეული დროის შემდეგ შეძლებენ თავიანთი მონაცემების გამოვლენას, და ამას ძალიან დიდი დრო ნამდვილად არ დასჭირდება.

**- მომავალ სეზონს ამჟამინდელი შემადგენლობით დაიწყებთ თუ კიდევ არის მოსალოდნელი ვინმეს წასვლა?**

- ახალ სეზონს ზუსტად ის კონტინგენტი დაიწყებს, რომლითაც ევროპის ლიგაზე ვიასპარეზეთ. წასვლასაც აღარავინ აპირებს და არც არავინ დაგვემატება.

**- როგორ მიმდინარეობს დასკვნითი შეკრება?**

- ყველაფერი ნორმალურადაა. როგორც იცით, „ავაზას" ბაზაზე ვვარჯიშობთ. გუნდის მზადების დონით კმაყოფილი ვარ, მნიშვნელოვანია, რომ ეტაპობრივად ვაუმჯობესებთ ფეხბურთელთა ფიზიკურ კონდიციებს. მოსამზადებელ პროცესში გარკვეული კორექტივებიც შევიტანეთ. თავისი დადებითი როლი უკრაინულმა შეკრებამაც ითამაშა და თბილისშიც ნაყოფიერად ვმუშაობთ. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და თანადგომისთვის მადლობას გადავუხდი „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძეს, რომელიც გუნდის სრულყოფილად მომზადებისთვის ყველაფერს აკეთებს.

**- „ვიტ ჯორჯიას" სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები კიდევ ხომ არ განხორციელებულა?**

- მთავარ გუნდში ჩემთან ერთად იმუშავებს ზურაბ ბერიძე, რომელთან ერთადაც ყოველთვის ნაყოფიერად ვშრომობდი. ვიმედოვნებ, ერთობლივი ძალებით „ვიტ ჯორჯიას" შედეგიანად ავათამაშებთ.

**- როგორც ცნობილია, 30 ივლისს ამხანაგურად აზერბაიჯანულ „თურანს" ეთამაშებით. ამის გარდა, კიდევ ხომ არ გეგმავთ საკონტროლო მატჩს?**

- ხვალ (ესე იგი, დღეს - რედ) საჩხერის „ჩიხურას" შევხვდებით. სეზონის განახლებამდე სულ ამ ორ თამაშს ჩავატარებთ. სეზონს 8 აგვისტოს, რუსთავის „ოლიმპთან" მატჩით ვხვდებით და იქამდე ორი თამაში სავსებით საკმარისია.

**- ახალ სეზონში გუნდის მიზანი რა იქნება?**

- იმის მიუხედავად, რომ ჩვენი შემადგენლობა საგრძნობლად გაახალგაზრდავდა, მაინც შეგვწევს მაღალი ამოცანებისთვის ბრძოლის ძალა. ასე რომ, ჩვენი მიზანი კვლავაც ევროთასების საგზურია - არა აქვს მნიშვნელობა, ამას ეროვნულ ჩემპიონატში მივაღწევთ, თუ თასის გათამაშების მეშვეობით. დარწმუნებული ვარ, რომ „ვიტ ჯორჯიას" ახალ სეზონშიც კონკურენტუნარიანი გუნდი ეყოლება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროპის ლიგა

კარპატი-ზესტაფონი

# ლვოვში ბენაშვილის გარეშე

## კარპატის მცველს ქომაგების ეიმედება

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონი" პირველ მატჩს ლვოვის „კარპატისთან" სტუმრად გამართავს. იმერლები დასავლეთ უკრაინაში ჩარტერული ავიარეისით გუშინ დილის 11 საათზე გაემგზავრნენ, ნაშუადღევს ლვოვის აეროპორტში დაეშვნენ და ქალაქის გარეუბან ვინიკის სასტუმრო „სვიატოსლავს" მიაშურეს. საღამოს, იქვე, მარკევიჩის სახელობის სტადიონზე მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** გუნდი მსუბუქად ავარჯიშა. „ზესტაფონი" ლვოვში 20 ფეხბურთელით უნდა გამგზავრებულიყო... სამწუხაროდ, დანაკლისს ვერ ასცდა. გამგზავრების წინა დღეს საგურამოში გამართულ ვარჯიშზე მარჯვენა ნახევარმცველი **ალექსი ბენაშვილი** დაშავდა. საექიმო შტაბთან კონსულტაციის შედეგად გადაწყდა, რომ იგი გუნდს ლვოვში ვერ გაჰყვებოდა.

ბენაშვილი სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელია, საინტერესოა, ვინ შეცვლის მას. მარჯვენა ფრთაზე ზესტაფონელთა ახალწვეულ **კახა ალადაშვილსა** და **მამუკა კობახიძეს** შეუძლიათ თამაში. სხვათა შორის, „დუკლასთან" სლოვაკეთში გამართულ საპასუხო შეხვედრაში ალადაშვილმა სწორედ ბენაშვილი შეცვალა, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. თუმცა, გადამწყვეტი მწვრთნელის სიტყვაა.

უკრაინელებმა ჯერჯერობით არაფერი იციან მეტოქის დანაკლისის შესახებ. „კარპატის" ოფიციალურ ვებგვერდზე მარცხენა მცველ **იგორ იშჩიპკოს** ინტერვიუა გამოქვეყნებული, რომელშიც ის „ზესტაფონზეც" საუბრობს.


ალექსი ბენაშვილი

„ქართული გუნდის თამაშის ჩანაწერი გვაქვს, მაგრამ ჯერ არ გვინახავს. სანდრო გურულმა გვითხრა, რომ მეტოქე ტექნიკური გუნდია და აშკარად სწრაფად პროგრესირებს. „ზესტაფონს" მხოლოდ 6-წლიანი ისტორია აქვს და სისტემატურად ასპარეზობს ევროტურნირებზე, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. სიმართლე გითხრათ, ორრაუნდიანი ბრძოლის გამოცდილება არ გვაქვს. ჩვენი გუნდი ამ შემადგენლობით პირველად თამაშობს ევროტურნირებზე. უკრაინის თასის გათამაშებაში კი ყველა ეტაპზე თითო მატჩია. ისლანდიელებთან თამაშმა დაგვანახა, რომ ორრაუნდიანი დაპირისპირებისას პირველი შეხვედრის ჩატარება სტუმრად სჯობს... ჩვენი გულშემატკივრის დიდი იმედი გვაქვს. „რეიკიავიკთან" და ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" მატჩებში ფანები ერთგულად გვქომაგობდნენ და მე-16 სექტორის დიდად მადლიერნი ვართ. „ზესტაფონთანაც" მათი მხარდაჭერის იმედი გვაქვს" - აღნიშნა იგორ ოშჩიპკომ.

შეგახსენებთ, რომ „კარპატი"-„ზესტაფონის" მატჩი, ხვალ, 29 ივლისს ლვოვში, სტადიონ „უკრაინაზე" თბილისის დროით 20:00 საათზე დაიწყება. პირდაპირ რეპორტაჟს უკრაინული ტელეარხი „ფუტბოლი" გადასცემს.

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **ოოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო.**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონი

უცხოურ პრესაში

# ცხადაძე: თავი დამანებეთ!

ბოლო დროს აზერბაიჯანულ პრესაში **კახა ცხადაძის** წინააღმდეგ მასშტაბური კამპანია აგორდა. თავიდან ბაქოს „ინტერის“ ქართველი მთავარი მწვრთნელი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის გამო გააკრიტიკეს, ბოლოს კი გუნდიდან ახლახან წასულმა ფეხბურთელებმა განაცხადეს, რომ ცხადაძის გამო, აზერბაიჯანის ჩემპიონობისთვის განკუთვნილი პრემიები ვერ მიიღეს.

გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ „ინტერიდან“ წავიდა **ელხან აბდულაევი**, რომელიც ცხადაძის ასისტენტად მუშაობდა. აბდულაევმა საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზად ქართველ მწვრთნელთან უთანხმოება დაასახელა. „ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ცხადაძის საქციელში მეტისმეტი თვითკმაყოფილება და ამპარტავნობა დავინახე. ამას ჩვენი საუბარი მოჰყვა, სადაც შევთანხმდით, რომ ჩვენი თანამშრომლობა უნდა შეწყვეტილიყო“, - განაცხადა აბდულაევმა.

ცხადაძემ, რომელიც მის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიას აქამდე დუმილით პასუხობდა, გუშინ „ექსტრატაიმთან“ ბოლოდროინდელ ამბებზე კომენტარი მაინც გააკეთა.

*„რაში მადანაშაულებენ ეს ფეხბურთელები? მე რა შუაში ვარ? ამ საკითხზე კლუბის პრეზიდენტ გეორგი ნიკოლოვს უნდა მიმართონ. განა „ინტერში“ თანხებს მე ვანაწილებ?! ჩემი თხოვნით, არცთუ დიდი ფული მიიღეს მხოლოდ იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც „ლეხთან“ მატჩისთვის ემზადებოდნენ - საბრძოლო სულის ასამაღლებლად და არა იმიტომ, რომ კლუბს მათი ვალი ჰქონდა.*

*საერთოდ, ძალიან მაინტერესებს ერთი საკითხი. როცა „ინტერში“ რაღაც ხდება, ყოველთვის ცხადაძეს რატომ აკრიტიკებენ? ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ჩემი პერსონა ბევრს ყელში ეჩხირება. და იცით, რატომ ხდება ეს? გულახდილად გეტყვით - მათ ჩემი გუნდის წარმატებების შურთ.*

*მივმართავ ამ ხალხს - თავი დამანებეთ. ფული მე არასოდეს გამინაწილებია და ამას არც ვაპირებ. მსგავსი საქმიანობით კლუბის ხელმძღვანელობაა დაკავებული და არა სამწვრთნელო შტაბი. მომეცით საშუალება, ვაკეთო ჩემი საქმე. ყოველთვის ვცდილობ, მეტი ვისწავლო და ნაკლები ვილაპარაკო.*

*ადამიანთა გარკვეულმა წრემ ჩემს წინააღმდეგ კამპანია ააგორა, მაგრამ ეს ამბავი ოდნავადაც არ მაღელვებს“,* - აცხადებს ცხადაძე.

შეგახსენებთ, „ინტერის“ ხელმძღვანელობა მას კვლავინდებურად ენდობა, ასე რომ, სავარაუდოდ, ცხადაძე და მისი ქართველი ასისტენტი **გიორგი ჩიხრაძე** ბაქოურ კლუბში მუშაობას გააგრძელებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ხიზანიშვილი შოთასთან ქაისერში?

ბოლო ორი წელიწადია, რაც საქართველოს ნაკრების მცველ **ზურაბ ხიზანიშვილს** „ბლექბერნის“ თავკაცი **სემ ელერდაისი** აღარ ენდობა. ჩვენებური სათამაშო პრაქტიკას ითხოვს, მას ბლექბერნელთა გუნდში თამაში არ უწევს და ერთობლივი შეთანხმებით, ზურა ჯერ „ნიუკასლში“ იყო განათხოვრებული, მერე კი „რიდინგში“. სწორედ ამ უკანასკნელ კლუბში ჩაამთავრა ხიზანიშვილმა წინა სეზონი. თუმცა წლევანდელ 30 ივნისამდე, ჩვენებური კონტრაქტით „ბლექბერნს“ ეკუთვნოდა და ზურაც „რიდინგიდან“ ელერდაისის გუნდში დაბრუნდა. შეგახსენებთ, ჯერ კიდევ ივნისში, „რიდინგის“ თავკაცმა **ბრაიან მაკდერმოტმა** საჯაროდ განაცხადა, რომ ქართველი მცველის შენარჩუნება სურდა, მაგრამ მის კლუბს ფინანსები არ ჰყოფნიდა - ხიზანიშვილის კონტრაქტის გამოსყიდვის სანაცვლოდ კი „ბლექბერნი“ 1 მილიონ ევროს ითხოვდა. ზურასაც ისლა დარჩენოდა „ბლექბერნში“ დაბრუნებულიყო და ახალი სეზონისთვის გუნდთან ერთად დაეწყო მზადება. ჩვენებური ასეც მოიქცა, მაგრამ ამხანაგურ მატჩებში მხოლოდ დუბლებში უწევდა თამაში. რა თქმა უნდა, ამას ხიზანიშვილი ვერ შეეგუებოდა და აგენტმა **ივან ბენემ** „ბლექბერნის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები წამოიწყო. როგორც ჩანს, ამან შედეგი გამოიღო. უკვე გადაწყვეტილი ამბავია, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, „ბლექბერნმა“ ხიზანიშვილთან კონტრაქტი გაწყვიტა. შესაბამისად, ქართველ მცველს შეუძლია თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშუროს სხვა კლუბს. ბრიტანული ვებგვერდების mirrorfootball.co.uk-სა და lancashiretelegraph.co.uk-ს მიერ გავრცელებული ცნობებიც ამას ადასტურებს.

ბუნებრივია, საინტერესოა თუ სად გააგრძელებს კარიერას ეროვნული ნაკრების მცველი. ჩვენი ინფორმაციით, ხიზანიშვილი თუ ბრიტანეთში დარჩენას გადაწყვეტს, „რიდინგს“ მიაშურებს. გარდა ამისა, მისით ორი თურქული კლუბია დაინტერესებული, **შოთა არველაძის** „ქაისერისფორი“ და „ანკარაგუჯუ“.

**დავით ცაბაძე**



ზურაბ ხიზანიშვილი

სიონი

# ბოლნისში ყიფიანი იმუშავებს

ბოლნისის „სიონის“ სამწვრთნელო შტაბში მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით ჩვენი ვარაუდი გამართლდა - კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გუნდის მთავარ მწვრთნელად 32 წლის **გიორგი ყიფიანი** დაინიშნა.

ყიფიანი ქუთაისის „ტორპედოში“, „ვიტ ჯორჯიასა“ და ბოლნისის „სიონში“ ასპარეზობდა. ასევე გამოდიოდა ლატვიურ „სკონტოში“, ბერძნულ „პანეტოლიკოსში“, ებრაულ კლუბებში - ბეერ შევას „ჰაპოელსა“ და იერუსალიმის „ჰაპოელში“. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ყიფიანი ფეხბურთში დარჩა და სამწვრთნელო საქმის შესწავლას შეუდგა. სწავლობდა ისრაელსა და საქართველოში, მიღებული აქვს სამწვრთნელო სერთიფიკატიც.

**დავით ცაბაძე**


გოგიტა გოგუა

# გოგუას გოლი მეორეა

**გოგიტა გოგუას** გოლი, რომელიც მან რუსული პრემიერლიგის გასულ ტურში სტუმრად მოსკოვის ცსკა-ს გაუტანა, ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად, „სპორტ-ექსპრესის“ მე-14 ტურში გატანილი ლამაზი გოლების რეიტინგში მეორე ადგილზე გავიდა. გოგუამ მოწინააღმდეგის კარი მართლაც ეფექტური დარტყმით დალაშქრა. მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთი ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველმა ნახევარმცველმა მოსკოველთა კარში ერთი შეხებით, მიწიდან ასხლეტით გადაგზავნა.

შეგახსენებთ, გოგუას გარდა, ცსკა-ს **დავით სირაძემაც** გაუტანა, ის მატჩი კი ნალჩიკის „სპარტაკმა“ 2:1 მოიგო. ლამაზი გოლების რეიტინგში მოხვდა სირაძის გოლიც, რომელიც მერვე ადგილზე გავიდა. მეტოქის მეკარესთან პირისპირ გასულმა ქართველმა ფორვარდმა ბურთი ეფექტურად, ერთი შეხებით გადაგზავნა ცსკა-ს კარში.

აქვე კიდევ ერთ საინტერესო სტატისტიკურ მაჩვენებელს შემოგთავაზებთ. პრემიერლიგის მარცხენა ნახევარმცველების რეიტინგში საშუალო 5,85 ქულით მოსკოვის სპარტაკელი **ჯანო ანანიძე** მეოთხე ადგილზეა, გოგუა კი 5,79-ით - მეხუთე.

ქართველებს შორის კი საუკეთესო მაჩვენებელი მოსკოვის „ლოკომოტივის“ ნევრს **მალხაზ ასათიანს** აქვს, რომელიც საშუალო 5,86 ქულით პრემიერლიგის ცენტრალურ მცველებს შორის მესამე ადგილს იკავებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ამჯერად უგოლოდ...

**შოთა არველაძის** „ქაისერისფორი“ ამხანაგურ მატჩებში კვლავაც დაუმარცხებელია. თურქული „ერჩიასფორის“ (3:2), ავსტრიული „კაპფენბერგისა“ (1:0) და გერმანული „ჰანოვერის“ (2:0) ძლევის შემდეგ, ქაისერელები პოლონურ ექსტრაკლასაში (მთავარი ლიგა) მოასპარეზე კიელჩეს „კორონას“ გაეჯიბრნენ და უგოლოდ დაუზავდნენ. **ალექსანდრე ამისულაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყო.

და ერთი ამბავიც - „ქაისერისფორმა“ არგენტინაში დაბადებულ პარაგვაის მოქალაქეს, 28 წლის ნახევარმცველ **ჯონათან სანტანას** 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ის „რივერ პლეიტში“ თამაშობდა, 2006 წლიდან კი „ვოლფსბურგში“ ასპარეზობდა. სანტანა პარაგვაის ნაკრებში (24 მატჩი) 2007 წლიდანაა, ითამაშა ახლახან დასრულებულ მუნდიალზეც.

**დავით ცაბაძე**

# პირველი ქართველი ბენფიკაში

## ბაქარ მირცხულავასთვის რუი კოშტას სიტყვები დიდი სტიმული აღმოჩნდა

**ოთარ გაბელიამ ბაქარ მირცხულავა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში შვეიცარიასთან სათამაშოდ რომ გამოიძახა, 21-წლამდელთა ვარჯიშებს ბევრი სწორედ მასზე დასაკვირვებლად დაესწრო - პორტუგალიური გრანდის მცველს ქართველი გულშემატკივრის წინაშე ჯერ არ უთამაშია და ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, რას წარმოადგენს 18 წლის მცველი, რომელიც უკვე მეორე წელია ლისაბონის „ბენფიკას“ დუბლშემადგენლობაში თამაშობს.**

**მირცხულავამ წელს პორტუგალიაში პირველი ჯილდო მოიპოვა - ახალგაზრდულ ჩემპიონატში „ბენფიკა“ მეორე ადგილზე გავიდა, ბექამ კი ვერცხლის მედალი ჩამოიკიდა. ალბათ, მირცხულავას დამსახურებაცაა, „ბენფიკა“ საიმედო დაცვით (30 მატჩში 13 გაშვებული ბურთი) რომ გამოირჩეოდა...**

**- ბაქარ, ორი წელია ლისაბონის „ბენფიკაში“ თამაშობ - კლუბში შენს პერსპექტივას თუ ხედავ?**

- რა თქმა უნდა, ვხედავ. მალე პროფესიულ კონტრაქტსაც გავაფორმებ. ალბათ, მომავალი სეზონიდან საკონტროლო შეხვედრებში გამოსვლებით ძირითადსაც შემაჩვევენ. პირველ გუნდთან ისედაც საკმაოდ დიდი ხანია, ვვარჯიშობ.

**- გორში გამართულ 17-წლამდელთა შერჩევებიდან მახსოვხარ. მას შემდეგ აშკარად მოღონიერდი...**

- რა თქმა უნდა, ჩასვლისას ასეთი ათლეტური არ ვიყავი. თუმცა ორი წლის განმავლობაში გუნდში ვიტამინებით, ტრენაჟორებშიც ყოველდღიური ვარჯიშით აშკარად მოვუმატე. ჯანიც მომემატა, სიმაღლეშიც გავიზარდე და მსიამოვნებს, ეს დრო ტყუილად რომ არ დავკარგე. „ბენფიკაში“ ბევრი რამ ვისწავლე, მაგალითად, ბურთთან უფრო ტექნიკური მოპყრობა, თავითაც უკეთ თამაში, სისწრაფეც გავაუმჯობესე, რაც მცველისთვის ასე მნიშვნელოვანია. მოკლედ, ყველა კომპონენტში უკეთესობას ვგრძნობ. სხვათა შორის, პორტუგალიაში ქუთაისური სკოლა გამომადგა. „ტორპედოს“ ბავშვთა სკოლაში ბესო ბრეგაძესთან ვვარჯიშობდი და არც ეს დროა ტყუილად დაკარგული...

**- შენს ადგილზე მოხვედრას ნებისმიერი 18 წლის ქართველი ფეხბურთელი ინატრებდა...**

- ორი წლის წინ „ბენფიკაში“ თამაში ჩემთვისაც წარმოუდგენელი იყო. ძალიან დიდი გუნდია, დიდი ისტორიით, უამრავი ვარსკვლავი გაუზრდიათ და მიხარია, ჩემი შრომითა და მონდომებით ამ კლუბის წევრი რომ გავხდი. სხვათა შორის, ჩვენს თამაშებს ხშირად ესწრება რუი კოშტა, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ „ბენფიკას“ სპორტულ დირექტორად დანიშნეს. რამდენჯერმე გამომელაპარაკა, კახა კალაძე გაიხსენა, ოთხი წელი ერთად ვთამაშობდით და იმედია, შენც მასსავით დიდ ფეხბურთს ითამაშებო. რუი კოშტას სიტყვებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. ამხელა ფეხბურთელი რომ დაგაიმედებს, რა თქმა უნდა, დიდი სტიმულია. ყველაფერს ვაკეთებ, მალე ძირითად გუნდში რომ მოვხვდე.

**- პორტუგალიური თუ ისწავლე?**

- ენის მასწავლებელი ჩასვლისთანავე დამიქირავეს და მთელი ერთი წელი ვემზადებოდი. მალე ავითვისე და ახლა საკმაოდ კარგად ვიცი.

**- ცნობილია, რომ პორტუგალიელები ხანმოკლე მოსამზადებელ ეტაპებს აწყობენ, რაც ჩვენთვის უცხოა. კროსებისა და სირბილის გარეშე ფორმაში როგორ შედიხართ?**

- ორთვიან შეკრებებს არა მხოლოდ პორტუგალიაში, საერთოდ ევროპაშიც აღარავინ აწყობს. ჩვენ მშვენიერი ბაზა გვაქვს, სადაც ყველანაირი სავარჯიშო პირობაა და მაქსიმუმ ორი კვირა ვემზადებით. მხოლოდ ოთხთა ტურნირებზე დავდივართ. წელს ორივე მოვიგეთ - პირველის ფინალში „პორტუ“ პენალტებით დავამარცხეთ, მერე კი „ბოავიშტასთან“ 5:1 გავიმარჯვეთ.

**- „ბენფიკას“ ძირითადებთან ხშირად ვარჯიშობ?**



ბაქარ მირცხულავა

- კვირაში ორჯერ მაინც. „ბენფიკაში“ უამრავი ვარსკვლავია და მათ გვერდით ბევრს ვსწავლობ. საქართველოში ჩემზე ნიჭიერი ფეხბურთელი ბევრია და ამიტომაც ვთვლი, რომ გამიმართლა, „ბენფიკაში“ რომ მოვხვდი. მთავარი გამართლებაა და კიდევ - გუნდს როგორ შეეწყობი. მწვრთნელებიც მენდობიან და მხოლოდ ტრავმის გამო გამოტოვებულ ორიოდე შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, გასული სეზონი სულ ძირითადში მათამაშებდნენ. ფეხბურთელებსაც იოლად შევეწყვე.

**- თურმე, პორტუგალიაში ჩვენთვის უცნობი ქართველი ფეხბურთელებიც ყოფილან...**

- ვიცნობ 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილ მოთამაშე ლევან ბლაგიძეს, რომელიც „გიმარაეშში“ იყო და ახლა მეორე დივიზიონში თამაშობს, „ოდიაში“ კი გეგა დიასამიძეა. ნიჭიერი ბიჭები არიან.

**- ეკონომიკურმა კრიზისმა პორტუგალიური კლუბებიც ხომ არ დაასუსტა?**

- ვერ ვიტყვი, რომ ევროპაში საუკეთესო პირობები აქვთ, მაგრამ „ბენფიკაში“, „პორტუსა“ და „სპორტინგში“ ყველაფერი ძველებურადაა - ფულიც აქვთ, პირობებიც და ფეხბურთელის გასაზრდელად საჭირო ყველა წინაპირობაც.

**მერაბ მამულაშვილი**

# რუმინულ-მოლდავური დებიუტები

მოლდოვის ნაციონალური დივიზიონის I ტურში ქართველთა „დაჩიამ“ 1:0 მოუგო ჩემპიონატის დებიუტანტ „გაგაუზიას“. მასპინძელთა რიგებში სასტარტოში სამი ქართველი გამოჩნდა: **დავით გამეზარდაშვილი, მამუკა ლომიძე** და **ლევან კორღალიძე**. 64-ე წუთიდან თამაშში **ვასილ ლუქაშვილიც** ჩაერთო.

ჩემპიონატი დაიწყო რუმინეთის ლიგა 1-ის ერთადერთი ქართველი ლეგიონერისათვის - **აკაკი ხუბუტიას** „გაზ მეთანმა“ სტუმრად 3:2 მოუგო ბრანეშტის „ვიქტორიას“. ხუბუტიამ მარცხენა ცენტრალურ მცველად შეუცვლელად ითამაშა და 34-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დავით გამეზარდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროპის ლიგა

# ჩვენ და ავსტრიელები

**...სამწუხაროდ, რაც დრო გადის, დღითი დღე უფრო მცირდება იმ მეტოქეთა რიცხვი, რომლებთანაც, საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე, მეტნაკლებად დადებითი ბალანსი გაგვაჩნია. აბა, შეიძლება, რომ ვინმემ ავსტრიის ნაკრები ევროპულ გრანდებს შორის მოიხსენიოს? ან, იქნებ, ამ ქვეყნის წამყვან კლუბებს („აუსტრია", „რაპიდი", „ზალცბურგი") მიუღწევიათ ევროტურნირებზე რაიმე ღირებული წარმატებისათვის? რაღა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში უარყოფითი პასუხი გვექნება; მაგრამ ქართულ-ავსტრიულ დაპირისპირებათა სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ უარყოფითი ბალანსი გვაქვს: საკლუბო დონეზე ჩატარებულ თოთხმეტ მატჩში 5 მოვიგეთ, 1 ფრედ ვითამაშეთ და 8 წავაგეთ (ბურთების სხვაობა 14:26). აქვე ერთი აუცილებელი განმარტებაც; სანაკრებო დონეზე ჩვენს მეტოქეებთან ურთიერთდაპირისპირების ისტორიას როცა ვიხსენებდით, „ათვლის წერტილად", რატომღაც, 1993 წელს მივიჩნევდით (ანუ, იმ პერიოდს ვგულისხმობთ, ჩვენი გუნდები დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ევროტურნირებზე პირველად რომ გამოჩნდნენ). ასეთ შემთხვევაში კი, ჩვენდა უნებურად, „ჰაერში რჩებოდა" ის თხუთმეტწლიანი პერიოდი (1973-88 წლები), როცა თბილისის „დინამო" ევროტურნირებზე მეტნაკლები კი არა, საკმაოდ წარმატებით ასპარეზობდა...**

საკლუბო დონეზე ქართულ-ავსტრიული პირველი დაპირისპირებაც სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება: 1981 წლის შემოდგომაზე, ევროპის თასების მფლობელთა თასის 1/16-ფინალში თბილისის „დინამოს" მეტოქედ ავსტრიული „გრაცერ აკი" ერგო. დღევანდელი გადასახედიდან, შესაძლოა, მართლაც „უცნაურად" ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია: 1981-82 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი... თბილისის „დინამო" იყო!

ამ გათამაშებაში „დინამო" თასების მფლობელთა თასის მფლობელის რანგით ჩაერთო; თანაც, ავსტრიულ გუნდთან მატჩამდე ცოტა ხნით ადრე **ნოდარ ახალკაცის** დამოძღვრილმა „დინამომ" მართლაც ფურორი მოახდინა მადრიდის „ოთხთა ტურნირზე". თუმცა მადრიდის „რეალთან" და მიუნხენის „ბაიერნთან" ჩვენი გუნდის ფანტასტიკური თამაშისა და ორი კონკრეტული ფეხბურთელის (**რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი**) არანაკლებ შთამბეჭდავი ასპარეზობის მიუხედავად, იმ ტურნირზე არც იმედგაცრუება გვაკლდა: სწორედ მაშინ მიიღო უმძიმესი ტრავმა **დავით ყიფიანმა**, ფაქტობრივად, შვიდთვეში კარიერის დამთავრებად რომ დაუჯდა...

„გრაცერ აკი" ქალაქ გრაცის მეორე გუნდი იყო და იმ დროისათვის თანაქალაქელ „შტურმზე" მეტი მიღწევებიც ჰქონდა. თუმცა, „დინამოს" ავსტრიულ მეტოქესთან პრობლემა არ შეჰქმნია: თბილისში რამაზ შენგელიას „დუბლით" მოვიგეთ (2:0), სტუმრად კი მატჩი ფრედ (2:2) დასრულდა (გოლები რამაზ შენგელიამ და **ვაჟა ჟვანიამ** გაიტანეს) და მერვედფინალშიც გავედით.

ქართულ-ავსტრიულ მომდევნო დაპირისპირებას კი 13 წელიწადი ველოდით, ოღონდ, პირველისგან განსხვავებით, ამჯერად ეს ბარიერი ვერ გადავლახეთ. 1994 წლის შემოდგომაზე ჩატარებულ „დინამოსა" და „ტიროლის" დაპირისპირებები (1:0, 1:5) წინა კვირაშიც ვახსენეთ და ამჯერად ვრცლად აღარ ვისაუბრებთ. მხოლოდ ამას დავძენთ: დაცვაში უამრავი საკადრო პრობლემა რომ არ გვქონოდა, „ტიროლის" გამოგდება თავისუფლად შეიძლებოდა. კარგად გვახსოვს, თუ როგორი აღტაცებული საუბრობდა ახალგაზრდა დინამოელების თამაშზე „ტიროლის" მთავარი მწვრთნელი **ჰანს კრანკლი;** ავსტრიული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა მოხიბლული იყო ძმები **არველაძეების, გოჩა ჯამარაულისა** და **გელა ინალიშვილის** თამაშით, ხოლო 21 წლის **გიორგი ქინქლაძეს** ევროპული დონის ვარსკვლავი უწოდა.

1997 წლის ზაფხულში კვლავ შედგა ქართულ-ავსტრიული დაპირისპირება: ინტერტოტოს თასზე მონაწილე გუნდები თავდაპირველად ჯგუფებში იყვნენ განაწილებულნი და ერთ-ერთ ჯგუფში მოსკოვის „ტორპედოსთან", ბერძნულ „ირაკლისთან", მალტის „ფლორიანასთან" და ავსტრიულ „რიდთან" ერთად ევროტურნირების დებიუტანტი თბილისის „მერანი 91-ც" მოხვდა. აი, ამ შემთხვევაში კი მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა: **თემურ მახარაძის** გუნდი თბილისიდან ავსტრიაში სათამაშოდ... ავტობუსით გაემგზავრა, მაგრამ სტუმრად მეტოქის დამარცხება მაინც მოახერხა! აღსანიშნავია, რომ „მერანი 91-ის" 13 წლის წინანდელი იმ შემადგენლობიდან დღესდღეობით აქტიურ საფეხბურთო კარიერას მხოლოდ ერთი მოთამაშე, **ალექსანდრე გოგობერიშვილი** აგრძელებს. საერთოდ კი, ავსტრიული გუნდებიდან ყველაზე ხშირად ჩვენი მეტოქე „რიდი" იყო: „მერანი 91-ს" მსგავსად, ამ კლუბთან წარმატების მიღწევა „ვიტ ჯორჯიამაც" შეძლო (2001 წელს); აი, ხუთი წლის შემდეგ კი „ინტერტოტოს თასზე" მოასპარეზე „დინამომ" ამ პროვინციულ ავსტრიულ კლუბთან ორივე შეხვედრა წააგო (1:3, 0:1). თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მარცხი ნამეტნავად მტკივნეულად არ მიგვიღია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით 2007 წლის უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოსა" და „რაპიდის" დაპირისპირებაზე.

გასაგებია, მეტოქედ ავსტრიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი გვყავდა, მაგრამ „დინამოს" იმდროინდელ შემადგენლობაში მოასპარეზე ფეხბურთელთა უმრავლესობას გამოცდილება ნამდვილად არ აკლდა. აღარაფერს ვამბობთ მწვრთნელის ფაქტორზეც - „დინამოს" თავკაცი ხომ ცნობილი ჩეხი სპეციალისტი **დუშან უჰრინი** გახლდათ. ყოველივე ამის მიუხედავად, ავსტრიელებმა ორი მატჩის ჯამში... 8:0 დაგვამარცხეს! განსაკუთრებით მტკივნეული სტუმრად შეხვედრა იყო, როცა ვენის „ერნსტ ჰაპელის" სტადიონზე „დინამომ" ევროტურნირებზე ასპარეზობის... ანტირეკორდი გაიმეორა!

ქართულ-ავსტრიული გუნდების ბოლო დაპირისპირება კი... ერთმატჩიანი იყო! თუმცა, ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოტივით მოხდა: 2008 წლის ზაფხულში საქართველოში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო „ვიტ ჯორჯია" და „აუსტრია" უეფას დირექტივას დაემორჩილნენ და მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარეს. აგვისტოს ბოლო რიცხვები იყო და ავსტრიელები თბილისში ჩამოსვლაზე უარს აცხადებდნენ; ჯერ, ვითომ, ნეიტრალური მოედნის ვარიანტზეც იყო საუბარი, თუმცა, მერე, ორივე კლუბის ურთიერთშეთანხმებით და უეფასთან კონსულტაციებით გადაწყდა, რომ შეხვედრა... ვენაში ჩატარდებოდა...

## ყველა დაპირისპირება

### თასების თასი. 1/16 ფინალი

16.09.1981. თბილისი. დინამო

**დინამო-გრაცერი 2:0**

რ. შენგელია-2

დინამო: გაბელია - ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე - სვანაძე, სულაქველიძე, დარასელია - გუცაევი, ჟვანია (მუჯირი), შენგელია.

30.09.1981. გრაცი. ლიბენა

**გრაცერი-დინამო 2:2**

დინამო: გაბელია - ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე - სვანაძე, სულაქველიძე, დარასელია - გუცაევი, ჟვანია (მუჯირი) შენგელია.

### უეფას თასი. 1/32 ფინალი

13.09.94. თბილისი. ეროვნული.
50 000 მაყურებელი

**დინამო-ტიროლი 1:0**

1:0 რ. არველაძე (40-პენ)

დინამო: ზოიძე - ლობჟანიძე, ნემსაძე, შელია - ყაველაშვილი (88. ცქიტიშვილი), ინალიშვილი, ჯამარაული, ქინქლაძე, რ. არველაძე - ა. არველაძე (90. დიდავა), შ. არველაძე.

გაფრთხილება: შელია

გაძევება: შელია (44)

არბიტრი: მ. პირო (ბელგია)

27.09.94. ინსბრუკი. ტიროლი.

**ტიროლი-დინამო 5:1**

1:0 ჩერნი (4), 2:0 შტიოგერი (32), 3:0 დანეკი (35), 3:1 შ. არველაძე (36), 4:1 დანეკი (56), 5:1 იანეშიტცი (88)

დინამო: ზოიძე - რევიშვილი (84. კიკნაძე), ნემსაძე, ლობჟანიძე - ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული (74. ანჩაბაძე), ქინქლაძე, რ. არველაძე - ა. არველაძე, შ. არველაძე.

### ინტერტოტოს თასი

13.07.97. რიდი

**რიდი-მერანი 91 1:3**

0:1 მაზიაშვილი (6), 0:2 გოდერძიშვილი (17), 1:2 ჰანსენი (39), 1:3 ბ. კვარაცხელია (54)

მერანი 91: ვ. გვენცაძე - ა. ივანიშვილი (76. რ. გოგიტიძე), გ. ქველაძე, კ. სიდამონიძე, დ. კაკუბავა - მ. მაზიაშვილი (87. დ. ჯიშკარიანი), ა. გოგობერიშვილი (77. ს. დავითაშვილი), ბ. ამბიძე, კ. მელქაძე, ბ. კვარაცხელია - დ. გოდერძიშვილი.

არბიტრი: ს. ბრაგა (ლატვია)

ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი
16.06.01. თბილისი. ეროვნული

**ვიტ ჯორჯია-რიდი 1:0**

1:0 ა. გოგობერიშვილი (51)

ვიტ ჯორჯია: ს. ჭურაძე - ე. საჯაია, თ. კობიაშვილი, გ. ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი - ლ. ნოზაძე, ა. გოგობერიშვილი, დ. დილმელაშვილი, გ. ყიფიანი (46. გ. არეშიძე) - ლ. მელქაძე (79. ა. ინწკირველი), ზ. მეტრეველი (46. გ. ადამია).

გაძევება: საჯაია (10)

არბიტრი: ა. იოში (უნგრეთი)

23.06.01. რიდი. დერ შტადტი რიდი

**რიდი-ვიტ ჯორჯია 2:1**

0:1 ლ. მელქაძე (14), 1:1 ანგერშმიდტი (17), 2:1 ლოუერსი (79)

ვიტ ჯორჯია: ს. ჭურაძე - ა. ინწკირველი, გ. ჭანკოტაძე, თ. კობიაშვილი, თ. დოლიძე (67. გ. ფეიქრიშვილი) - ლ. ნოზაძე, ა. გოგობერიშვილი, დ. დილმელაშვილი, გ. ყიფიანი - ლ. მელქაძე (90. ზ. მეტრეველი), გ. ადამია (60. გ. არეშიძე).

გაფრთხილება: გოგობერიშვილი

გაძევება: გოგობერიშვილი (67)

არბიტრი: სიპაილო (ლატვია)

22.06.03. შვანენშტადტი. 700 მაყურებელი

**პაშინგი-ვიტ ჯორჯია 1:0**

1:0 გლიდერი (66-პენ)

ვიტ ჯორჯია: მ. მერლანი - გ. კვახაძე, ა. ინწკირველი, ჯ. მუჯირი, ო. გველესიანი - თ. დოლიძე, დ. დილმელაშვილი (79. ო. მარცვალაძე), ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი - ლ. მელქაძე (86. პ. დათუნაიშვილი), ე. მერებაშვილი (90. დ. ბოლქვაძე).

არბიტრი: ს. იარეჩი (ალბანეთი)

28.06.03. თბილისი. ეროვნული.
5 000 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია-პაშინგი 2:1**

1:0 ლ. მელქაძე (53), 1:1 ჰორვატი (62), 2:1 ე. მერებაშვილი (90)

ვიტ ჯორჯია: მ. მერლანი - ლ. მერებაშვილი (26. პ. დათუნაიშვილი), ა. ინწკირველი (65. გ. კვახაძე), ჯ. მუჯირი, ო. გველესიანი - თ. დოლიძე, დ. დილმელაშვილ, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი (70. ე. მერებაშვილი) - ლ. მელქაძე, ო. მარცვალაძე.

გაფრთხილება: პ. დათუნაიშვილი, ლ. ნოზაძე.

არბიტრი: რ. მალეკი (პოლონეთი)

ინტერტოტოს თასი. მეორე ეტაპი
01.07.06. გრაცი. 4 800 მაყურებელი

**რიდი-დინამო 3:1**

1:0 კლასპერი (7), 1:1 შ. გრიგალაშვილი (37), 2:1 დრეშლერი (47-პენ), 3:1 სეო (80)

დინამო: ს. გრიშიკაშვილი - ამბროზიო, შ. კაშია, გ. თომაშვილი, დ. გიგაური - შ. გრიგალაშვილი (88. ზ. ჯანაშია), ი. ჩირიკაშვილი, გ. ხუციშვილი (52. კ. მახარაძე), ა. კობახიძე - ს. იაშვილი, მ. ბობოხიძე (58. ჯ. დვალი).

გაფრთხილება: დ. გიგაური, ა. კობახიძე

არბიტრი: დ. სტანიშიჩი (სერბეთი)

09.07.06. თბილისი. მიხეილ მესხი.
5 000 მაყურებელი

**დინამო-რიდი 0:1**

0:1 დრეშლერი (67)

დინამო: ს. გრიშიკაშვილი - ამბროზიო, შ. კაშია, გ. თომაშვილი, გ, ნავალოვსკი (62. მ. ბობოხიძე) - შ. გრიშიკაშვილი (69. ზ. ჯანაშია), ლ. ხმალაძე (52. ი. ჩირიკაშვილი), მ. ხუციშვილი, ა. კობახიძე - ს. იაშვილი, ჯ. დვალი.

გაფრთხილება: გ. ნავალოვსკი, ი. ჩირიკაშვილი, შ. კაშია

არბიტრი: მ. ვითბი (უელსი)

### უეფას თასი

II საკვალიფიკაციო ეტაპი
16.08.07. თბილისი. მიხეილ მესხი.
7000 მაყურებელი

**დინამო-რაპიდი 0:3**

0:1 ფაბიანო (24), 0:2 ჰოფმანი (39), 0:3 ბაზინა (53)

დინამო: დ. ოვონო (37. გ. ლორია) - შ. კაშია, მ. კრშკო, ნ. ზელიჩი, გ. კაშია - დ. ოდიკაძე, ლ. ხმალაძე, გ. ფეიქრიშვილი (76. მ. ხუციშვილი), ა. კობახიძე (46. ი. სპასოევიჩი) - გ. მერებაშვილი, ჯ. აკირემი.

გაფრთხილება: დ. ოდიკაძე, დ. ოვონო, შ. კაშია, ი. სპასოევიჩი, მ. კრშკო, მ. ხუციშვილი

არბიტრი: ტ. მიკულსკი (პოლონეთი)

30.08.07. ვენა. ერნსტ ჰაპელი.
15 000 მაყურებელი

**რაპიდი-დინამო 5:0**

1:0 ბაზინა (30), 2:0 ბილიჩი (54), 3:0 ჰოფმანი (59), 4:0 კავლაკი (73), 5:0 ჰოფმანი (75)

დინამო: გ. ლორია - გ. კაშია, მ. კრშკო, ნ. ზელიჩი, რ. დობეში - გ. ფეიქრიშვილი, დ. დილმელაშვილი (56. ა. კობახიძე), ლ. ხმალაძე, მ. ხუციშვილი (86. ნ. ფირცხალავა) - გ. მერებაშვილი, ჯ. აკირემი (61. ი. სპასოევიჩი).

გაფრთხილება: მ. ხუციშვილი, ნ. ზელიჩი

არბიტრი: პ. კაილისი (კვიპროსი)

### უეფას თასი

II საკვალიფიკაციო ეტაპი.
28.08.08. ვენა

**აუსტრია-ვიტ ჯორჯია 2:0**

1:0 ჰატენბერგერი (26), 2:0 ოკოტიე (74)

ვიტ ჯორჯია: გ. ბედიაშვილი - გ. ბექვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ლ. ჯაფარიძე - გ. მელქაძე (90. დ. მაისაშვილი), გ. დათუნაიშვილი, ლ. რაზმაძე, ი. კლიმიაშვილი (82. გ. კვალინიძე) - ჯ. ლიპარტია, ვ. კვარაცხელია (67. ვ. ლუჭაშვილი).

გაფრთხილება: ი. კლიმიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ა. კვახაძე, ვ. ლუჭაშვილი

არბიტრი: ჯ. ატარდი (მალტა)



2007 წლის 16 აგვისტო. თბილისი. დინამო-რაპიდი 0:3

შტურმი-დინამო

## გრაცისკენ 18 ფეხბურთელით

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაცო ეტაპის პირველი მატჩი ავსტრიულ „შტურმსა" და თბილისის „დინამოს" შორის ხვალ ჩატარდება (შეხვედრა ჩვენი დროით 22 საათსა და 30 წუთზე დაიწყება). „დინამო" ავსტრიაში გუშინ, გვიან ღამით თბილისი-კიევი-ვენის ავიარეისით გაფრინდა და გრაცში, სასტუმრო „სან-მარკოში" დაბინავდა.

„დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** ავსტრიაში 18 ფეხბურთელი წაიყვანა: მეკარეები: **გიორგი ლორია, ბექა შეყრილაძე;** მცველები: **გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა, ლაშა ჩადუნელი, გიორგი გველესიანი;** ნახევარმცველები: **ალექსანდრე კოშკაძე, ლევან ხმალაძე, ედნილსონი, გიორგი კახელიშვილი, დონალდ ჯუისი, რობერტინიო, ნიკოლოზ ფირცხალავა, გიორგი თექთურმანიძე, ირაკლი ლეკვთაძე, გიორგი მამუჩაშვილი;** თავდამსხმელები: **ზვიად მეტრეველი, ირაკლი სიხარულიძე.**

სამწუხაროდ, დისკვალიფიკაციის გამო გუნდს ვერ დაეხმარება გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი **მათე ვაწაძე.**

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

მილანი

# ალეგრის ტაქტიკა გაუშიფრეს

## მილანი საყრდენს ეძებს

ისეთი პირი უჩანს, რომ **მასიმილიანო ალეგრის** ხელში „მილანი" 4-2-3-1 ტაქტიკით იასპარეზებს. ამის შესახებ „გაძეტა დელო სპორტი" წერს და მეტად საინტერესო სტატიას აქვეყნებს. „კალიარიში" მუშაობისას ალეგრი ორ ტაქტიკურ მონახაზს ეყრდნობოდა: 4-4-2-ს და 4-3-2-1-ს, შესაბამისად, იყო ვარაუდი, რომ „მილანშიც" ანალოგიურ სქემებს გამოიყენებდა. თუმცა, საწვრთნელი პროცესები სწორედ იმას მოასწავებს, რომ „როსონერი" თანამედროვეობის ყველაზე მოდური მოდელით იასპარეზებს.

„გაძეტა" სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაზეც იწერება, რასაც ასევე აუცილებლად უნდა შევეხოთ. დიდია შანსი, ამ ზაფხულს **ჯენარო გატუზომ** „მილანელო" დატოვოს და სხვაგან გადაბარგდეს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ყველაზე საინტერესო ის იქნება, ვინ შეუწყვილდება საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე **მასიმო ამბროზინის**? - ერთი ვერსია **ანდრეა პირლოა**, მაგრამ როგორც ავტორიტეტული გამოცემა იუწყება, მას წინ უწევენ აწევას. ალტერნატივა ფაქტობრივად არ არის და გამოდის, რომ „მილანმა" მინიმუმ ერთი კარგი საყრდენი ნახევარმცველი უნდა შეიძინოს. ასეც გახლავთ - პრესის მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, „მილანის" მესვეურებმა ორ ფრონტზე გაშალეს ქმედებები და ერთი მხრივ, მადრიდის „რეალთან" აწარმოებენ მოლაპარაკებებს და მეორე მხრივ, „პალერმოსთან". რომ არ დაიბნეთ, აქვე განგიმარტავთ, რომ სამეფო კლუბიდან მილანური გრანდის მესვეურებს **მაჰამადუ დიარას** გადაბირება სურთ, სიცილიელებს კი **მანუელე ბლაზის** თაობაზე ესაუბრებიან. ბლაზი სანახევროდ სწორედ „მილანის" საკუთრებაა, თუმცა გასული სეზონი „პალერმოში" გაატარა და ამჟამად მისი კონტრაქტის სრულად გამოსყიდვაზე მიდის მოლაპარაკებები. ერთი სიტყვით, მასიმილიანო ალეგრი მეორე საყრდენ ნახევარმცველს, ანუ მასიმო ამბროზინის მეწყვილეს ეძებს.

ზემოთ პირლოს წინ წაწევაზე ვისაუბრეთ და ეს თემა აუცილებლად უნდა განვავრცოთ. მოკლედ ვიტყვით და ყველაფერი გასაგები იქნება: პირლოს იგივე ფუნქციები დაეკისრება, რაც **ვესლი სნეიდერს** აქვს „ინტერში". ანდრეა იქნება ცენტრალური შემტევი ნახევარმცველი, რომელსაც შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ პლეიმეიქერი. ფლანგებიდან **რონალდინიო** და **ალეშანდრე პატუ** შეუტევენ, ისევე როგორც გასულ სეზონში, აი, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი ალეგრის ახალი ფეხბურთელის დაყენება სურს. ამ ეტაპზე, ორ ფეხბურთელთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები: **ლუიშ ფაბიანოსთან** „სევილიადან" და **ლუკას ბარიოსთან** დორტმუნდის „ბორუსიადან". გალიანიმ მთელი რესურსი ჩართო საქმეში და ვნახოთ, მიაღწევს თუ არა საწადელს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ალეგრი არც **კლას-იან ჰუნტელაარს** ენდობა და არც **მარკო ბორიელოს**. „გაძეტას" ვერსიით, გასაყიდ ფეხბურთელთა სიაში რჩებიან **მარეკ იანკულოვსკი** და **კახა კალაძე**, რომლებსაც გასულ სეზონში სათამაშო პრაქტიკა ფაქტობრივად არ ჰქონიათ.


მასიმილიანო ალეგრი

სატრანსფერო საკითხებზე თავად ალეგრიმ ისაუბრა და პრაქტიკულად დაადასტურა, რომ ორი რგოლის გაძლიერებას აპირებს. მოვუსმინოთ მასიმილიანოს: *„სატრანსფერო ბაზარზე აუცილებლად გავაქტიურდებით და რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ. ერთი ჩამშლელი მჭირდება და ერთი შემტევი, რაზეც უკვე მქონდა კლუბის მესვეურებთან ლაპარაკი. ყველანაირი მხარდაჭერა აღმითქვეს და უკვე გადაიდგა კიდეც გარკვეული ნაბიჯები. ჩვენი მიზანია, რომ გუნდი ყველა რგოლში თანაბრად ძლიერად იყოს დაკომპლექტებული".*

ამასობაში, პრაქტიკულად ყველანაირი შანსი გამოირიცხა, რომ რონალდინიომ „მილანი" დატოვოს და კარიერა მშობლიურ „ფლამენგოში" გააგრძელოს. ამას გაუჩოს ძმის, **რობერტო დე ასისის** სიტყვები ადასტურებს: *„რონი ბედნიერია „როსონერიში" და არსად წასვლას არ აპირებს. შესაძლოა, ოდესღაც ითამაშოს „ფლამენგოში", მაგრამ უახლოეს წლებში ეს არ მოხდება. გაუჩომ ახალი მიზანი დაისახა, მას სურს, რომ 2014 წლის მუნდიალზე იასპარეზოს და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის ყურადღების მისაქცევად „მილანში" თამაში ნამდვილად მისწრებაა, ამიტომ არსად წასვლას არ ჩქარობს. რატომ არ ვახანგრძლივებთ კლუბთან ხელშეკრულებას? - ახალ კონტრაქტზე მართლაც დიდი ხანია ვმუშაობთ და უახლოეს პერიოდში ყველაფერი დადებითად გადაწყდება. უბრალოდ, ჩვენი სურვილია, რომ ყველა პირობა დეტალურად შევათანხმოთ, ეს ჩვეულებრივი ამბავია".*

პრესასთან ურთიერთობა **ჯანლუკა ძამბროტამაც** გადაწყვიტა და მოულოდნელად განაცხადა, რომ „მილანს" არავის შეძენა არ სჭირდება. აი, რა თქვა ჯანლუკამ:

*„მე თუ მკითხავთ, არავის შეძენა არ არის საჭირო, რადგან გუნდი ისედაც შესანიშნავად არის დაკომპლექტებული. მით უმეტეს, ჩვენ გვყავს რონალდინიო, რომელსაც მარტოს შეუძლია ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა. ძალიან ძლიერი მცველები და შემტევები გვყავს, უბრალოდ გუნდმა თავისი თამაში უნდა იპოვოს და ყველაფერი კარგად იქნება".*

**ლაშა წიკლაური**

ინტერი

# ბენიტესი საბაზროდ ემზადება


რაფა ბენიტესი

თუ „კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, „ინტერმა" შესაძლოა იმაზე უფრო იაქტიუროს სატრანსფერო ბაზარზე, ვიდრე ეს ექსპერტებს და გულშემატკივრებს წარმოუდგენიათ. საქმე იმაშია, რომ სულ მალე „ინტერის" სალარო გვარიანად გამდიდრდება და შესაბამისად, ტრანსფერებზე სახარჯო ფულიც გამოჩნდება. პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომავალი სეზონიდან **დუგლას მაიკონი** და **მარიო ბალოტელი** „ნერაძურიში" აღარ იასპარეზებენ - ამ ორი ფეხბურთელის სანაცვლოდ კი „ინტერი" დაახლოებით 60 მილიონ ევროს მიიღებს. 72 მილიონ ევროს ელოდება **მასიმო მორატი** უეფასგან, რაც ჩემპიონთა ლიგის მოგებით გახლავთ განპირობებული. დიახ, ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის მოგება სწორედ ასეთ თანხებთან არის დაკავშირებული. კიდევ ათი მილიონი მილანურმა გრანდმა მადრიდის „რეალისგან" უნდა მიიღოს, რადგან **ჟოზე მოურინიომ** კლუბთან ნაადრევად გაწყვიტა ხელშეკრულება. ამ ყველაფერს იქითკენ მივყავართ, რომ არის შანსი, **რაფაელ ბენიტესმა** ტრანსფერებისთვის მინიმუმ 100 მილიონი ევრო მიიღოს.

„კორიერეს" ცნობით, ბენიტესმა უკვე დასახა პრიორიტეტები და კლუბის მესვეურებს ორი ფეხბურთელის ტრანსფერზე მუშაობა მოსთხოვა - ერთი **ხავიერ მასკერანო** (რომელმაც ღიად დააფიქსირა „ინტერში" გადასვლის სურვილი) გახლავთ, ხოლო მეორე **დირკ კუიტი**. ორივე მათგანი რაფას შეგირდი იყო „ლივერპულში" და ესპანელს მათი შესაძლებლობები შესანიშნავად მოეხსენება. ვნახოთ, უახლოეს დღეებში შესაძლოა ბევრ კითხვას გაეცეს პასუხი.

აქვე გაცნობებთ, რომ „ინტერის" კაპიტანი **ხავიერ ძანეტი** ჟურნალისტებმა ფეხბურთელის იდეალურ სახედ დაასახელეს. ეს გამოკითხვა 1992 წლიდან ტარდება და **გაეტანო შირეას** სახელს ატარებს. აქამდე, გამოკითხვა მხოლოდ იტალიელ ფეხბურთელებს შორის ტარდებოდა, 2010 წლიდან კი მასში ლეგიონერებიც ჩართეს. არგენტინელმა 371 შესაძლო ხმიდან 231 აიღო და ისეთი ფეხბურთელების გვერდით დადგა, როგორებიც გახლდნენ: **რობერტო ბაჯო, ფრანკო ბარეზი, პაოლო მალდინი, ჯანფრანკო ძოლა, ალესანდრო დელ პიერო, ფრანჩესკო ტოლდო.**

**ლაშა წიკლაური**

სატრანსფერო

# მარკეტის კალიარიზე მეტი უნდა

რამდენიმე დღის წინ **ფედერიკო მარკეტიმ** საჯაროდ განაცხადა, რომ „კალიარის" დატოვება და კარიერის გაცილებით უფრო ამბიციურ გუნდში გაგრძელება სურს. შეგახსენებთ, რომ ფედერიკო განვლილ მუნდიალზე **ჯანლუიჯი ბუფონის** რეზერვისტის სტატუსით გაემგზავრა და რადგან ამ უკანასკნელმა პირველივე შეხვედრაში ტრავმა მიიღო, ძირითადში სწორედ მას უწევდა ასპარეზობა. ვერ ვიტყვით, რომ ძალიან კარგად წარმოჩნდა, მაგრამ მასზე მაინც საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. „კალიარის" მესვეურებმა ფეხბურთელი ოფიციალურად დააყენეს ტრანსფერზე, რაზეც კლუბის პრეზიდენტმა, **მასიმო ჩელინომ** შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„პრესაში წავიკითხე მარკეტის კომენტარი და სიმართლე გითხრათ, გული ძალიან დამწყდა. გულრწფელად განაცხადა, რომ „კალიარის" ამბიციები არ აკმაყოფილებს და გაცილებით ძლიერ გუნდში სურს გადასვლა. ჯობდა ეს პირადად ჩემთვის ეთქვა და არა ჟურნალისტებისთვის, ყველანაირად ხელს შევუწყობდი. რა გაეწყობა, მას ტრანსფერზე დავაყენებთ და გავასხვისებთ. ვინ იქნება პირველი მეკარე? - არავის ყიდვას არ ვაპირებთ, რადგან ჩვენ გვყავს შესანიშნავი კიპერი მიკელე აგაცი. ნიჭიერია და ძალიანაც რომ მოვინდომოთ, მეეჭვება, მასზე უკეთესი კარის დარაჯის გადაბირება მოვახერხოთ".*

**ლაშა წიკლაური**


ფედერიკო მარკეტი

U 19 ევროპის ჩემპიონატი 2010

# კანალეს-შოუ და დამსახურებული ფინალი

| ნახევარფინალი | |
|---|---|
| **ესპანეთი–ინგლისი** | **3:1** |
| გოლები: 1:0 პაჩეკო (12), 2:0 კეკო (34), 2:1 ბოსტოკი (37), 3:1 კანალესი (57) | |
| **საფრანგეთი–ხორვატია** | **2:1** |
| გოლები: 0:1 ადემი (4), 1:1 კაკუტა (37), 2:1 ბაკამბუ (83) | |

ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალშია. **ლუის მილიას** გუნდმა იოლად დაძლია ნახევარფინალური ბარიერი, ინგლისის ნაკრები **სერხიო კანალესის** შოუს წყალობით 3:1 დაამარცხა. „ფურია როხიტამ" ჯგუფური ეტაპი სამი გამარჯვებით დაასრულა, ინგლისელები კი სასწაულებრივ გავიდნენ ნახევარფინალში. ამიტომაც მატჩის ფავორიტი მილიას გუნდი იყო. „როხიტამ" უპირატესობა მე-12 წუთზევე დაამტკიცა, როცა ნაკრების ლიდერმა სერხიო კანალესმა მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა და საჯარიმოს მარცხენა კუთხეში **დანი პაჩეკოს** უპასა. „ლივერპულის" ახალგაზრდა ფორვარდმა კი არ დაახანა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. ეს პაჩეკოს მე-4 გოლი იყო ევროპის ჩემპიონატზე.

მეორე გოლი კი „როხიტამ" დიდი გუნდის სტილში გაიტანა, კანალესმა ბურთი ქუსლით დაუგდო **კეკოს**, რომელმაც ბრწყინვალე შესვლა განახორციელა, კაპიტანმა აჯობა ყველას, მათ შორის ინგლისელთა გოლკიპერს და ანგარიში 2:0 გახადა. ინგლისელებმა გაიბრძოლეს, 37-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა **ჯონ ბოსტოკმა** შორეული დარტყმით დაამწუხრა **ალექსი** - 2:1.

მატჩის ინტრიგას წერტილი 57-ე წუთზე დაესვა, როცა ესპანელებმა დიდებულად გაითამაშეს საჯარიმო, **ტიაგო ალკანტარამ** ბურთი თავზე გადაუგო ცოცხალ კედელს, კანალესმა კი მეკარეს დაასწრო და ერთი შეხებით გაიტანა. ეს „რეალის" ახალწვეულის პირველი გოლია ევროპის ჩემპიონატზე. ინგლისელებთან მატჩში მან გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა.

მოგვიანებით, მეორე ნახევარფინალში ტურნირის მასპინძელმა საფრანგეთის 19-წლამდელთა ნაკრებმა მძიმე ბრძოლაში დაამარცხა ხორვატი თანატოლები და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მატჩში, რომელშიც თავიდან ბალკანელები იგებდნენ, გამარჯვების გოლი შორეულ დაბალ კუთხეში ეფექტური „მოჭრილი" დარტყმით **ბაკამბუმ** გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მატჩის გმირი კანალესი

მექსიკა

# დროებითი მწვრთნელებით

**ხავიერ აგირეს** გადადგომის შემდეგ მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ახალი თავკაცის დანიშვნას არ ჩქარობს. გუშინ გადაწყდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთთან 11 აგვისტოს (ლეგენდარულ „აცტეკაზე") ამხანაგური მატჩისთვის მექსიკის ნაკრებს **ენრიკე მესა** მოამზადებს, ხოლო **ეფრაინ ფლორესი** გუნდს ჩილესა (4 სექტემბერი, გვადალახარა) და კოლუმბიასთან (7 სექტემბერი, მონტერეი) სპარინგებში გაუძღვება.

ცნობისთვის, მესა ამჟამად მექსიკურ „კრუს ასულს" ავარჯიშებს, რაც შეეხება ფლორესს, ის „ჩივასის" ყოფილი დამრიგებელია. სხვათა შორის, არც ერთი მათგანი არ განიხილება ეროვნული გუნდის მომავალ მთავარ მწვრთნელად.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერის მოლოდინში

# რეალი და ინტერი მაიკონზე შეთანხმდნენ



გუშინ იტალიური მედიის ორმა წამყვანმა წარმომადგენელმა „გაძეტა დელო სპორტმა" და „კორიერე დელა სერამ" გვამცნეს, რომ მილანის „ინტერმა" და მადრიდის „რეალმა" საბოლოოდ შეათანხმეს ბრაზილიელი **დუგლას მაიკონის** ტრანსფერის საკითხი. ესპანური გრანდი იტალიურს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველის სანაცვლოდ 28 მილიონ ევროსა და ბონუსს გადაუხდის, რომლის ოდენობაც უცნობია.

ახლა მაიკონს 48 საათი მიეცა, რათა „რეალთან" პირადი კონტრაქტი შეათანხმოს. მაიკონი ხელშეკრულებაზე ხელს მაშინ მოაწერს, თუ „სამეფო კლუბი" მას 4-წლიან კონტრაქტს გაუმზადებს, წელიწადში 6-7 მილიონი ევრო ხელფასით, პლუს ჰონორარით. ამბობენ, **ფლორენტინო პერესი** „მხოლოდ" 5,5 მილიონ ევროზეა თანახმაო. ყოველ შემთხვევაში, თუ იტალიელ ჟურნალისტებს ვენდობით, ტრანსფერს წინ, ფაქტობრივად, აღარაფერი უდგას და დღეს თუ ხვალ ის ოფიციალურად გამოცხადდება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი

ლა ლიგას ტრანსფერები

# ხმაურიან ტრანსფერებამდე

## ესპანეთი იძენს და... კარგავს

ესპანეთში სატრანსფერო ციებცხელება ჩვეული ტემპით გრძელდება, უახლოეს დღეებში კი შესაძლოა, კულმინაციასაც მიაღწიოს. საქმე ის არის, რომ შესაძლოა უახლოეს საათებში „რეალმა" ბრაზილიელი **მაიკონი** გაიფორმოს, მალე კი მას „ბენფიკას" მცველი **დავიდ ლუიზიც** მოჰყვეს. ესპანურ მედიას თუ დავუჯერებთ, დიდი ალბათობით, **სესკ ფაბრეგასის** საგასაც უნდა დაედგას თავი და ის კეთილად დასრულდეს - ანუ კატალონიელი მშობლიურ კლუბს დაუბრუნდეს. თუმცა ჯერ ოფიციალურად განხორციელებულ ტრანსფერებზე ვთქვათ. ამ დღეებში პრიმერამ ორი კაშკაშა ვარსკვლავი დაკარგა, „რეალის" ორმა ლეგენდამ **გუტიმ** და **რაულმა** უცხოეთს მიაშურეს, მაგრამ პირიქითაც ხდება და ახლახან „მალიორკამ" „ფეიენოორდის„ ახალგაზრდა ვარსკვლავი **ჯონათან დე გუზმანი** გაიფორმა...


დე გუზმანი ლა ლიგას მოსინჯავს

22 წლის დე გუზმანი, რომელიც ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო, შემტევი ნახევარმცველია. ყოფილმა ფეიენოორდელმა „მალიორკასთან" 2013 წლამდე გააფორმა ხელშეკრულება. სხვათა შორის, დე გუზმანი ზაფხულის სატრანსფერო სეზონში „მალიორკას" პირველი შენაძენია, თუკი დანიელ მწვრთნელ **მიქაელ ლაუდრუპს** არ ჩავთვლით. აქამდე ბალეარელები სულ კარგავდნენ, მწვრთნელს, ფეხბურთელებს, სპონსორებს, ევროპის ლიგის საგზურს...

კანადაში დაბადებული დე გუზმანი „ფეიენოორდის" აკადემიის აღზრდილია. მან როტერდამული კლუბის მაისურით 109 თამაშში 23 გოლი გაიტანა. მას „ფეიენოორდთან" კონტრაქტი ივნისში დაუსრულდა და ახლის გაგრძელება აღარ ისურვა. დე გუზმანის აყვანა „ვალენსიას", „ესპანიოლს" და გერმანულ, ჰოლანდიურ და რუსულ კლუბებს სურდათ. ამასობაში „მალიორკამ" სეგუნდა დივიზიონში გავარდნილ „ვალიადოლიდში" **ხავი გუერა** გაუშვა.

„ბარსელონას" ბრაზილიელი ლეგიონერი **ენრიკე ადრიანო** კი სეზონს კვლავ სანტანდერის „რასინგში" გაატარებს. კატალონიური კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, კლუბები ერთწლიან იჯარაზე შეთანხმდნენ, მაგრამ ვერ მიაღწიეს თანხმობას ენრიკეს შესყიდვის შესახებ. 23 წლის ბრაზილიელი მცველი „ბარსელონამ" 2008 წელს შეიძინა „პალმეირასიდან". პირველი სეზონი მან იჯარით ბუნდესლიგაში („ლევერკუზენი") გაატარა, შარშან კი მან „რასინგში" ითამაშა. ენრიკემ სანტანდერელთა შემადგენლობაში 22 თამაში ითამაშა და ერთი გოლიც გაიტანა.

მადრიდის „რეალი" 19 წლის მარცხენა მცველ **მარკოს ალონსოს** შეელია, რომელიც ინგლისურ „ბოლტონში" სამი წლით ითამაშებს. სატრანსფერო თანხა უცნობია. ხიხონის „სპორტინგის" ფეხბურთელმა **გრეგორი არნოლინმა** 2014 წლის ივნისამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი, რომელიც 2012 წელს ეწურებოდა. ფრანგი ესპანეთში შარშან გადაბარგდა პორტუგალიიდან და პრიმერაში თავი საიმედო თამაშით გამოიჩინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანური ტრანსფერები

(22 ივლისიდან დღემდე)

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| დიეგო ვალერი (არგ) | პორტუ (პორ) | ალმერია | იჯარა |
| ბენ საჰარი (ისრ) | ესპანიოლი | ჰაპოელი თ. (ისრ) | იჯარა |
| დავიდ ლომბანი | ვალენსია | ხერესი | თავ. აგენტი |
| პაბლო ამო | სარაგოსა | პანათინაიკოსი (საბ) | თავ. აგენტი |
| ჩიკო | ალმერია | ჯენოა (იტ) | 5 მლნ. ევრო |
| სერხიო გონსალესი | დეპორტივო | ლევანტე | თავ. აგენტი |
| მილან სმილიანიჩი (სერ) | ესპანიოლი | პარტიზანი (სერ) | იჯარა |
| ალბერტ სერა | ლევანტე | ხირონა | თავ. აგენტი |
| აბელ აგილარი (კოლ) | უდინეზე (იტ) | ერკულესი | 1,5 მლნ. ევრო |
| ხულიო ალვარესი | მალიორკა | ტენერიფე | თავ. აგენტი |
| მანუ ერერა | ლევანტე | ალკორკონი | თავ. აგენტი |
| ხავი გუერა | მალიორკა | ვალიადოლიდი | 0,3 მლნ. ევრო |
| სერხიო გარსია | ვალიადოლიდი | სალამანკა | თავ. აგენტი |
| ხაირო ალვარესი | დეპორტივო | პალენსია | თავ. აგენტი |
| მარსელო სილვა (ურუ) | დანუბიო (ურუ) | ალმერია | 1,3 მლნ. ევრო |
| გუტი | რეალი | ბეშიქთაში (თურ) | თავ. აგენტი |
| რუბენ პერესი | ატლეტიკო | დეპორტივო | იჯარა |
| ანხელ სანჩესი | ლევანტე | ალკორკონი | თავ. აგენტი |
| ოსკარ დიასი | მალიორკა | ხერესი | თავ. აგენტი |
| ინიაკი მუნიოსი | ბილბაო | კარტახენა | თავ. აგენტი |
| ენრიკე (ბრა) | ბარსელონა | რასინგი | იჯარა |
| რაული | რეალი | ? | თავ. აგენტი |

5 ტოპ-ტრანსფერი

| | | |
|---|---|---|
| 40 მლნ | დავიდ ვილია | (ვალენსია-ბარსელონა) |
| 32 მლნ | იაია ტურე | (ბარსელონა-სიტი) |
| 30 მლნ | დავიდ სილვა | (ვალენსია-სიტი) |
| 25 მლნ | ანხელ დი მარია | (ბენფიკა-რეალი) |
| 15 მლნ | დმიტრო ჩიგრინსკი | (ბარსელონა-შახტარი) |

გაუგებრობა

# მესამე და... უსამართლობა

პრემიერლიგის შეფები დაკვირვებით სწავლობენ „ჩელსის" სატრანსფერო ნაბიჯებს, კერძოდ კი დასავლეთლონდონელთა მცდელობას, 20 მილიონ გირვანქად, ანუ დაახლოებით 24 მილიონ ევროდ შეიძინონ ბრაზილიელი ნახევარმცველი **რამირესი**, რომელმაც ახლახან მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. როგორც ჩანს, პრემიერლიგის ოფისში გაჩნდა ეჭვი, რომ რამირესის ტრანსფერი, შესაძლოა, წესების დარღვევით განხორციელდეს.

ეჭვი რატომღა გაჩნდაო, დაინტერესდება მკითხველი. რატომ და იმიტომ, რომ რამირესის ყიდვა-გაყიდვაში ინგლისელთათვის **კარლოს ტევესისა** და **ხავიერ მასკერანოს** საქმეებიდან ავად ნაცნობი ბრაზილიელი საქმოსანი **კია ჯურაბჩიანი** ფიგურირებს - რამირესის 50 პროცენტი მისი ყოფილა. ერთი სიტყვით, ინგლისის ჩემპიონატის თავკაცებმა განაცხადეს, რომ თუ რამირესის ტრანსფერში მყიდველ-გამყიდველად მკაფიოდ ორი მხარე არ იქნება წარმოდგენილი, ისინი ხელს არაფერს მოაწერენ.

თან, დახეთ, „ნახევარი რამირესი" თავიდანვე ჯურაბჩიანისა კი არ ყოფილა, ბრაზილიელ აგენტს „ბენფიკასთვის" ახლახან, აპრილში მიუმართავს, 6 მილიონი ევრო გადაუხდია და 23 წლის ფეხბურთელის აქციათა ნახევარსაც მაშინ დაჰპატრონებია. თუმცა, პრემიერლიგელთა ეჭვები კიდევ უფრო შორს მიდის. კერძოდ, სავარაუდოდ, მარტო ჯურაბჩიანი კი არ არის საბრალო რამირესის ინდივიდუალური პატრონი, არამედ ცნობილი აგენტი **პინი ზაჰავიც**, რომელზეც ამბობენ, ბრაზილიელის 30 პროცენტს ფლობსო.

დახეთ, რა გამოდის? თუ 20 მილიონ ფუნტად შეფასებული გარიგება მართალა შედგება, კლუბი, რომელშიც ნახევარმცველი თამაშობს, ლისაბონის „ბენფიკა" მხოლოდ და მხოლოდ 4 მილიონ ფუნტს მიიღებს.

რა წერია პრემიერლიგის წეს-კანონებში? იქ წერია, რომ ასეთი ტრანსფერის შემთხვევაში „ჩელსი" ვალდებულია, ყოველი პენი უშუალოდ „ბენფიკას" ჩაუთვალოს, ხოლო შემდეგ, სხვა მონილეებს პორტუგალიური კლუბი უნდა გაუსწორდეს. იქნებ, ვინმემ იფიქროს, ლონდონელებმა ლისაბონელებს ფული გადაუხადონ და მერე იმათ თავში ქვა უხლიათო. არ არის ასე. სანამ ყველა მხარე ოფიციალურად არ დაადასტურებს, რომ ტრანსფერით კმაყოფილია, მისი ინტერესები დაკმაყოფილდა და პრეტენზიაც არ აქვს, მანამდე ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლას რატიფიკაცია არ ეღირსება. პრემიერლიგის პრესმდივანმა განაცხადა:

*„ასეთი შემთხვევებისთვის ძალიან მკაფიო კანონი გვაქვს: ჩვენთვის გარიგების მესამე მონაწილე ყოვლად დაუშვებელია. ერთადერთი ვარიანტი საიმისოდ, რომ ტრანსფერი შედგეს, ესაა - კლუბი კლუბს უნდა გაუსწორდეს. ვიცით, ჯერ კიდევ არსებობენ ქვეყნები, რომელთა წესების თანახმად მესამე მეპატრონე და მასთან ანგარიშსწორება ნებადართულია, მაგრამ ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენთან, პრემიერლიგაში ჩვენი წესები მოქმედებს და მათ მივსდევთ კიდეც".*

ალბათ, იმასაც ხვდებით, როდის და რამ აიძულა პრემიერლიგა ასეთი კანონი შემოეღო. ეს სულ 2007 წლის ამბებია, როდესაც ინგლისელებს ზემოხსენებული კია ჯურაბჩიანის გამო კარლოს ტევესის და ხავიერ მასკერანოს საგა გადახდათ თავს. მაშინ „ვესტ ჰემი" შეცდა. ლონდონის კლუბმა ვერ გაიგო, რომ ამ ორ არგენტინელს რამდენიმე პატრონი, კერძოდ კი პატრონთა შორის ბრაზილიელი ბიზნესმენიც ჯურაბჩიანიც ჰყავდა და საბოლოოდ დაისაჯა: 5,5 მილიონი ფუნტი ხომ ჯარიმად დაეკისრა და 20 მილიონის გავარდნილი „შეფილდ იუნაიტედისთვის" გადახდა მოუხდა - შეფილდელებმა იჩივლეს, „ვესტ ჰემი" პრემიერლიგაში იმიტომ დარჩა, რომ, თურმე ფეხბურთელს უკანონოდ ათამაშებდაო.

ერთი სიტყვით, რამირესის „ჩელსიში" გადასვლის საქმე გართულდა, არადა, ლონდონელებს ყველაფრის მოგვარება კვირამდე უნდოდა, რადგან კვირას **კარლო ანჩელოტის** ფეხბურთელები შეკრებაზე მიჰყავს გერმანიაში.

**ილია ბაბუნაშვილი**


რამირესის ტრანსფერზე ეჭვობენ...

დორტმუნდი

# პრობლემა მარცხნივ

## დედე და შმელცერი დაშავდნენ. კლოპი თავის შვილს სინჯავს



დორტმუნდელთა მარცხენა მცველები, დედე და მარსელ შმელცერი

დორტმუნდის „ბორუსია" ავსტრიული შეკრებიდან გერმანიაში დაბრუნდა - ორი ტრავმირებული ფეხბურთელით. ვესტფალიელთა მთავარი მწვრთნელის **იურგენ კლოპისთვის** კი ცუდი ის არის, რომ ორივე დაშავებული ფეხბურთელი ერთი პოზიციისაა. ვგულისხმობთ მარცხენა მცველებს, **დედეს** და **მარსელ შმელცერს**.

ვეტერანი ბრაზილიელი დედე, რომელიც „ბორუსიას" ფანების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია, ორშაბათს დაშავდა და „დორტმუნდის" სამედიცინო შტაბის განცხადებით, ლაზარეთში მინიმუმ ორ კვირას დაჰყოფს. ეს კი დედესთვის უდიდესი დარტყმაა, რადგან ის არც ისე დიდი ხნის წინ გამოჯანმრთელდა და მოსამზადებელ პერიოდში მწვრთნელისთვის უნდა დაემტკიცებინა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსია. ბრაზილიელს ახალგაზრდა შმელცერის სახით, ძალიან სერიოზული კონკურენტი ჰყავს. ავსტრიულ შეკრებაზე გამოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი დედეზე უკეთეს ფორმაშია, მაგრამ ბრაზილიელის ტრავმიდან ზუსტად ერთ დღეში, 22 წლის შმელცერიც დაშავდა. „ბორუსიას" ექიმებმა ჯერ არ იციან, რამდენად სერიოზულია ამ უკანასკნელის ტრავმა, მაგრამ ფაქტია, რომ მარსელი მალე ვერ გამოჯანმრთელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კლოპს დაცვის მარცხენა ფლანგზე ახლა უკვე სერიოზული პრობლემა აქვს.

ალტერნატივა, შესაძლოა, ბერლინის „ჰერტადან" ნაყიდი **ლუკაშ პიშჩეკი** იყოს, ოღონდ ეს მარჯვენა ფლანგის ფეხბურთელია და მარცხნივ თავს მთლად კომფორტულად ვერ იგრძნობს. კლოპმა პიშჩეკი მარჯვენა მცველის, **პატრიკ ოვომოიელას** შემცვლელის რანგში შეიძინა. აქვე შეგახსენებთ, რომ დედე დორტმუნდული კლუბის დღევანდელი შემადგენლობიდან ყველაზე ძველი ბორუსიელია. ბრაზილიელმა BVB-ს 1998 წელს მიაშურა და მას მერე, შავ-ყვითელი ფორმით ბუნდესლიგაში 318 მატჩი ჩაატარა. გასულ სეზონში დედე ტრავმებმა იმდენად გატანჯეს, რომ მან ბუნდესლიგის მხოლოდ 16 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მეორე წრეში კი, ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ორჯერ ითამაშა.

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ იურგენ კლოპის 22 წლის ვაჟი **მარკიც** „დორტმუნდში" ვარჯიშობს. კერძოდ, მოყვარულთა გუნდში. ეს სინჯებია, მაგრამ როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, დიდი შანსია, რომ მარკი „ბორუსიას" სრულფასოვანი წევრი გახდეს. გუშინწინ უმცროსმა კლოპმა მოყვარულთა გუნდთან ერთად მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა - ის მარჯვენა მცველია და როგორც „კიკერი" და „ბილდი" წერენ საქმეს თავი ძალიან კარგად გაართვა. მოყვარულთა გუნდის დამრიგებელი **თეო შნაიდერი** ამბობს, მარკი ჩვენთან სინჯებზე ორი წლის წინაც იყო, მაგრამ შედარება არ არის, უდიდესი პროგრესი განუცდიაო.

უფროსი კლოპი კი ამ საკითხზე სერიოზულ კომენტარს ერიდება. მას სურდა, რომ შვილის სინჯებზე ყოფნა დიდხანს საიდუმლო ყოფილიყო, რათა მარკს ვარჯიშებზე ზეწოლა არ ეგრძნო. იურგენი ამბობს, ჩემი შვილი უბრალოდ ვარჯიშობს, სინჯებზეა და მეტი არაფერიო. „ბორუსიას" მენეჯერის, **მიხაელ ცორკის** თქმით, იმის გამო, რომ მარკი იურგენის შვილია, ახალგაზრდა კლოპს არავითარი ბონუსები არ ექნება. *„მას ჩვეულებრივად შევაფასებთ და გადავწყვეტთ, გვჭირდება თუ არა. ის ფაქტი, რომ მარკი იურგენის შვილია, გადაწყვეტილების მიღების დროს არანაირ როლს არ ითამაშებს,"* - ამბობს ცორკი.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## კრასიჩი იუვესთან ახლოსაა

შესაძლოა, ამ კვირის ბოლომდე მოსკოვის ცსკა-მ **მილოშ კრასიჩის** „იუვენტუსში" გადასვლის ამბავი გამოაცხადოს. სერბი ნახევარმცველის ტრანსფერის თაობაზე კლუბებს შორის მოლაპარაკებები უკვე დასკვნით სტადიაშია. კრასიჩმა „ბებერ ქალბატონთან" პირადი კონტრაქტის დეტალებიც შეათანხმა, „იუვენტუსი" რუსულ კლუბს მის სანაცვლოდ დაახლოებით 15-17 მილიონ ევროს გადაუხდის.

## კემპბელი თითქმის ნიუკასლელია

ლონდონის „არსენალის" ყოფილმა მცველმა **სოლ კემპბელმა** უკვე გამონახა საერთო ენა „ნიუკასლთან" და თუ ამ კლუბში სამედიცინო შემოწმებას წარმატებით გაივლის, „კაჭკაჭებთან" კონტრაქტსაც გააფორმებს.

ვეტერანმა ფეხბურთელმა „არსენალი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა, „ნიუკასლი" კი ინგლისურ პრემიერლიგას ერთწლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება.

## მანჩინი ჩემპიონობას უმიზნებს

„მანჩესტერ სიტის" დამრიგებელი აცხადებს, რომ მომავალ სეზონში მისი გუნდის მიზანი ინგლისის ჩემპიონობისთვის ბრძოლა იქნება.

*„ყველანაირი შესაძლებლობა გვაქვს იმისთვის, რომ პრემიერლიგა მოვიგოთ. მთავარია, საკუთარი თავისა გვწამდეს. ბოლო დროს საგრძნობლად გავძლიერდით. თუკი წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი მეოთხე ადგილის დაკავებაც კი ვერ შევძელით, ახლა ჩემპიონობის ძალა შეგვწევს"*, - ამბობს **რობერტო მანჩინი**.

მან კლუბის სავარაუდო ტრანსფერებზეც ისაუბრა: *„ფერნანდო ტორესი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და ბუნებრივია, მისი შეძენის დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ საკითხავი ისაა, მოისურვებს თუ არა იგი ჩვენთან თამაში. იგივე სიტუაციაა ჯეიმს მილნერთან დაკავშირებითაც"*.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბაიერნი

# ბადშტუბერმა გაინაღდა...

## დემიკელისი და ვან ბუიტენი ერთი ადგილისთვის იბრძოლებენ

კვირას **მარტინ დემიკელისი** მიუნხენში დაბრუნდა და „ბაიერნს" შეუერთდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებთან განცდილი მარცხიდან 22 დღის შემდეგ, არგენტინელი მცველი ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. დემიკელისმა პირველივე დღეს თანაპოზიციელ **დანიელ ვან ბუიტენთან** ერთად ირბინა და დიდი შანსია, რომ ბელგიელი უკანახაზელი მომავალ სეზონში მარტინის მეწყვილე კი არა, უმთავრესი კონკურენტი იყოს.

*„მომავალ სეზონში ჰოლგერ ბადშტუბერი დაცვის ცენტრში ითამაშებს და ამას წყალი აღარ გაუვა. ჰოლგერმა გასულ სეზონში უმეტესად მარცხნივ იმის გამო იასპარეზა, რომ დაცვის მარცხენა ფრთაზე კარგი ალტერნატივა არ არსებობდა. ახლა კი ლუის ვან გაალი ფიქრობს, რომ ამ პოზიციაზე სათამაშოდ ახალგაზრდა დიეგო კონტენტო მზადაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბადშტუბერი ისევ ცენტრში უნდა დაბრუნდეს და თანაც, მას ძირითად შემადგენლობაში თამაში ფაქტობრივად გარანტირებული აქვს. შესაბამისად, მეორე ადგილისთვის ბრძოლა დემიკელისს და ვან ბუიტენს მოუწევთ,"* - განაცხადა „ბაიერნის" მენეჯერმა **კრისტიან ნერლინგერმა** „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

სხვათა შორის, წინა სეზონის დასაწყისში, „ბაიერნის" დაცვის ცენტრში ვან ბუიტენი და **ბადშტუბერი** თამაშობდნენ. დემიკელისი მაშინ ტრავმირებული იყო და ბადშტუბერმა მარცხნივ მაშინ გადაინაცვლა, როცა ვან გაალს მარცხენა მცველის პოზიციაზე პრობლემები შეექმნა (**ბრააფჰეიდმა** და **პრანიჩმა** იმედები ვერ გაამართლეს, **კონტენტო** და **ალაბა** კი ძალიან გამოუცდელები იყვნენ). ამრიგად, სეზონის მეორე ნახევარში, დაცვის ცენტრს დემიკელისი და ვან ბუიტენი შეადგენდნენ, მაგრამ ვან გაალი არასდროს უარყოფდა, რომ 29 წლის არგენტინელის თამაშით მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო. დემიკელისი ხშირად უშვებდა შეცდომას და უმეტესად არაკონცენტრირებული გახლდათ. რეკორდმაისტერის თავკაცი არც ვან ბუიტენითაა აღფრთოვანებული. ბელგიელმა განსაკუთრებით ცუდად ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, როცა ვან ბუიტენი „ინტერის" ფორვარდ **დიეგო მილიტოს** „შემოეჩაგრა".

**გოტფრიდ ლენცი**

ვერდერი

# ტორსტენ, შე ძველო!

## ფრინგსი და ნალდო ფეხზე დადგნენ, როზენბერგი ალბათ წავა

ხვალ ბრემენის „ვერდერი" ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპზე რიგით მესამე შეკრებას დაიწყებს და გუშინ გადაწყდა, რომ ბრემენულ კლუბს ბად ვალტერსდორფში **ტორსტენ ფრინგსიც** გაჰყვება. 33 წლის ნახევარმცველმა ტრავმა მოირჩინა და გუშინწინ მსუბუქად ივარჯიშა, ახლა კი ვარჯიშების სრული დატვირთვით განახლებაც შეუძლია. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ საკითხავია, გაჰყვება თუ არა „ვერდერს" შეკრებაზე შვედი თავდამსხმელი **მარკუს როზენბერგი**.

*„ახლა უკვე ძალიან კარგად ვარ და არაფერი მაწუხებს, გავალ თუ არა მოედანზე, ეს, რა თქმა უნდა, შააფის გადასაწყვეტია. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ დარწმუნებული ვარ, შაბათს თამაშისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები. ფეხბურთის თამაში ძალიან მომენატრა"*, - აცხადებს ფრინგსი და იმედოვნებს, რომ შაბათს გასამართ ამხანაგურ შეხვედრაში, რომელშიც „მუსიკოსები" უნგრულ „ჰალადასს" ხვდებიან, გუნდის მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** ათამაშებს.

ფრინგსთან ერთად შააფს ლაზარეთიდან ბრაზილიელი მცველი **ნალდოც** დაუბრუნდა და ნახევარმცველი **დანიელ იენსენიც**. ამ უკანასკნელის საქმე გაცილებით უკეთაა: დანიის ნაკრების ნახევარმცველი დღეიდან სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

სამაგიეროდ, ნამდვილად ცუდადაა შვედი ფორვარდის, მარკუს როზენბერგის საქმე. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მას „ვერდერის" დატოვება მოუწევს. მართალია, როზენბერგმა „ფრაიბურგთან" ტესტმატჩში დუბლი შეასრულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გამორიცხულია, რომ შააფმა ის კლუბში დატოვოს. როზენბერგს გასულ სეზონში კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, რომ შააფისთვის თავისი შესაძლებლობები დაემტკიცებინა და რაკი ეს ვერ შეძლო (მხოლოდ 1 გოლი მთელ სეზონში), „მუსიკოსების" დამრიგებელმა მასზე ახლა უკვე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი. ამრიგად, როზენბერგი გაყიდვის ნომერ პირველი კანდიდატია. თანაც, ბრემენული კლუბის წინა ხაზში ხომ უდიდესი კონკურენციაა - მას მერე, რაც გუნდმა ახალგაზრდა ავსტრიელი თავდამსხმელი **მარკო არნაუტოვიჩი** იყიდა, შააფს სამი მაღალი კლასის ფორვარდი ჰყავს: არნაუტოვიჩი, **კლაუდიო პისარო** და **უგო ალმეიდა**.

*„გამორიცხული არ არის, რომ მარკუსი ჩვენთან დარჩეს, მაგრამ ეს ალბათ არ მოხდება. ჩვენ მისი დარჩენის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ როზენბერგს უნდა, რომ უფრო ხშირად ითამაშოს, ჩვენ კი ამის გარანტიას ვერ ვაძლევთ. ასე რომ, საინტერესო წინადადების შემთხვევაში მარკუსს გავყიდით"*, - ეს „ვერდერის" ბოსის, **კლაუს ალოფსის** სიტყვებია. ცნობილია, რომ როზენბერგის გადაბირება ფრანგულ კლუბებს, პსჟ-სა და „მონაკოს" უნდათ.



ტორსტენ ფრინგსი გამოჯანმრთელდა და ვერდერს შეკრებაზე მიჰყვება

შტუტგარტი

# ბობიჩი შინ დაბრუნდა

„შტუტგარტს" ახალი მენეჯერი ჰყავს: გელზენკირხენის „შალკეში" „გაქცეული" **ჰორსტ ჰელდტი**, შვაბური კლუბისთვის ლეგენდარულმა ექსფეხბურთელმა **ფრედი ბობიჩმა** შეცვალა. შესაძლოა, არ იცოდეთ და აუცილებლად გეტყვით, რომ ფრედი აქამდე ბულგარეთში, ბურგასის „ჩერნომორეცში", ასევე მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობდა. სხვათა შორის, ამ კლუბს კიდევ ერთი ლეგენდარული შტუტგარტელი, ბულგარელი **კრასიმირ ბალაკოვი** წვრთნის. ხსენებულ კლუბთან მას კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებდა.

*„მიხარია, რომ „შტუტგარტში" ვბრუნდები. 11 წელია, ამ კლუბთან კავშირი აღარ მქონია, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ჩემი მშობლიური კლუბია. ამ თერთმეტი წლის განმავლობაში შვაბურ კლუბში ბევრი რამ შეიცვალა,"* - განაცხადა ბობიჩმა გუშინ ოფიციალურ პრეზენტაციაზე. ფრედის მენეჯერობაში ასისტენტობას **იოხენ შნაიდერი** გაუწევს. ბობიჩმა „შტუტგარტთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გაგახსენებთ, რომ ფრედი ბობიჩმა სახელი სწორედ „შტუტგარტში" გაითქვა. ის ბალაკოვთან და **ჯოვანი ელბერთან** ერთად, შვაბური კლუბის „მაგიურ სამკუთხედს" ქმნიდა. „შტუტგარტის" ფორმით ჩატარებულ 148 მატჩში ფრედის 69 გოლი აქვს გატანილი. 1997 წელს მან VFB-ისთან ერთად, გერმანიის თასი მოიგო. ევროპის 1996 წლის ჩემპიონი ბობიჩი აქტიური სპორტული კარიერის დროს, ბუნდესლიგაში „შტუტგარტის" გარდა, დორტმუნდის „ბორუსიას", „ჰანოვერისა" და ბერლინის „ჰერტას" ღირსებას იცავდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა


ჯონათან ვუდგეიტი საჭირო აღარ არის

# უსაქმური მილიონერები

**როტაციის** პრინციპი გასაგებია, გულშემატკივარი მას უკვე მიეჩვია, მაგრამ ის, რასაც პრემიერლიგის ახალი წესი მოიტანს, სულ სხვაა და ერთ ძალიან უცნაურ თუ სულელურ რაღაცას მოიტანს - ახალ სეზონში პრემიერლიგაში ვნახავთ ფეხბურთელებს, რომლებიც ყოველ კვირას 40-50 ათას ფუნტს მიიღებენ, მაგრამ სათადარიგოთა სკამს ვინ ჩივის, თამაშების დროს ტრიბუნაზე ისხდებიან. მიზეზი გაინტერესებთ? წესია: გუნდში 25 ფეხბურთელი უნდა იყოს.

„ტოტენჰემის" მწვრთნელმა" **ჰარი რედნაპმა**, მაგალითად, უკვე დაასახელა მოთამაშე, რომელიც 25 კაცში არაფრად სჭირდება - **ჯონათან ვუდგეიტი**. არადა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვუდგეიტი სულ რაღაც ორი წლის წინ ჯერ კიდევ ინგლისის ნაკრებში თამაშობდა. ასეთივე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან სხვა ინგლისური კლუბებიც. კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედში" დიდშემოსავლიანი პენსიონერის მდგომარეობაში აღმოჩნდება **ოუენ ჰარგრივზი,** ხოლო „ფულჰემში" ფეხბურთელი, რომელშიც ლონდონელებმა სარეკორდო თანხა, 10,5 მილიონი ფუნტი გადაიხადეს - **ენდი ჯონსონი**. ჯონსონს, ისევე როგორც ჰარგრივზს, ტრავმებმა დარია ხელი და იანვრამდე მისი თამაში გამორიცხულია - აბა, რომელი გუნდი ჩართავს შეზღუდულ სიაში მოთამაშეს სანამ ის ბოლომდე არ გამოჯანმრთელდება და ფორმასაც არ აღიდგენს?

„მანჩესტერ სიტის", მოგეხსენებათ, ფული თავზე საყრელად აქვს. ისტლენდერებს უკვე 33 ფეხბურთელი ჰყავთ და არ ცხრებიან, ბაზარზე კიდევ აქტიურობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ზედმეტი ხალხი დროულად ვერ გაყიდეს, თავისი „უსაქმო მოჯამაგირეებისთვის" ტრიბუნაზე ერთი სექტორის დაქირავება მოუწევს ანაც ამ ხალხს უნდა უთხრას, სტადიონზე საერთოდ ნუ მოხვალთ, ფეხბურთის დღეებში სადაც გინდათ იქ იარეთო. მერედა, „სიტიში" ტრიბუნაზე შესაძლოა ისეთი ფეხბურთელები დარჩნენ, როგორებიც არიან პარაგვაელი **როკე სანტა კრუზი** და უელსელი **კრეიგ ბელამი**. ორშაბათ საღამოს პრემიერლიგის ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი ბრძანებდა:

*„რა უნდა ვუქნათ მორალურ მხარეს? რა დღეში ჩაცვივდებიან ბიჭები, რომელთაც გამოვუცხადებთ, რომ თამაშის დღეებში ისინი არათუ შემადგენლობაში ვერ მოხვდებიან, არამედ ბუცების მორგების შანსიც კი არ ექნებათ"?*

თუმცა, საკითხის მორალურ თუ სხვა მხარეებთან დაკავშირებით კითხვები რომ არ გაჩნდეს, მოდი, ჯერ ზუსტად ჩამოვაყალიბოთ წესი, რომლის გამოც ამ წერილში ვლაპარაკობთ: *„1 სექტემბრის საღამოს 5 საათის შემდეგ პრემიერლიგის კლუბებს ძირითადი გუნდის სიაში უნდა ჰყავდეთ მაქსიმუმ 25 ფეხბურთელი. მათგან რვა უნდა იყოს ადგილობრივი"*.

რატომ 1 სექტემბერს? იმიტომ, რომ ამ დღეს სატრანსფერო ბაზარი იხურება და ადგილობრივი რაღას ნიშნავს? ფეხბურთელს, რომელმაც 21 წლამდე ინგლისის ან უელსის პროფესიულ კლუბში სამი წელიწადი მაინც ივარჯიშა.

საინტერესო ის არის, რომ ამ სისტემას ხელი, შარშან, სექტემბერში, პრემიერლიგის უკლებლივ ყველა კლუბის თავმჯდომარემ მოაწერა, მაგრამ მწვრთნელებმა მაშინ მათი მონაყოლი, როგორც ჩანს, ცალ ყურში შეუშვეს და მეორიდან გამოუშვეს, ახლა კი მიხვდნენ, რომ ახალ წესს უარყოფითი მხარეებიც აქვს. რედნაპი თავად იგონებს, რომ იყო დრო, როდესაც ვუდგეიტზე თვით სერ **ბობი რობსონი** ამბობდა, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მცველიაო.

*„მაგრამ, მე ვუდგეიტს ჩემს 25 ფეხბურთელში ვერ შევიყვან* - ამბობს „სფურზის" თავკაცი - *როგორ შეიძლება გუნდში იყოლიო კაცი, რომელსაც ვერასდროს ათამაშებ. ვუდგეიტი, ხომ ფიზიკურად მზად ვერ იქნება. ახლა ივლისია და ზაფხულის დასრულებამდე დრო ჯერ კიდევ არის, მაგრამ არ მჯერა, რომ ამ დროში ამ ფეხბურთელმა ისე მოუმატოს, რომ აზრი შემაცვლევინოს"*.

ასე რომ, დიდი შანსია, ვუდგეიტს პრემიერლიგაში ბოლო თამაში უკვე ჩატარებული ჰქონდეს.

გასულ სეზონში „პორტსმუთს" 33 ფეხბურთელი ჰყავდა, დანარჩენი გუნდების უმრავლესობას კი 27, რომელთაგან, ხშირ შემთხვევაში 12 ინგლისელი გახლდათ, ხოლო შვიდი 21 წელზე უმცროსი. ახალი წესი მცირე გუნდებს ახალგაზრდების შენარჩუნების შანსს უზრდის. როგორ? თუკი დიდ კლუბებს მათთვის ახალგაზრდის წართმევა მოუნდებათ, თავიანთი 15-კაციანი სიიდან ვინმეს გარიცხვა მოუწევთ, ამას კი, სავარაუდოდ, მოერიდებიან. აი, რაც შეეხება სახელფასო ამბავს, აქ, რასაკვირველია, პრობლემაა. იმ ფეხბურთელთაგან, რომელთაც ტრიბუნებისკენ მიუთითებენ, ბევრს, რასაკვირველია, დიდი ხელფასი და კონტრაქტის თანახმად კიდევ წლები აქვს დარჩენილი. ბუნებრივია, ჯამაგირზე ისინი უარს თავიანთი ნებით არ იტყვიან, ხოლო გყავდეს ისინი და არაფერში გამოიყენო, კლუბისთვის არის სისულელე. გამოდის, რომ უმეტეს შემთხვევაში ამ ფეხბურთელებს სადმე გააქირავებენ (ქირის აღება მაინც შერჩეთ), ოღონდ ხელფასს ისევ გამქირავებელი კლუბი გადაუხდით.

თუმცა, რედნაპი ცდილობს მაინც იმედიანად იყოს: *„ვფიქრობ, ახალი წესის წყალობით სცენაზე ძლიერი თაობა გამოვა. ბევრ ახალგაზრდას მართლაც კარგი მონაცემები აქვს, თორემ თეორიულად შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ 25 კაცში ვიღაც ნაკლებად ნიჭიერი ახალგაზრდების შეყვანა მხოლოდ და მხოლოდ წესის გამო მოგიხდეს"*.

ასეთ დროს, რასაკვირველია, აჯობებს სულ არ ჩამოწერო 25 კაცი - წესში ლაპარაკია „არა უმეტეს 25 ფეხბურთელზე". რაც შეეხება კითხვას, იქნებიან კი ახალი სისტემის წყალობით დაწინაურებული ახალგაზრდა ფეხბურთელები, მაინცდამაინც ინგლისელები, ასე ვუპასუხებთ: რასაკვირველია, არა. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ლაპარაკია ნებისმიერი ეროვნების ფეხბურთელზე, რომელიც სანამ 21 წლისა გახდებოდა, სამი წელიწადი ინგლისურ ან უელსურ კლუბში ივარჯიშა. ანუ, შესაძლოა, რომელიმე ინგლისურ კლუბს მოეწონა, ვთქვათ, ქართველი ახალგაზრდა, წაიყვანა და თავისთვის გაზარდა. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ქართველი ახალგაზრდა მომავალში ინგლისის ნაკრებში ითამაშებს. თუმცა, რასაკვირველია, ახალი კანონის დახმარებით, მეტწილად, მაინც ინგლისელი ფეხბურთელები გაიზრდებიან და პრემიერლიგაში მოღვაწე ბევრი ადამიანის რწმენით, თანდათანობით ისინი უცხოელი ვარსკვლავების შემცირებულ რაოდენობას ჩაანაცვლებენ.

ახლა, მოდი ის შემთხვევა განვიხილოთ, როდესაც 25 კაციდან რომელიმე ფეხბურთელი დაშავდება. ასეთ დროს პრემიერლიგელებს შეუძლიათ თავიანთი 21-წლამდელთა გუნდიდან (სადაც არანაირი შეზღუდვა არ აქვთ) დიდ გუნდში ვინც უნდათ, ის გადაიყვანონ. განსაკუთრებული წესია მეკარეებზე. თუ სამი მთავარი მეკარიდან ორი დაშავდება, კლუბს შეუძლია ახლები იყიდოს.

სეზონის წინ

# ...უნდა წავსულიყავიო

**პოლ სქოულზმა** ფლორიდაში ამერიკელ ბავშვებს ფეხბურთის, მათებურად სოკერის გაკვეთილები ჩაუტარა, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ ინგლისელი ამერიკელებს თამაშს ასწავლიდა, ენამწარე ადამიანებს მსოფლიოს ჩემპიონატი და სქოულზის ქვეყნის ფიასკო გაახსენა: სწორედ ამერიკელებთან შეხვედრაში შეცდა ინგლისელთა გოლკიპერი **რობერტ გრინი,** როდესაც **კლინტ დემპსის** დარტყმული ბურთი გაუშვა და მთელ დედამიწას სალაპარაკოდ გაუხადა საქმე. თუმცა, მოდი ვიყოთ სამართლიანები და ვთქვათ, რომ ინგლისელთა წარუმატებლობას გაცილებით ღრმა ფესვები ჰქონდა, ვიდრე გრინის ერთი შეცდომაა და ეს იმ თამაშშიც ნათლად გამოჩნდა და მომდევნო თამაშებშიც. გეხსომებათ, **ფაბიო კაპელოს** გუნდი მერვედფინალში გერმანიასთან დამარცხდა 4:1 და სამხრეთ აფრიკის დატოვებამ ნაადრევად მოუწია.

35 წლის სქოულზი ახლა უკვე ფიქრობს, რომ შეცდა - „მუნდიალზე" გამგზავრება მართებდა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი ზოგადად მოკრძალებული ადამიანია, თუმცა ამჯერად აღიარებს, - ის რომ ყოფილიყო, მისი თანაგუნდელი **უეინ რუნიც** გაცილებით უკეთ გაართმევდა თავის წილ ამოცანას თავს. რატომ წამოიჭრა ეს საკითხი? იმიტომ, რომ, როგორც ირკვევა, კაპელოს ასისტენტმა **ფრანკო ბალდინიმ** სამხრეთ აფრიკაში წასაყვან მოთამაშეთა სიის საბოლოოდ ჩამოწერის წინადღესაც კი დაურეკა სქოულზს და სთხოვა, თავისი ქვეყნის გულისთვის დაჰბრუნებოდა ეროვნულ გუნდს, რათა კარიერაში მესამე მსოფლიოს ჩემპიონატში მიეღო მონაწილეობა.

*„ახლა ვფიქრობ, რომ უნდა წავსულიყავი* - ამბობს სქოულზი, რომელსაც ეროვნულ გუნდში 66 შეხვედრაში 14 გოლი აქვს გატანილი - *მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის შანსს მაძლევდნენ, მე კი უარი ვთქვი"*.

სქოულზმა ნაკრებში თამაშს თავი 2004 წელს დაანება. მაშინ მიზეზად ის მოიდო, ჩემთვის ბუნებრივ პოზიციაზე არ მათამაშებენო. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი სერიოზული არგუმენტი - პროფესიონალ ფეხბურთელებს, მოგეხსენებათ, სულ მივლინებებში უწევთ ყოფნა და სანაკრებო ფეხბურთი ოჯახთან დაშორების დამატებითი წყარო გახლდათ. მეორე მხრივ კი, მანჩესტერელი ვეტერანი ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინადადებით ბალდინის კი არა, თვით კაპელოს რომ მიემართა... თურმე, ხვეწნა სჭირდებოდა.

*„მე მწვრთნელმა არ დამირეკა, ჩემთან რომ დარეკა, ბალდინი იყო. კაცმა რომ თქვას, კაპელოს პირადად არც ვიცნობ, მაგრამ მას რომ დაერეკა, იქნებ დავთანხმებოდი კიდეც. მაშინ ჩავთვალე, რომ ორი საათი ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად ცოტა დროა და უარიც ამიტომ შევუთვალე"*.

დღეს კი სქოულზი ამბობს, რომ ევრო 2012-ის შესარჩევში ბულგარეთთან სათამაშოდ თვით კაპელომაც რომ დამირეკოს, უარს ეტყვის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვეტერანი ნახევარმცველი ახლა უკვე მეუღლესა და სამ შვილთან ურთიერთობისთვის აპირებს მეტი დროის გამოძებნას და თან მწვრთნელის კარიერისთვისაც სერიოზულად ემზადება. მის გეგმებში ინგლისის ნაკრებთან დაკავშირებით აღარაფერი შედის და მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთგულია ბოლომდე - ამერიკაში სეზონისწინა შეკრებაზე გაჰყვა. „იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** ხომ ახალ, ერთწლიან კონტრაქტზე მაინც დაიყოლია ვეტერანი.

სქოულზი: *„მთელი გასული სეზონის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი ბოლო ჩემპიონატი იყო. „იუნაიტედის" ძირითადში უკვე 16 პირველობა ჩავატარე. როდესაც ფიქრობ, რომ ამა თუ იმ გუნდს უკანასკნელად ეთამაშები, განსაკუთრებით ემზადები. ერთი ვარჯიშიც კი არ გამომიტოვებია. რალაცნაირად მოვახერხე და არც კი დავშავებულვარ. ყველაზე უკეთ თავად ვგრძნობ, ჯანზე როგორ ვარ და თავადვე ვიგრძნობ, როდის აღარ შემეძლება „მანჩესტერ იუნაიტედის" მოთხოვნების შესაბამისად თამაში"*.


ბურთით პოლ სქოულზი

სქოულზს, რასაკვირველია, სურს ფეხბურთელის კარიერა ინგლისის ჩემპიონის რანგში დაასრულოს, თუმცა, ხედავს, რომ „იუნაიტედის" მეზობლად, იმავე ქალაქში ისტლენდერები, „მანჩესტერ სიტი" იკრებს ძალას:

*„ჩემპიონობა, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ, ყველაზე მეტად არ მინდა ცხრილში ჩვენ ზემოთ „მანჩესტერ სიტი" დავინახო. ასეთი რამ ჩემი კარიერის განმავლობაში ერთხელაც არ მომხდარა. ისტლენდზე ძალიან ბევრ ფეხბურთელს ყიდულობენ, მაგრამ მათ ერთ გუნდად შესაკრავად წებო ეყოფათ თუ არა, გამოჩნდება. ისე კი, ჩვენი ქალაქისთვის ორი უძლიერესი გუნდის ყოლა ძალიან დიდი საქმეა. ათი წლის წინ „სიტი" ხომ არც იყო პრემიერლიგაში"*.

ხოლო, სქოულზისთვის ოჯახი რომ უმნიშვნელოვანესია, იქიდანაც ჩანს, რომ ფლორიდის ბავშვთა აკადემიაში გაკვეთილის ჩატარება ცოლის ბიძაშვილმა სთხოვა...

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



პენტაკამპეონები

# ბრაზილია ამ კაცის იმედადაა

## ლუის ანტონიო ვენკერ მენეზეში გულშემატკივრებს ჰპირდება, რომ სელესაო ისევ შემტევ და ლაღ ფეხბურთს ითამაშებს

**მაშ ასე: ბრაზილიელებმა კარლოს დუნგას შემცვლელს მიაგნეს: „სელესაოს“ აქამდე ევროპაში ბევრისთვის უცნობი სპეციალისტი, სამაგიეროდ ბრაზილიაში საკმაოდ სახელგანთქმული მანო მენეზეში მიხედავს. 48 წლის მწვრთნელის ამოცანა ცხადზე უცხადესია: მის ხელში ბრაზილიის ნაკრებმა ისევ შემტევი და კრეატიული ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ცხადია მიზანიც: მსოფლიოს ჩემპიონობა 2014 წლის მუნდიალზე, რომელიც ბრაზილიაში გაიმართება.**


ბრაზილიის ნაკრების ახალი მწვრთნელი იმედიანად იღიმება

„გუგლში“ ლუის ანტონიო ვენკერ **მენეზეშის** (ასე ჟღერს მანოს სრული სახელი) ფოტოები რომ დაძებნოთ, მხოლოდ რამდენიმე ისეთ ფოტოს აღმოაჩენთ, სადაც „სელესაოს“ ახალი თავკაცი იღიმება. მენეზეში უმეტესად სერიოზულია, რაც ბრაზილიელ ქომაგებს ყველაზე მეტად მოსწონთ, რადგან ამიერიდან, მას ძალიან კარგად ანაზღაურებად მოთამაშეებთან მოუწევს მუშაობა, რომელთაგან უმეტესობა გაზულუქებულია. „სელესაოს“ სახით, მენეზეშს ძალიან მძიმე ტვირთი დააწვა, რადგან წლევანდელ მუნდიალზე ბრაზილიამ ცუდად იასპარეზა, ოთხი წლის შემდეგ კი, მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიაში უნდა გაიმართოს, რაც ორმაგად მძიმე ზეწოლას ნიშნავს. „სელესაო“ უბრალოდ ვალდებულია, ოთხი წლის შემდეგ თასი ბრაზილიაში დატოვოს.

მანომ დუნგას პოსტი ორშაბათს ჩაიბარა და პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ წნეხის, რომელიც უდავოდ ძალიან დიდი იქნება, არ ეშინია. მან ისიც თქვა, რომ მის ხელში „სელესაო“ აუცილებლად ძველებურად შემტევ და კრეატიულ, სანახაობრივ ფეხბურთს ითამაშებს და იქვე დასძინა, რომ მისი ამოცანა ბრაზილიის ნაკრების გაახალგაზრდავებაც იქნება.

*„ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ერთხელაც ბრაზილიის ნაკრებს ჩამაბარებდნენ, მაგრამ ეს იმაზე სწრაფად მოხდა, ვიდრე ვფიქრობდი. რაკი ასეა, მზად ვარ, ეს ტვირთი ვზიდო,“* - თქვა მან პრესკონფერენციაზე.

ცნობილია, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **რიკარდო ტეიშეირას** მენეზეშზე მეტად, **მურისი რამალიოს** დანიშვნა სურდა, მაგრამ ეს უკანასკნელი კლუბმა (ფლუმინენსე) არ დათმო. შესაბამისად, მანო მენეზეში მხოლოდ მეორე, სათადარიგო არჩევანია, მაგრამ მისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ამბობს: *მე საკმაოდ კარგი სახელი მაქვს და საკლუბო დონეზე არაერთხელ დავამტკიცე ჩემი შესაძლებლობები, ასე რომ, მიმაჩნია, „სელესაო“ დამსახურებულად ჩამაბარეს და პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ ჩემზე წინ რამალიოს ეპატიჟებოდნენო.*

მართლაც: მენეზეშს საკლუბო დონეზე ბრაზილიაში ძალიან კარგი სახელი აქვს. ექსპერტები მას რთული სიტუაციების მწვრთნელად მიიჩნევენ და ამიტომაცაა, ბრაზილიის ნაკრებში მის დანიშვნას რომ მიესალმებიან - „სელესაო“ ხომ მართლაც არასახარბიელო მდგომარეობაშია. სანამ დანიშნავდნენ, მენეზეშმა მეორეხარისხოვან კლუბად გადაქცეული „კორინთიანსი“ ისევ იქ დააბრუნა, სადაც ამ კლუბის ადგილია - მოწინავეებს შორის. უფრო ადრე კი, მანომ ასეთივე წარმატებას „გრემიოშიც“ მიაღწია.

მენეზეშს შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან ამ ეტაპზე მისი მისამართით მხოლოდ ქება ისმის. დუნგასგან განსხვავებით, „კორინთიანსის“ ყოფილი მწვრთნელი „სელესაოს“ თავკაცის რანგში ყველას ესიმპათიურება. ეს იმის ბრალიცაა, რომ მანო გულშემატკივრებს დაჰპირდა, ბრაზილიას შემტევ ფეხბურთს ვათამაშებო. სოციალურ ვებგვერდ „ტვიტერზე“ ორიოდ დღის წინ, თვით **რონალდომ** დაწერა, მთელ ბრაზილიასთან ერთად, მეც მჯერა, რომ მანო მენეზეში „სელესაოს“ უდიდეს მწვერვალს კიდევ ერთხელ დააპყრობინებსო.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ტეიშეირას თქმით, მენეზეში დიდ ყურადღებას მიაქცევს ბრაზილიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს და „სელესაოში“ უმეტესად სწორედ ადგილობრივები მოხვდებიან. შესაძლოა, ახალ მწვრთნელს ამიტომაც აქებენ, რადგან ბრაზილიელებს ყოველთვის მოსწონდათ და უხაროდათ, როცა „სელესაოს“ თავკაცები ნაკრებში ბრაზილიის ჩემპიონატში მოთამაშეებს უხმობდნენ.

ბრაზილიის მთავრობაში კი უკვე განაცხადეს, რომ გამოიყოფა 2.5 მილიარდი ევრო და ეს თანხა ინფრასტრუქტურისა და მუნდიალის სტადიონების რეკონსტრუქციას, ასევე, ბრაზილიის ბავშვთა ფეხბურთს მოხმარდება. ბრაზილიელებს უნდათ, რომ ოთხ წელიწადში მსოფლიოში საუკეთესო სტადიონები ჰქონდეთ და საუკეთესო ნაკრები ჰყავდეთ, რომელიც მუნდიალს ბრაზილიურ სტილში, ბევრი გოლებით და ლამაზი ფეხბურთით მოიგებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა



მარცხნიდან: ხათუნა ნარიმანიძე, მამუკა ქაცარავა, ვლადიმერ ვარძელაშვილი, დავით ნამგალაური

# მშვილდოსნებს კორეელი დამოძღვრავს

## ამერიკელებმა ქვრივიშვილი ისევ აგვაცალეს

ქალ მშვილდოსანთა ნაკრები მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპისთვის მიხეილ მესხის სტადიონზე რომ გადის შეკრებას, „ლელომ" უკვე გაცნობათ. გუშინ სპორტსმენები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** მოინახულა, რომელიც ადგილზე გაეცნო ვითარებას და მოუსმინა მშვილდოსნებს. მინისტრთან ერთად შეხვედრას მისივე მოადგილე **დავით ნამგალაური**, სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი **გია გალდავა**, სხვა მაღალჩინოსნები და საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **მამუკა ქაცარავაც** ესწრებოდნენ.

მსგავსი ვიზიტები მინისტრის მიერ ფედერაციების და ნაკრებების ახლოს გაცნობას ისახავს მიზნად, თუმცა გაირკვა, რომ მშვილდოსნებს ბევრი პრობლემა არც აწუხებთ. ყოველ შემთხვევაში, ხელმძღვანელთათვის არც არაფერი უთხოვიათ და მოსამზადებელი პირობებით კმაყოფილებაც გამოთქვეს. დაფინანსებით ურიგოდ არც ადრე გვაფინანსებდნენ, მაგრამ ამდენი შეკრება არასოდეს გვქონია, ყოველი ტურნირის წინ გვიწყობენო, უთხრეს მინისტრს. სპორტსმენები უთუოდ იმას გულისხმობდნენ, რომ გაიზარდა მათდამი ყურადღება და ზოგადად ამ ფაქტისადმი გამოხატეს მადლიერება, თორემ ახალდანიშნულ მინისტრს აქამდე მოწყობილ შეკრებებში წვლილი არ მიუძღვის. სამაგიეროდ, სამომავლოდ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა, კონკრეტულად კი აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე შანხაიში, მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპზე გასამგზავრებლად დაფინანსებას შეჰპირდა.

ჯერჯერობით ახალი იარაღი აღარ გვჭირდებაო, უთხრეს მშვილდოსნებმა მინისტრს. ნაკრების წევრთაგან **ქრისტინე ესებუას** და **ასმათ დიასამიძეს** კორეული ფირმა აძლევს იარაღს, **ხათუნა ნარიმანიძის** სპონსორი კი ამერიკული „ჰოითია". მათ ნარიმანიძეს უახლესი მოდელიც აჩუქეს, რომლითაც ერევანში ისროლა ევროპის დიდ პრიზზე, მაგრამ ჯერ ვერ შეეგუა და ისევ ძველით ირჯება. ოღონდ ძველი იმასაც პირობითად ეთქმის, მხოლოდ ამასთან შედარებით, თორემ მორყეული და დანჯღრეული არ გეგონოთ. თუ რატომ ვერ შეეგუა ახალს, ამის მიზეზი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ ფუტკარაძემ** ასე განმარტა, ის ძველზე ერთი კილოგრამით მჩატეა და შესაგუებლად დრო სჭირდებაო. რაკილა სიტყვა წონაზე ჩამოვარდა, იმასაც გეტყვით, რომ, როგორც ნარიმანიძემ თქვა, მისი ძველი მშვილდი ჩვეულებრივ კი 3,5 კილოგრამს იწონის, მაგრამ სროლისას დატვირთვა 17 კილოგრამამდე იზრდება.

„მოგეხსენებათ, მშვილდოსნები მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან. როგორც მითხრეს, კარგ ფორმაში არიან. თან ესაა სახეობა, რომელშიც ოლიმპიურ ლიცენზიას მოვიპოვებთ და ლონდონის თამაშებზე გუნდი გვეყოლება. ჩვენ კარგი სპორტსმენები გვყავს და ვიმედოვნებ, იქ წარმატებით გამოვლენ", - განაცხადა ვარძელაშვილმა. მინისტრს თურქეთში მცხოვრები **ნატო ნასარიძის** შესახებაც ვკითხეთ, გუნდის გაძლიერების მიზნით აპირებდა თუ არა მის ჩამოსაყვანად მუშაობას, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერი გვიპასუხა. „ეს საკითხი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს, მე კი მასთან ამ თემაზე არ მილაპარაკია. თუ ის საჭიროდ მიიჩნევს ნასარიძის ჩამოყვანას, ჩვენგან ყველანაირი მხარდაჭერა ექნება", - გვითხრა მინისტრმა. სამაგიეროდ, ამ თემაზე ძალზე საინტერესო ამბები ქაცარავასგან შევიტყვეთ. თურმე ფედერაცია ნასარიძეზე არა, მაგრამ ამერიკიდან **ხათუნა ლორიგის (ქვრივიშვილის)** დაბრუნებაზე კი მუშაობდა სერიოზულად, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორთან წინასწარ შეთანხმებასაც მიაღწია, მაგრამ ამერიკელებმა ჩვენებურს ხელფასი გაუხუთმაგეს და გარიგებაც ჩაიშალა. ქაცარავამ ისიც გვითხრა, რომ შემოდგომაზე ნაკრებს კორეელი კონსულტანტი და პოლონელი ფსიქოლოგიც ეყოლება, რაც ძალზე საშური საქმეა. „ნატო ნასარიძესთან არა, მაგრამ ხათუნა ქვრივიშვილთან კი გვქონდა მოლაპარაკება. ის ამერიკის ნაკრების ლიდერია და მას დავპირდით ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც კი სურდა. ამის შემდეგ ქვრივიშვილი ამერიკაში იმ განზრახვით დაბრუნდა, რომ იქაურ ფედერაციასთან გაწყვეტდა კონტრაქტს და იანვარში საქართველოში ჩამოვიდოდა, მაგრამ ამერიკელებმა ხელფასი ხუთჯერ გაუზარდეს, კონტარქტი კი 2015 წლამდე გაუგრძელეს. იქ მას ისეთი პირობები შეუქმნეს, რასაც ჩვენ ვერ შევთავაზებდით. ამიტომ ქვრივიშვილმაც გადაიფიქრა ჩამოსვლა.

ნასარიძეზე საუბარი კი იყო, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, ის არ აპირებს მშვილდოსნობაში მოქმედ სპორტსმენად დაბრუნებას. აქვე გეტყვით, რომ შემოდგომაზე იგეგმება კორეელი მწვრთნელის ჩამოყვანა, ოღონდ მხოლოდ კონსულტანტად და არა მთავარ მწვრთნელად, რომელიც გარკვეულ ტრენინგებს ჩაატარებს. ნასარიძე თუ მწვრთნელობას დააპირებს, ამ რანგში ნამდვილად შევეცდებით მის დაბრუნებას. კორეელთან ერთად, ჩამოვიყვანთ პოლონელ ფსიქოლოგსაც - გვინდა, ეს უმნიშვნელოვანესი სამუშაოც პარალელურ რეჟიმში დავიწყოთ და წარვმართოთ, რადგან მშვილდოსნებისთვის ფსიქოლოგია უმთავრესია. სხვათა შორის, მათი ჩამოყვანა ახლავე გვინდოდა - ამერიკული ტურნირისთვის, მაგრამ გვითხრეს, შესაძლოა, საქმის ასე ნაჩქარევად გაკეთებამ საპირისპირო შედეგი გამოიღოსო. ამიტომ შემოდგომიდან ჩამოვიყვანთ, როცა სეზონი ძირითადად დასრულებულია", - გვითხრა ქაცარავამ.

ამით მინისტრის მშვილდოსნებთან სტუმრობა დამთავრდა, ჩვენ კი დავძენთ, რომ ნასარიძის გადმობირება ბევრად იოლია, ვიდრე - ქვრივიშვილისა. ის მართლაც ამერიკის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და იოლად არავის დაუთმობენ, ნასარიძეს კი ორ წელიწადზე მეტია, თურქთა სახელით არსად უასპარეზია და იქაურები ვერ დააკავებენ - მოქალაქეობის შეცვლის შესახებ არსებული საერთაშორისო რეგლამენტი არ ირღვევა. რაც შეეხება დაბრუნების სურვილს, ამის შესახებ ზამთარში მისივე მწვრთნელი **ვლადიმერ ლეკვეიშვილი** დამიკავშირდა ანკარიდან და ეს ამბავიც იმისგან ვიცი...

ბოლოს, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასის ეს ეტაპი - რიგით მესამე, რომლისთვისაც ჩვენები ემზადებიან, ამერიკულ ოგდენში 3-7 აგვისტოს გაიმართება. იქ კვლავ ის სამეული იასპარეზებს, ვინც ჩვენგან ტრადიციულად გამოდის ხოლმე შეჯიბრებებში და ვინც ამჟამად ვაკეში ემზადება - ნარიმანიძე, ესებუა, დიასამიძე. ჩვენებურები ამერიკაში 30 ივლისს გაფრინდებიან. რაც შეეხება შანხაის ტურნირს, იქ **ნათია ცინცაძის** გაგზავნასაც აპირებენ, ხოლო ვაჟები დაბალი შედეგების გამო არც ერთგან არ გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

**საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს საქართველოს ჭაბუკ მოკრივეთა ნაკრების გუნდის უფროს მწვრთნელს კუკური შავგულიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

ჩოგბურთი

# მიქაძემ ალმათიშიც ყოჩაღად დაიწყო

ყაზახეთის ძველ დედაქალაქ ალმათიში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. შარშან ამ შეჯიბრების ფინალში **ოქსანა კალაშნიკოვამ** (176) ითამაშა, წლეულს ის ყაზახეთში აღარ ჩასულა, თუმცა ალმათიში მისი სამი თანამემამულეა. მე-4 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავას** (292) მეტოქე 18 წლის ბელარუსი **იულია არციომავა** (1053) იყო, საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული. ქართველს არ გასჭირვებია გამარჯვება - 6:2, 6:1. მერვედფინალში შაფათავა საკვალიფიკაციო ტურნირიდან გამოსულ კიდევ ერთ ჩოგბურთელს შეხვდება, 22 წლის ყირგიზ **ბერმეტ დუვანაევას** (731).



თათია მიქაძე

ხარკოვის ტურნირის ტრიუმფატორმა **თათია მიქაძემ**, რომელიც ალმათიში მე-7 ნომრად განთესეს, იოლად გადალახა „უაილდ ქარდით" მიწვეული ყაზახის, **ასელია არგინბაევას** წინააღმდეგობა - 6:0, 6:2. თათიას მორიგი მეტოქე კორეელი **სუნ ჰე ჰანია** (445). ერთეულთა ბადის პირველი წრიდან ჩვენი სამეულიდან მხოლოდ 18 წლის **ეკა გორგოძე** (549) გავარდა. მისი მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი იაპონელი **ჩიაკი ოკადაუე** (274) იყო. ეკამ დიდი ბრძოლა გაუმართა რეიტინგში 300 ადგილით წინ მყოფ იაპონელს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა - 6:7 (6), 6:4, 1:6.

ესპანურ ვიგოში 25-ათასიან ტურნირში ასპარეზობს **სოფიო ქვაცაბაია** (397), მისი პირველი მეტოქე მასპინძელი **ლეტისია კოსტას-მორეირაა** (338). წყვილთა ბადეში ქართველი გერმანელ **იუსტინ ოზგას** (342) შეუწყვილდა. ეს დუეტი მე-2 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მათ ძალზე იოლად მოუგეს რუს **რაფიკოვას** და ესპანელ **ანდრადეს** - 6:0, 6:1. მეოთხედფინალში ისინი **ციბიშევასა** და **ლაზარაევას** რუსულ დუეტს დაუპირისპირდებიან.

ვაჟთა შორის საუკეთესო ქართველი **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (630) ამერიკის ქალაქ გოდფრეიშია და იქაური ტურნირის პირველ წრეში 25 წლის ამერიკელ **რობი პულს** (798) ეთამაშება. გასულ კვირაში პულმა ჯოპლინის ტურნირი მოიგო, ქართველთან მატჩს ის კარიერის საუკეთესო ფორმაში ხვდება.

მსოფლიოს 20-წლამდელთა სერიაში ქართველები ფერღანის (უზბეკეთი, მე-4 კატეგორია) ტურნირში ჩაებნენ. საკვალიფიკაციო ბადეში არიან **ნინო სუჯაშვილი** და **მარიამ სხირტლაძე**. მე-4 ნომრად განთესილმა სუჯაშვილმა მე-2 საკვალიფიკაციო წრეში უზბეკი **გუზალჰონ ნიზამოვა** დაამარცხა - 7:5, 6:1. სხირტლაძემ კი წააგო მასპინძელ **ასალ კასიმოვასთან** - 3:6, 2:6. 16 წლის სუჯაშვილმა კიდევ ერთი უზბეკი ჩოგბურთელი **გალინა ჯალილოვა** დაამარცხა - 7:5, 6:3 და ძირითად ბადეში გავიდა. ნინოს პირველი მეტოქე ძირითად ბადეში **ალისა ოგოროდოვა** (უზბეკეთი) იქნება. სუჯაშვილი ძირითად ბადეში სამ თანამემამულეს შეუერთდა, თუმცა ორმა მათგანმა ნაადრევად დატოვა შეჯიბრება. **ირინა თოიძემ** გეიმიც ვერ მოუგო მე-7 ნომრად განთესილ რუს **კრისტინა ჩასოვსკიხს** (382) - 0:6, 0:6. **ბაბილინა მაჩაიძემ** კი მხოლოდ ერთი გეიმის მოგება შეძლო მარტო მე-4 ნომრად განთესილ **ელიზავეტა კულიჩკოვასთან** (რუსეთი, 360) - 0:6, 1:6. პირველი წრე გადალახა **თამარ ჩალაღანიძემ**, რომელმაც უზბეკ **ვალერია კოროტინას** აჯობა - 2:6, 6:2, 6:1. მსოფლიოს ახალგაზრდულ რეიტინგში 16 წლის **ალექსანდრე მეტრეველი** 152-ე პოზიციაზეა. გოგონებში კი საუკეთესო პოზიცია ქართველებში ჩალაღანიძეს აქვს - 856-ე.

ჩვენ უკვე გაუწყეთ პლზენსა და მოსკოვში მიმდინარე 14 და 16 წლამდელ ჩოგბურთელთა კონტინენტურ პირველობაზე. ანალოგიური ტურნირი, ოღონდ 18-წლამდელებში, შვეიცარიულ კლოსტერში გაიმართა. მასში **გიორგი ცივაძემ** იასპარეზა. 17 წლის ქართველი I წრეში ისვენებდა, მეორეში კი მასპინძელ **ლუკა მარგაროლის** მოუგო - 7:6 (3), 6:2. მესამე წრეში ცივაძე ერთ-ერთ ფავორიტს, მე-14 ნომრად განთესილ ჰოლანდიელ **იანიკ ლუპესკუს** (38) შეხვდა და პირველი სეტი „მშრალად" მოუგო. სამწუხაროდ, გიორგის მეტი ძალა აღარ შერჩა - 6:0, 2:6, 0:6. გოგონათა ევროპის პირველობაზე წარმომადგენელი არ გვყოლია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფარიკაობა

# ევროპა მოილიეს და მსოფლიოსთვის მოემზადებიან

## ქართველმა კადეტმა ოლიმპიურ ჩემპიონს აჯობა

საქართველოს ხუთი მოხმალავე მონაწილეობდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც ლაიპციგმა უმასპინძლა. ჩვენებურთაგან სხვებზე უკეთ საქართველოს ოლიმპიურმა იმედმა **ბექა ბაზაძემ** იასპარეზა. ჯგუფურ ტურნირში მან ხუთივე შეხვედრა მოიგო და პირდაპირ მეთექვსმეტედფინალში გავიდა. იქ კი პოლონელი **ადამ გროცკი** დაუპირისპირდა. თავიდან ბაზაძე 10:7 დაწინაურდა. ეტყობა, ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და დაისაჯა კიდეც - 10:15 დამარცხდა, მე-20 ადგილზე გავიდა და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის 8 სალიცენზიო ქულა დაიმსახურა. საერთოდ კი, დღეისთვის ბექას 30 სალიცენზიო ქულა აქვს და რეიტინგშიც 98-ედან 68-ე ადგილზე გადაინაცვლა. თავი გამოიჩინა **მიხეილ მარდალეიშვილმა**. იგი კადეტია, თუმცა უფროსებთან პაექრობაში ჯგუფურ ეტაპზე სამ მეტოქეს დააყრევინა ფარ-ხმალი, მათ შორის პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებულსა და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონს იტალიელ **ალდო მონტანოს**. ოცდამეთორმეტედფინალში უკრაინელ **დიმიტრი ბოიკოსთან** დამარცხდა - 8:15 და საბოლოოდ 37-ე ადგილით 4 სალიცენზიო ქულას დასჯერდა. ამდენივე ქულა ხვდა იუნიორ **სანდრო ბაზაძეს**, რომელმაც ჯგუფში ორ მეტოქეს სძლია, მერე კი გერმანელ **ჰიუბნერთან** წააგო - 6:15. ევროპის ჩემპიონატზე ქალებში **თათია აფციაურმა** და **თეოდორა კახიანმაც** იასპარეზეს, მაგრამ ჯგუფურ ტურნირში ყველა შეხვედრა დათმეს.

საგულისხმოა, რომ შეჯიბრებაზე არბიტრად იყო მიწვეული საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით სახვაძე**, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლებიც იმსაჯა და დადებითი შეფასებაც დაიმსახურა.

ქართველი მოფარიკავეები ცოტას დაისვენებენ და ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებენ. სექტემბერში ეროვნულ ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს. 4-12 ნოემბერს ბექა ბაზაძე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა პარიზში, მანამდე კი **სანდრო ბაზაძე** და მიხეილ მარდალეიშვილი 4-12 ოქტომბერს ლობნიაში (რუსეთი) იუნიორთა ევროპის პირველობაზე დაუპირისპირდებიან თანატოლებს.

**ვაჟა დანელია**



ბექა ბაზაძე

26

ინტერვიუ

- ჩემი მწვრთნელი ყოველთვის იყო მამაჩემი თეიმურაზ ვაზაგაშვილი. დარწმუნებული ვარ, რომ არა მისი გვერდში დგომა, მიზანდასახული და პრინციპული ხასიათი - ვერანაირ წარმატებებს ვერ მივაღწევდი. ჩემი პირველი მწვრთნელი ტატამზე კი იოსებ ფუხაშვილი გახლდათ – ასე დაიწყო სპორტში პირველი ნაბიჯების გახსენება გიორგიმ.

**- პირველი სიხარულიც გაიხსენეთ...**

- დიახ, პირველი სერიოზული წარმატება სწორედ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა იყო. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი საქართველოს პირველობა რომ მოვიგე. გულწრფელად ვამბობ, რაც იმ გამარჯვებისას სიხარული და სიამაყე განვიცადე ევროპის და მსოფლიოს პირველობების კვარცხლბეკზე დგომისასაც არ განმიცდია. მაშინ ვიგრძენი, რომ მეტი შემეძლო და თავსაც არ ვზოგავდი.

**- 1992 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის რეალურ კანდიდატად ითვლებოდით, მერე რა მოხდა?**

- დსთ-ის ჩემპიონატზე 1992 წელს ვიჭიდავე. პირველობისთვის იბრძოდა წინა წლის მსოფლიოს მეორე პრიზიორი ნაზიმ ჰუსეინოვი, რომლის დამარცხების შემთხვევაში მაიმედებდნენ, რომ 90% ოლიმპიადაზე წამსვლელ გუნდში დამაყენებდნენ. ჰუსეინოვს ნახევარფინალში მოვუგე და შემდეგ ჩემპიონიც გავხდი, მაგრამ იმ ოლიმპიადამ მაინც უჩემოდ ჩაიარა.

**- მერედა, რა გითხრეს, რით იმართლეს თავი?**

- მითხრეს, რომ ჯერ გამოუცდელი ვიყავი და გუნდში ისევ ჰუსეინოვის დაყენება ჯობდა, თუმცა როგორც არაპირდაპირ საუბრებში გაირკვა, საქმე იმაში იყო, რომ ბარსელონაში ქართველებიდან ან მე უნდა წავსულიყავი ან დავით ხახალეიშვილი. ორ ქართველს არ წაიყვანდნენ. არჩევანი დავითზე შეჩერდა. ოქროს მედლის მოპოვებით მან გაამართლა კიდეც მწვრთნელთა ნდობა, მაგრამ შესაძლოა არც მე მომცარვოდა ხელი, მით უფრო, რომ ცოტა ხნით ადრე ჩემგან დამარცხებულმა ჰუსეინოვმა იმ ოლიმპიადაზე 60 კგ-ში ყველას მოუგო.

**- იმ დროს ჯერ კიდევ წინ გქონდათ ახალგაზრდებს შორის მნიშვნელოვანი შეჯიბრებები...**

- 1993 წელს ახალგაზრდებს შორს ჰოლანდიაში კონტინენტის პირველობა მოვიგე. მომდევნო წელს ეგვიპტეში მსოფლიოს ჩემპიონატზეც ოქროს მედალი მე მერგო. ფინალში იაპონელ ნამურას ვძლიე საკმაოდ დიდი უპირატესობით, ის მერე ატლანტაშიც და კიდევ ორ ოლიმპიადაზე გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

**- სამწუხაროდ, თქვენი დიდებში გადასვლა ერთგვარად უიღბლო გამოდგა...**

- ალბათ, გულისხმობთ 1995 წელს როცა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ფინალები დავთმე. არ იფიქროთ, რომ თავს ვიმართლებ, ორივე ფინალი ჩემს კარიერაში ყველაზე ცუდად მახსენდება მსაჯთა მიერ გამოვლენილი ზღვარსგადასული არაობიექტურობის გამო. მსოფლიოზე რუს ნიკოლაი ოჟეგინს ჰანტეითი გამარჯვება უსამართლოდ მიანიჭეს. ევროპის ფინალში მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელ ნაიჯელ დონაჰიუსთანაც მსგავსი ვითარება იყო.

**- მაგრამ ორივე მეტოქესთან რევანშის აღება შესძელით...**

- მომდევნო ევროპის ჩემპიონატზე ორივეს ჯავრი ვიყარე - ნახევარფინალში ნიკოლაი

# გიორგი ვაზაგაშვილი

# ძიუდოისტებო, დარჩით საქართველოში!

**ტიტულოვანი გორელი ძიუდოისტი გიორგი ვაზაგაშვილი არა მხოლოდ სპორტის ქართველ ქომაგთათვისაა ცნობილი. მისი ჭიდაობის შთამბეჭდავი სტილის თაობაზე ხშირად საუბრობენ უცხოელი სპეციალისტები და ძიუდოს მოყვარულები. სამწუხაროდ, გორელი ტალანტის სპორტული კარიერა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სპორტი მეტისმეტად სავალალო ვითარებაში იყო. ამის გამო ვაზაგაშვილს 2002 წელს სამშობლოს დატოვებაც მოუხდა. იგი ამჟამად საბერძნეთის ჭაბუკთა, ახალგაზრდების და უფროსთა ნაკრების მწვრთელთა საბჭოს წევრია და ამ ამპლუაში უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია ერთობლივი წვრთნებისთვის ყოველ ზაფხულს სტუმრობს გორს ბერძენთა ნაკრებთან ერთად. ჩვენ იგი სწორედ გორის ძიუდოს დარბაზში ბერძენ, აზერბაიჯანელ, თურქმენ და ადგილობრივ ძიუდოისტთა ერთობლივ ვარჯიშზე ვნახეთ და ვესაუბრეთ.**

ოჟეგნს მოვუგე, ფინალში - ნაიჯელ დონაჰიუს! მაშინ ის იტალიელი ჯოვანეციც გავაკარი ტატამს, რომელთანაც მერე სიდნეის ოლიმპიადაზე ვიწვნიე მარცხი. ჯოვანეცისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზეც მაქვს მოგებული და სამწუხაროა, რომ ერთადერთი პაექრობა სწორედ ოლიმპიადაზე დავუთმე.

**- ატლანტაში?**

- დიახ. სწორედ ატლანტის ოლიპიადამდე ორი თვით ადრე ჩატარდა ზემოხსენებული ევროპის ჩემპიონატი ჰააგაში, სადაც ყველა ძირითად კონკურენტს ვაჯობე. ბრწყინვალე ფორმაში ვიყავი, მაგრამ ვინაიდან ეს ჩემპიონატი ოლიმპიადამდე იყო მისი გამოტოვება მინდოდა, რადგან წონის კლების რთული პროცესი დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში ორჯერ უნდა გამევლო. მერჩივნა ევროპაზე წონა აღარ დამეკლო, მეჭიდავა 65 კილოში და ატლანტისთვის ძალები შემენახა. თუმცა მწვრთნელთა შტაბმა ასე არ ჩათვალა საჭიროდ. დავიკელი 60 კგ-მდე და მართალია, ჰააგაში გამოსვლა ტრიუმფალური გამოდგა, სამაგიეროდ, ოლიმპიადის წინ უკვე ხელახლა თითქმის ათი კილოს დაკლებამ ერთიანად გამომფიტა. ორგანიზმს ბრძოლის უნარი აღარ ჰქონდა. ასე რომ, ატლანტის მარცხი გაცილებით ლოგიკური იყო, ვიდრე მაგალითად, სიდნეიში ზემოხსენებულ ჯოვანეცისთან ყურადღების წამიერი მოდუნების გამო ბრინჯაოს მედლის ამარა დარჩენა. არადა, იქ ამ წაგების გარდა, ხუთი შეხვედრა მოვიგე იპონით! ბევრს უთქვამს, რომ კარიერაში ვაზაგაშვილს უიღბლობა მუდამ თან სდევდაო... ალბათ მართლა ასე იყო...

**- იმასაც აღნიშნავენ, რომ ვაზაგაშვილისნაირი შთამბეჭდავი ჭიდაობით და შეხვედრის დასაწყისშივე, წამებში მოპოვებული გამარჯვებებით იშვიათად თუ ვინმე გამოირჩეოდაო...**

- გეთანხმებით და ყველას უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა, ვინც ასეთი შეფასებას მაძლევს. კალინინგრადში გამართული „ა“ კლასის ტურნირი მახსენდება, სადაც ყველა ბრძოლა წამებში და მახრჩობელა ილეთით წმინდად მოვიგე! მაშინ ოქროს მედალთან ერთად სპეციალური პრიზიც გადმომცეს. პრიზი ყველაზე სწრაფი მოგებისთვისაც სხვა ტურნირებზეც მიმილია.



გიორგი ვაზაგაშვილი

**- საყვარელ ფანდად რომელი მიგაჩნდათ?**

- ჩოგბჯენში მახრჩობელა და ე. წ. „წისქვილი“.

**- არა თუ 60, 65, არამედ 71 კილოგრამშიც მოგიპოვებიათ გამარჯვება...**

- 1997 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამოვედი უფრო მაღალ წონაში. მაშინ 65 კილოში ჩემსა და გიორგი რევაზიშვილს შორის მძაფრი კონკურენცია იყო და ნაკრების მწვრთნელმა (აქვე დავძენ, რომ უნიჭიერესმა სპეციალისტმა) შოთა ხაბარელმა დამარწმუნა, რომ 71 კილოშიც შემეძლო შედეგის მიღწევა. დავუჯერე და კონტინენტის ჩემპიონი მაშინ ზედიზედ მეორედ ახლა უკვე ზედა წონაში გავხდი. ფინალში რუს ანატოლი ლარიუკოვს მოვუგე. არადა, რომ მახსენდება, მეცინება, ყველასთან შედარებით იმდენად დაბალი ვიყავი, რომ კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე დგომისას მეორე-მესამე საფეხურზე მყოფი პრიზიორები მაინც ჩემი სიმაღლისანები ჩანდნენ!

**- 90-იანი წლების დასაწყისს დავუბრუნდეთ...**

- საშინელი მდგომარეობა იყო. ცივ დარბაზებში ვვარჯიშობდით, ცხელი წყალი ჩვენთვის არ არსებობდა, საჭირო რაოდენობის შეკრებებსა და შეჯიბრებებზე, საპრიზო ფონდზე და კიდევ უამრავი რამეზე აღარაფერს ვამბობ. ამ პერიოდში სულ რამდენიმე სპორტსმენმა მივაღწიეთ შედეგებს, მაგრამ დაფასება იყო ნულის ტოლი! ვხდებოდით ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიადის პრიზიორები, ჩემპიონები და მშობლიური ქვეყნისგან მადლიერების ნიშნად ელემენტარულ საპრიზო თანხას ვერ ვიღებდით! სიჭაბუკეში მხოლოდ ძიუდოს სიყვარულიც კმაროდა ტატამზე გასასვლელად, შემდეგ ყოველდღიურ სავარჯიშო პროცესს ოჯახში ელემენტარული ყოფითი პრობლემები რომ დაემატა, ძალიან გამიტყდა გული. ხშირად ისეთი ჩინოსნები დამპირებიან კუთვნილ გასამრჯელოს, მოტყუებული რომ დავრჩენილვარ, დანაპირების შეხსენება ველარც გამიბედავს. მეუხერხულებოდა ერთსა და იმავეზე საუბარი... ასეთ დროს ადამიანი მიდის იმ აზრამდე, რომ ჯობია გაეცალო სიტუაციას. სპორტისთვის თავის დანებება არაერთხელ გადავწყვიტე, მაგრამ მამაჩემი მაქეზებდა ხოლმე ფარ-ხმალი არ დამეყარა.

**- კარიერის მიწურულს მაინც ნახვედით უცხოეთში.**

- ეს იძულებითი ნაბიჯი იყო! უიღბლობა ზემოთ ტყუილად არ მიხსენებია. ჩემი კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი 1992 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოში ფაქტობრივად სპორტი სიკვდილის პირას მივიდა და დასრულდა მაშინ, როდესაც მის აყვავებას შეუდგა ხელისუფლება!

**- არ გიფიქრიათ შინ დაბრუნება მწვრთნელის ამპლუაში?**

- ვნახოთ, სურვილი მაქვს და ამის თაობაზე ვსაუბრობთ კიდეც ოჯახში. ალბათ იქნება შემოთავაზება და მეც დავბრუნდები სამშობლოში სამუდამოდ. სამუდამოდ ვამბობ იმიტომ, რომ წელიწადში ორ-სამჯერ მაინც ჩამოვდივარ შინ, რადგან დიდხანს ვერ ვძლებ უცხოეთში. მირჩევნია, ჩემს ქვეყანაში ალვზარდო მსოფლიოს პრიზიორები და ევროპის ჩემპიონები, რომლებიც უკვე ალვზარდე საბერძნეთში.

**- ნაკრებთან ერთად გორის ძიუდოს დარბაზს ხშირად სტუმრობთ.**

- საბერძნეთის ნაკრები გორში ყოველ ზაფხულს ჩამომყავს შეკრებაზე. მუდამ მომიხარია აქ, რადგან მთელ გუნდს გვმასპინძლობენ ისე, როგორც ძმებს, გორელებს. მინიმალური დაბრკოლებაც არ გვექმნება. თანაც ერთობლივი ვარჯიში ორივე მხარეს სასიკეთოდ ადგება. აქვე, თუ ნებას მომცემთ, ჩვენი სპორტის მემატიანის, „ლელოს“ საშუალებით მინდა მივმართო გორის დარბაზში მყოფ ახალგაზრდებს და საერთოდ ქართველ ძიუდოისტებს: არც გაივლოთ გონებაში საქართველოდან წასვლა! პლანეტის ყველა წამყვან ქვეყანაში არსებული ვითარება მინახავს და მერწმუნეთ, თქვენ, აქ სამშობლოშივე გაქვთ მოსამზადებლად და საასპარეზოდ შექმნილი ნამდვილი ევროპირობები. გაქვთ საჭირო რაოდენობის შეკრება-შეჯიბრებები, მოსამზადებელი პირობები, ხელფასი და საპრიზო ფონდი, რომელიც გაძლევთ საშუალებას იზრუნოთ მხოლოდ თქვენს საყვარელ სპორტის სახეობაზე და არა იმაზე, დღეს ოჯახი რა საშუალებით გამოკვებოთ. ეს ყველაფერი ჩვენთვის სანატრელი იყო! ამ ყველაფრისათვის ხომ შეიძლება კაცმა თავი დადოს ტატამზე!

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ჭადრაკი

# მე-5 ეტაპი ულან-ბატორში

სამიოდე თვეც და საბოლოოდ გაირკვევა, ქალებში დაფნის გვირგვინისთვის ვინ დაუპირისპირდება ამჟამინდელ მსოფლიოს ჩემპიონ **ალექსანდრა კოსტენიუკს (რუსეთი, 2519)**. პრეტენდენტობის რეალური შანსი რამდენიმე დიდოსტატს აქვს. მათ შორისაა **ნანა ძაგნიძე** (2498), რომელიც ფიდეს ქალთა გრან-პრის პირველი გათამაშების ოთხი ეტაპის შემდეგ 390 ქულით ლიდერობს. ამას წინათ მან სომხურ ჯერმუკში უძლიერეს მეტოქეებთან პაექრობაში მთავარი პრიზი და 160 ქულა დაიმსახურა.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ფიდეს ქალთა გრან-პრის პირველ გათამაშებაში ექვსი ეტაპი გაიმართება. მოასპარეზენი 4-4 ტურნირში იღებენ მონაწილეობას, საიდანაც საერთო ჩათვლაში 3-3 საუკეთესო შედეგი შევა და რჩეულთა შორის რჩეული მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

ფიდეს გრან-პრის მე-5 ეტაპი ხვალ ულან-ბატორში დაიწყება. საპრიზო ადგილებისთვის პაექრობაში 12 მოჭადრაკე ჩაებმება. ესენი არიან: ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი (1978-1991 წ.წ.) **მაია ჩიბურდანიძე** (რეიტინგი-2514), მსოფლიოს (2004-2006) და ევროპის (2002) ჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2560), მსოფლიოს ჩემპიონები — **ჟუ ჩენი** (2001-2004, ყატარი, 2476) და **სიუ იუჰუა** (2006-2008, ჩინეთი, 2488), ორგზის (2007, 2009) ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2562), ასევე, ქალთა მსოფლიოს რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2600), **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2577), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2519), **ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2462), **შენ იანი** (ჩინეთი, 2435), **მონგონთუულ ბათჰუიანგი** (მონგოლეთი, 2421) და **ბეთულ ილდიზი** (თურქეთი, 2244). ამ მოჭადრაკეთაგან ზოგს 27 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე სანტიაგოში (ჩილე) გრან-პრის ბოლო ეტაპზეც ვიხილავთ ნანა ძაგნიძესთან ერთად, ოღონდ არ იქნება ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი ტატიანა კოსინცევა, რომელმაც თავიდანვე უარი თქვა მეოთხე ტურნირზე, რადგან იგი ევროპის საკლუბო ჩემპიონატს ემთხვეოდა და გუნდთან კონტრაქტის დარღვევა არ ისურვა.



მაია ჩიბურდანიძე

ახლა კი გაგაცნობთ გრან-პრის გათამაშების მონაწილე ოცივე მოჭადრაკის ქულებს ოთხი ეტაპის შემდეგ: **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 390 ქულა 3 ეტაპის ჯამში), **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 320-3), **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 290-2), **ჟაო სიუ** (ჩინეთი, 240-3), **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 230-2), **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 223,33-3), პია კრამლინგი (შვედეთი, 220-3), ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი, 213,33-3), **სიუ იუჰუა** (ჩინეთი, 180-2), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 160-2), **შენ იანი** (ჩინეთი, 140-3), **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 138,33-2), **მონგონთუულ ბათჰუიანგი** (მონგოლეთი, 120-2), **ჟუ ჩენი** (ყატარი, 100-2), **ბაირა კოვანოვა** ( რუსეთი, 100-3), **მარტა ფიერო** (ეკვადორი, 95-3), **მაია ჩიბურდანიძე** (საქართველო, 85-2), **იუ ვენიუნი** (ჩინეთი, 80-1), **ბეთულ ილდიზი** (თურქეთი, 40-3), **ზეინაბ მამედიაროვა** (აზერბაიჯანი, 25-1).

ვაჟა დანელია

# ფინიშის სწორზე

ბერძნულ პალეოხორაში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 26 ქვეყნის 238 ქალ-ვაჟი მონაწილეობს. მათ შორის 5 საქართველოს წარმომადგენელია. გუშინ მე-7 ტურში **მალხაზ სულაშვილი** რუს დიდოსტატ **ალექსანდრ ხარიტონოვს** შეუთანხმდა ყაიმზე. საერთოდაც, ლიდერთა ჯგუფში 10-დან მხოლოდ 2 შეხვედრა აღმოჩნდა შედეგიანი: **ბელა ხოტენაშვილმა** რუს დიდოსტატ **ევგენი ვორობიოვს** სძლია, უკრაინელმა **ალექსანდრ ზუბარევმა** კი იტალიელი **დენის რომბალდონი** დაამარცხა. დაზავდნენ: **იური კრივორუჩკო** (უკრაინა)-**მისა პაპი** (სერბეთი), **ანდრეი რიჩაგოვი** (რუსეთი)-**ხრისტოს ბანიკასი** (საბერძნეთი), **ადამ ტუხაევი** (უკრაინა)-**რობერტ ფონტენი** (საფრანგეთი), **ანდრეი ორლოვი** (რუსეთი)-**ნიკიტა მაიოროვი** (ბელარუსი), **ლუკიან ფილიპი** (რუმინეთი)-**ვიორელ იორდაჩესკუ** (მოლდოვა), **იოანის გეორგიადისი** (საბერძნეთი)-**ვლადისლავ ბოროვიკოვი** (უკრაინა), **რაო პრასანა** (ინდოეთი)-**მირჩა პარლიგრასი** (რუმინეთი).

ქართველთაგან გუშინ წარმატებას მიაღწიეს **ნინო ბაციაშვილმა** და **ალექსანდრა ვახანიამ**, რომლებმაც, შესაბამისად, **ანტონიო ვილარისა** (ესპანეთი) და **ანტონია ხრისტოდულაკის** აჯობეს, **ანა გავაშელმა** კი ინგლისელ **ლორან დ,კოსტასთან** წააგო.

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე 6,5 ქულით ისევ კრივორუჩკო ლიდერობს. მას ნახევარ-ნახევრი ქულით პაპი, რიჩაგოვი და ზუბარევი ჩამორჩებიან. 10 მოჭადრაკეს 5,5-5,5 ქულა აქვს, მათ შორის - ხოტენაშვილსა და სულაშვილს, ბაციაშვილს-5, ვახანიას-4,5, გავაშელს-4 ქულა.

ვაჟა დანელია

# ხუთოსანი პაიკიძე მესამე ათეულშია

ბილის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის მე-8 ტურში **ნაზი პაიკიძემ სიმო დე ფილომენო** დაამარცხა და 5 ქულით 26-ე ადგილზეა. იგი 1,5-1,5 ქულით ჩამორჩება **სებასტიან ფელერს, ნადეჟდა კოსინცევასა** და **კრისტიან ბაუერს**, რომლებიც პირველ-მესამე ადგილებს ინაწილებენ. ტურნირის გამარჯვებულს, ალბათ, ბოლო ტურში ფელერ-კოსინცევას, ბაუერ-რიაზანცევის ორთაბრძოლები გამოავლენს. პაიკიძე ფიდეს ოსტატ **ანდრეას ეიჩპორნს** დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები. თბილისის ტურნირის შემდეგ

# ივლისის წიწილები

როგორ ფიქრობთ, რატომ ითვლიან წიწილებს მაინცდამაინც შემოდგომით? იმიტომ, რომ ქათამი უმეტესად ზამთრის გასვლის შემდეგ კრუხდება, გაზაფხულის პატარა წიწილებმა შემოდგომამდე თუ გაძლეს, მათ ველარც ქორი მოერევა და ველარც კატა შეაშინებს...

ახალშეკრებილ საქართველოს ნაკრებს ივლისში ჯერ უნგრეთმა გაჰკრა კბილი, შემდეგ - სლოვაკეთმა. თბილისის ტურნირისთვის გუნდი ცოტა გაიზარდა და მას ვერც რუმინეთი მოერია, ვერც ბელარუსი და ვერც უკრაინა. რადგან ოფიციალურ მატჩებამდე ნაკრები აღარ თამაშობს, ივლისის წიწილების დათვლაც შეიძლება. შევეხებით როგორც საკალათბურთო, ისე მოედნისმიღმა საკითხებს, ჩვენს მსჯელობას კი კალათბურთელთა საერთო მონაგარით „შევალამაზებთ".

**ჯერ ჩამოვთვალოთ უარყოფითი მოვლენები (მუქი შრიფტით შემოგთავაზებთ), შემდეგ მათ ახსნას შევეცადოთ.**

■ ■ ■

**ორჯერ წავაგეთ უნგრეთთან, ერთხელ სლოვაკეთთან...**

უნგრეთის ნაკრებს ქართველებთან დაპირისპირებამდე 3 საკონტროლო შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული. ჩვენი გუნდი კი მანამდე ფიზიკურად ემზადებოდა და ბურთთან გაშინაურებული ჯერ არ იყო. წაგების მთავარი მიზეზი ეს უნდა ყოფილიყო.

სლოვაკეთთან კი მწვრთნელებმა 14 კალათბურთელი ათამაშეს. ლიდერები დაასვენეს და წინასწარვე ცხადი იყო, რომ დადებითი შედეგის მიღწევა გაძნელდებოდა.

■ ■ ■

**თბილისის ტურნირის სამივე მატჩში ქართველებმა საწყის 30 წუთში მიღწეული უპირატესობა ბოლო რაუნდში გაანიავეს...**

...არადა, გასული სეზონის, ოფიციალურ მატჩებში მსგავსი ჩავარდნები არ დაფიქსირებულა. მოდუნების მიზეზი შეიძლება კონცენტრაციის ნაკლებობა ყოფილიყო (რაც საკონტროლო შეხვედრებში უცხო არ არის), შეიძლება – ფიზმომზადებისა. როცა გუნდის თავკაცი საწვრთნელ პროცესს იწყებს, წინასწარ გათვლილი აქვს, რამდენ დღეში უნდა მიაღწიოს გუნდმა ოპტიმალურ ფორმას. **იგორ კოკოშკოვმა** ნაკრების კალათბურთელები ივლისის დასაწყისში გვარიანად დატვირთა, რისი შედეგიც აგვისტოს დასაწყისში უნდა „მოიმკოს". აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ კალათბურთელებს 23-25 ივლისს ენერგია ბოლო წუთებამდე არ ჰყოფნიდათ. იმედი დავიტოვოთ, რომ ჩემი მოსაზრება რეალობასთან ახლოსაა და 2 აგვისტოს გუნდი ოპტიმალურ ფორმაში შეხვდება.

■ ■ ■

**რადგან ფარქვეშ ვერაფერს გახდნენ, ბელარუსმა და რუმინეთმა აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე გადაიტანეს, მეორე ტაიმში იგივე გაიმეორა უკრაინამ. შესაბამისად, გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრების დაცვის უკანა ხაზში ყველაფერი წესრიგში არ არის.**

ნაკრების მეორე მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** ტელევიზიის პირდაპირ ეთერში სიტყვა „შედულება" გამოიყენა: **ვლადიმერ ბოისა** დაცვაში ყველაფერს ადუღებდაო...

ვოვა უკანა და წინა ხაზებს ერთმანეთთან აკავშირებდა, აზღვევდა როგორც ცენტრებს, ასევე პერიმეტრის მოთამაშეებს. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ შეტევისთვის ნაკლებად იცლიდა. მუხლის ტრავმის გამო ბოისა წლეულს ნაკრებს ვერ დაეხმარება. ამიტომ დაცვაში იმაზე მეტი პრობლემაა, ვიდრე გასულ სეზონში იყო... თუმცა არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ 2009 წლის შემდეგ გუნდში გამოჩნდნენ **მანუჩარ მარკოიშვილი** (დაცვაში მოთამაშე ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელი) და **თორნიკე შენგელია**, რომელიც მხარ-ბეჭით, კუნთებით თუ აზროვნებით ვოვა ბოისას არ ჩამოუვარდება. ახლა მთავარია, მათ სხვა კალათბურთელებთან ერთად დაცვაში მწყობრი თამაში გამოუვიდეთ... თუ ეს მოახერხეს, გუნდს არც ბოისას არყოფნა დაეტყობა და არც **ტაირონ ელისის**.

■ ■ ■

**ბოისას და ელისს ოფიციალურ მატჩებში ღირსეული შემცვლელები ეყოლებათ? - ეს კითხვა ბევრს აფიქრებს.**

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ვოვას ადგილი 18 წლის თორნიკე შენგელიამ დაიკავა, რომლის იმედი მწვრთნელსაც აქვს და ჩვენც. იგი ნაკრების ძირითად შემადგენლობაში იგორ კოკოშკოვს შემთხვევით არ ჩაუწერია. მწვრთნელმა კარგად იცის, რომ თორნიკე „ვალენსიას" ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ხოლო 2009 წლის ზამთარში ესპანეთის ჩემპიონატში 10-15 წუთი თამაშობდა. თორნიკემ მადრიდის „რეალთან" მატჩი სულაც სასტარტო ხუთეულში დაიწყო. ასე რომ, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, შენგელიას საკმარისი გამოცდილება აქვს. გასაკვირი ისაა, მას კოკოშკოვი 2009 წელს რატომ არ ათამაშებდა...

ტაირონ ელისის შემცვლელად ჩამოვიდა **ტორინ გრინი**, რომელიც ელისის პოზიციაზე, მეორე ნომრადაც თამაშობს. მაგრამ ტაირონის საქმეს უფრო მანუჩარ მარკოიშვილი აკეთებს - თითო მატჩში მინიმუმ 3 სამქულიანს აგდებს. გრინი შემადგენლობის ვარირებისთვის კარგი ვარიანტია - გამთამაშებლობაც შეუძლია, მსროლელობაც, ფარქვეშ თევზივით შესხლტომაც და უილიამსივით მოედნის ცენტრიდან ჩაგდებაც. ასე რომ, ბოისას და ელისს ღირსეული შემცვლელები გამოუჩნდნენ. ახლა მთავარია, მათ გუნდთან სათანადოდ შეთამაშება მოასწრონ.

■ ■ ■

**გიორგი ცინცაძე 2008-09 წლებში B დივიზიონის საუკეთესო მეპასე გახდა, ხოლო ვიქტორ სანიკიძე საუკეთესო მომხსნელი... თბილისის ტურნირზე ისინი ერთგვარად ჩრდილში იყვნენ.**

ვიქტორმა 3 მატჩში (77 წუთში) 17 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა, ხოლო ცინცაძემ 3 შეხვედრაში (35 წუთში) 3 პასი და 11 ქულა აილო.

მათ დაბალ შედეგიანობას ერთი მიზეზი აქვს - ტრავმები. „ბუს" კოჭი აწუხებდა და მეორე ტაიმში მწვრთნელი ყოველთვის ასვენებდა. ვიქტორმა კუნთის ტრავმა უნგრეთთან მატჩამდე მოიშუშა და მას მერე ფორმაში შესვლას ცდილობს.

ექიმების თქმით, ცინცაძის ტრავმა საგანგაშო არ არის. თუ ის და სანიკიძე 2 აგვისტოს საბრძოლო ფორმაში შეხვდნენ, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ერთი-ორად ეფექტურები იქნებიან...



არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ იგორ კოკოშკოვმა მათი თამაში მომავალ მეტოქეებს დაუმალა.

■ ■ ■

**ზაზა ფაჩულიასაც მუხლის მცირე ტრავმა ჰქონდა, თუმცა ბოლო ორ მატჩში სრული დატვირთვით ითამაშა. მან თბილისის ტურნირზე 22-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, რაც დაბალი მაჩვენებელია...**

როგორც ჩანს, ოპტიმალურ ფორმამდე ზაზასაც უკლია. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი სუსტ და ძლიერ მოწინააღმდეგეებთან სხვადასხვაგვარი განწყობით თამაშობს. პოლონეთის ნაკრების ცენტრ **მარცინ გორტატთან** სათამაშოდ ზაზა გაორმაგებული მობილიზებით და ენერგიით გავა. შესაბამისად, სროლის სიზუსტემაც უნდა მოიმატოს და მისმა სიხისტემაც - NBA-ს პლეი ოფში ფაჩულიას იდაყვით არაერთი კალათბურთელი დაშავდა (თუმცა განზრახ არავისთვის ჩაურტყამს). ზაზას ჯარიმებისაც არ უნდა შეეშინდეს, რადგან ზურგსუკან საიმედო ცენტრი ჰყავს - **გიორგი შერმადინი.**

■ ■ ■

**- ნიკა ცქიტიშვილი 215 სმ სიმაღლისაა, მისი მხოლოდ სამქულიანების მტყორცნელად გამოყენება არ შეიძლება, - თქვა ტელეეთერში ერთ-ერთმა გულშემატკივარმა.**

ნიკა ფარქვეშ შარშანაც იშვიათად შედიოდა და თბილისურ ტურნირზეც (სულ 3 ორქულიანი ისროლა და 1 ჩააგდო). ვფიქრობთ, ნიკამაც მეტად უნდა იაქტიუროს და მწვრთნელებმაც დაავალონ - მას ხომ შესანიშნავად შეუძლია სისწრაფეზე კაცის მოტყუება, მით უმეტეს ფარქვეშ.

მოკლედ, ჩვენზე უკეთ ამ უარყოფით ნიუანსებს მწვრთნელები ხედავენ და იმედია, 2 აგვისტომდე გუნდი ნაკლოვანებათა უმეტესობას აღმოფხვრის. ბოლოს კი არასათამაშო დეტალებს შევეხებით...

■ ■ ■

გუშინ ევროპის 2005 წლის ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩი ვნახე - სერბეთი-საფრანგეთი (სხვათა შორის, სერბთა სამწვრთნელო შტაბში იგორ კოკოშკოვიც იყო). წუთშესვენებებისას სერბული მუსიკა ჟღერდა და გამოდიოდნენ თეთრებში გამოწყობილი მოცეკვავეები. სწორედ მაშინ გამახსენდა, რომ თბილისურმა ტურნირმა მოცეკვავეების გარეშე ჩაიარა. არადა, „ვერნისაჟის" გოგონები საერთაშორისო საკალათბურთო სტანდარტებს ნამდვილად შეესაბამებიან. იმედი დავიტოვოთ, რომ აგვისტოში ნაკრების მაღალი დონის თამაშს შესაბამისი დონის მოცეკვავეები დაამშვენებენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მატჩების ორგანიზატორებთან რაიმე პრეტენზია გვაქვს, მათ სათანადოდ იზრუნეს თბილისური შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

ბელარუსთან მატჩისას ერთ ეპიზოდში გამეორების ხილვა აუცილებელი იყო. პრესლოჟაში კისერი წავიგრძელე და ტელეკომენტატორების წინ მდგარ ტელევიზორს მივაშტერდი, თუმცა გამეორება ვერ ვნახე. როგორც აღმოჩნდა, რეპორტაჟისას არაფერს იმეორებენ. არც ეს გვეკადრება ევროპის ჩემპიონატის საგზურის მაძიებლებს.

შეჯიბრების მსვლელობისას უკრაინელები ქართველ მსაჯზე გაბრაზდნენ, ხოლო რუმინელები - უკრაინელ არბიტრზე. შეიძლება, მსაჯები იმ ეპიზოდებში სწორადაც მოიქცნენ, მაგრამ როცა შენს თამაშს მოწინააღმდეგის თანამემამულე არბიტრი სჯის, შინაგანად უთანასწორობის გრძნობა გიჩნდება. ვფიქრობ, მომავლისთვის კარგი იქნება, თუ საერთაშორისო ტურნირისთვის 2 მსაჯს უცხოეთიდან მოიწვევენ და თანამემამულეთა განსჯა არავის მოუწევს.

აქვე თბილისურ ტურნირზე საქართველოს ნაკრების კალათბურთელების ჯამურ სტატისტიკას შემოგთავაზებთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | თ | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | ღ | ქ | ქ. საშ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლაშა გამყრელიძე | 3 | 45 | 1/1 | 0/2 | 3/10 | 4 | 2 | 1 | 4 | 6 | 0 | 5 | 1.7 |
| ზაზა ფაჩულია | 2 | 54 | 6/22 | 0/1 | 19/26 | 15 | 6 | 7 | 3 | 5 | 1 | 31 | 15.5 |
| გიორგი ცინცაძე | 3 | 35 | 3/6 | 1/5 | 2/2 | 1 | 3 | 6 | 6 | 3 | 0 | 11 | 3.7 |
| გიორგი შერმადინი | 3 | 57 | 9/16 | 0 | 7/10 | 18 | 0 | 7 | 2 | 1 | 2 | 25 | 8.3 |
| კოტე ტულუში | 3 | 12 | 0 | 0/2 | 0 | 1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 3 | 79 | 8/13 | 9/19 | 6/6 | 8 | 7 | 4 | 6 | 5 | 0 | 49 | 16.3 |
| ვიქტორ სანიკიძე | 3 | 77 | 2/10 | 4/8 | 1/2 | 20 | 13 | 4 | 11 | 4 | 4 | 17 | 5.7 |
| ქუინტონ ჰოსლი | 3 | 37 | 2/7 | 0/3 | 0 | 5 | 1 | 2 | 4 | 3 | 1 | 4 | 1.3 |
| ტორინ გრინი | 3 | 78 | 3/7 | 5/14 | 9/15 | 10 | 10 | 5 | 9 | 4 | 0 | 29 | 9.7 |
| ნიკა ცქიტიშვილი | 3 | 58 | 1/3 | 6/17 | 7/8 | 11 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 27 | 9.0 |
| თორნიკე შენგელია | 3 | 59 | 10/14 | 1/4 | 4/6 | 15 | 2 | 3 | 2 | 5 | 1 | 27 | 9.0 |
| ნიკა მეტრეველი | 1 | 6 | 3/4 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 6.0 |






ჭიდაობა ქართული



ადამ ოქრუაშვილი

## ყრილობა ჩოხოსნებისა...

ჭრიამულით და გამოცოცხლება იყო ასწლოვანი ხეების შუაგულში. გორის რაიონის სოფელ სკრაში ქართული ჭიდაობის ტიპური დახურული მოედანი გაიხსნა...

შიდა ქართლის გუბერნატორის **ზურაბ არსოშვილის** თაოსნობით უმოკლეს ხანში მოხერხდა ამ ახალი საჭიდაოს აგება.

430 ოჯახი ცხოვრობდა სკრაში და აქაურებს მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჰყავთ: **თემურ ხუბულური** და ანგარდაცვლილი **კობა კურტანიძე...**

ახალ საჭიდაოზე მრავალმა ქომაგმა მოიყარა თავი. ძიუდოში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** (1950-2008) და მსოფლიოს ჩემპიონის **კობა კურტანიძის** (1963-2005) მემორიალურ ტურნირზე ქართლისა და კახეთის საუკეთესო მოჭიდავეებმა იასპარეზეს. სხვათა შორის, შოთა და კობა ერთმანეთის დეიდაშვილები იყვნენ. სკრის მეზობელი სოფელია ღვლევი, სადაც დაიბადა და განისვენებს შოთა ჩოჩიშვილი.

ტურნირს ცნობილ ჩემპიონ-პრიზიორებთან ერთად ესწრებოდა სკრის მკვიდრი პირველი ქართველი მსოფლიოს (ორგზის) ჩემპიონი ძიუდოში თემურ ხუბულური.

სკრა ოდითგან ცნობილი იყო მოჭიდავე-ფალავნებით და აქ გამართული ქართული ჭიდაობით. რაზეც ორი საუკუნის წინანდელი ხალხური ლექსის ნაწყვეტიც მოგვითხრობს:

*„სკრაშია დიდი ყრილობა მუხლმაგარ ჩოხოსნებისა.*

*ატენელებიც აქა ვართ, აბა რაღა ვთქვა სხვებისა.*

*მოჭიდავეთა სოფელი, აქ სოფელს ეჯიბრებისა.*

*ფლაველნი ჩაფლავდებიან ეს არვის ეეჭვებისა".*

სხვათა შორის, ამ პირველ გაერთიანებულ მემორიალურ ტურნირზე ფლაველი მოჭიდავე **ნოდარ კუდუხაშვილი** სულაც არ ჩაფლავებულა. ის ძალიან ახლოს იყო ოქროს მედალთან (80 კგ). საბოლოოდ კი ბრინჯაოს დაეუფლა.

ჩემპიონ-პრიზიორებს საჩუქრები კობა კურტანიძის შვილებმა და შოთა ჩოჩიშვილის შვილიშვილებმა გადასცეს...

ქართული ჭიდაობის ფედერაციამ თასები, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციამ კი ფულადი ჯილდოები გამოყო რჩეულთათვის.. აბსოლუტურმა ჩემპიონმა დუშელმა **ადამ ოქრუაშვილმა** მაგალითად 600 ლარი მიითვალა.

**კვარცხლბეკი:**

**60 კგ:** 1. გიორგი ტაბატაძე (გორი), 2. ვანო დავითაშვილი (ახმეტა), 3. ვაჟა მარგველაშვილი (გორი).

**70 კგ:** 1. გიორგი მაზიაშვილი (სკრა), 2. ანზორ ხმიადაშვილი (ტირძნისი), 3. ანდრო ბერუაშვილი (ერედვი).

**80 კგ:** 1. ზვიად ბაზანდარაშვილი (კარალეთი), 2. გოჩა ხუციშვილი (თბილისი), 3. ნოდარ კუდუხაშვილი (ფლავი).

**90 კგ:** 1. პაატა ლვინიაშვილი (რუისი), 2. დავით კარბელაშვილი (გორი), 2. თედო აბელაშვილი (თბილისი).

**+90 კგ:** 1. ადამ ოქრუაშვილი (დუშეთი), 2. მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა), 3. პაატა ლვინიაშვილი (რუისი).

**აბსოლუტური:** 1. ადამ ოქრუაშვილი (დუშეთი), 2. ნიკოლოზ ბიბილაშვილი, 3. დავით კარბელაშვილი (ორივე — გორი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

სკრა

ავტორის ფოტო

სამი ერი



ჯო როკოთოკო

# ოლ ბლექსში ორი ცვლილებაა

შაბათს მელბურნში, ახალი ზელანდიის ნაკრები სამი ერის გათამაშების მორიგ შეხვედრაში ავსტრალიის ეროვნულ გუნდს სტუმრობს. „ოლ ბლექსმა" სტარტზე ორიდან ორივე შეხვედრაში დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი, სამი ერის შარშანდელი გათამაშების გამარჯვებული სამხრეთ აფრიკის ნაკრები და ახლა ავსტრალიასთან გამარჯვებით სერიოზულ განაცხადს გააკეთებს საუკეთესოს ტიტულის მოსაპოვებლად.

ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა. გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული გარემარბი **ჯო როკოთოკო.** ის **რენე რეინჯერს** შეცვლის, რომელსაც ველინგტონში ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა. რეინჯერმა სამხრეთ აფრიკასთან მატჩში ლელო გაიტანა, მაგრამ დაშავდა და თამაში არ შეუძლია.

ველინგტონში „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო ცხრა ნომერი **პირი ვიპუ,** რომელიც კვირას მამა გახდა. პირის ვარჯიშები გაუცდა და ამიტომ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს, მის ადგილს კი გამოჯანმრთელებული **ჯიმი ქოუანი** დაიკავებს.

*„ავსტრალიელებმა წლეულს შესანიშნავი გუნდის შექმნა შეძლეს და მათ დასამარცხებლად ჩვენი პოტენციალის მთლიანად გამოყენება დაგვჭირდება. სამი ერის გათამაშებაში ბრწყინვალე სტარტი გვქონდა, მაგრამ ამის გამო თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ"* - თქვა „ოლ ბლექსის" მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ.

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიაინა, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჯო როკოთოკო, 10. დენ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრანქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ტომ დონელი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი**

*16. კორი ფლინი, 17. ბენ ფრანქსი, 18. სემ ვაითლოქი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ კრადენი, 22. იზრაელ დაგი*

# ბარნსი შუამარბად, გიტო მგეზავად

ავსტრალიის ნაკრებმა სამი ერის გათამაშების პირველ, ბრისბენულ შეხვედრაში ბრწყინვალე სტილში მოუგო მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, სამხრეთ აფრიკის ნაკრებს და ახლა გამალებით ემზადება მორიგი მატჩისთვის, რომელიც მელბურნში ახალ ზელანდიასთან გაიმართება.

„ვოლაბების" მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა. აქედან ერთი იძულებითია. ბრისბენში განზრახ უხეშობისთვის შესანიშნავ ფორმაში მყოფი მგეზავი **ქუადე კუპერი** ორკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. დინსი იძულებული გახდა, მგეზავის პოზიციაზე დაებრუნებინა **მეთ გიტო,** რომელმაც ბოლო ოთხ მატჩში შუამარბად ითამაშა.

ამ პოზიციაზე კი, დინსის გადაწყვეტილებით, **ბერიკ ბარნსი** ითამაშებს. კუპერის ოვალურ სამყაროში გამოჩენამდე ავსტრალიის ნაკრებში მგეზავისა და შუამარბის, ანუ როგორც მე-12 ნომრად მოთამაშე მორაგბეს სხვაგვარად ეძახიან - შიდა სამმეოთხედელის წყვილს სწორედ გიტო-ბარნსი შეადგენდნენ. მათ ავსტრალიის ნაკრების ბოლო 33 ტესტიდან 15-ში ითამაშეს ერთად. ბოლოს კი, გიტო-ბარნსი შარშან, ნოემბერში ველინგტონში ახალი ზელანდიის ნაკრებს უქმნიდნენ პრობლემებს.

ასეა თუ ისე, დინსს სხვა გზა არ აქვს, თუმცა ავსტრალიელებისთვის ეს სათამაშო რგოლი პრობლემას არ წარმოადგენს. „ვოლაბების" აქილევსის ქუსლი საყოველთაოდაა ცნობილი - პირველი ხაზი. თუმცა გარკვეული სასიკეთო ცვლილებები აქაც შეინიშნება. ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა **სტივენ მური,** რომელსაც ნაკრებში რამდენიმე თამაში ყბის მოტეხილობის გამო გაუცდა. **საია ფაინგაამ** კი სათადარიგოთა საკამზე გადაინაცვლა.

სათადრიგოთა შორისაა მისი ძმაც გარემარბი **ენტონი ფაინგაა.** თუ გაუმართლათ და დინსმა ორივეს თამაშის საშუალება მისცა, ფაინგაანი ძმათა მეორმოცე წყვილი იქნება, ვისაც ავსტრალიის ნაკრებში მხარდამხარ უთამაშია.

ალსანიშნავია, რომ **ნათან შარპი,** რომელსაც დებიუტი რვა წლის წინ ავსტრალიის ნაკრებში სწორედ მელბურნში ჰქონდა, თავის 84-ე ტესტს გამართავს.

ავსტრალია: **15. ადამ ეშლი-კუპერი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. რობ ჰორნი, 12. ბერიკ ბარნსი, 11. დრიუ მიტჩელი, 10. მეთ გიტო, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. სტივენ მური, 3. სალესი მააფუ, 4. დენ მამი, 5. ნათან შარპი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. რიჩარდ ბრაუნი.**

*16. საია ფაინგაა, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. რობ საიმონსი, 19. მეთ ჰოჯსონი, 20. ლუკ ბარჯესი, 21. ენტონი ფაინგაა, 22. ქართლი ბეილი.*



ბერიკ ბარნსი

ამბები

# მალეტი მეოთხედფინალზე ოცნებობს

იტალიის ნაკრების სამხრეთაფრიკელი მწვრთნელი **ნიკ მალეტი** ყველანაირად ცდილობს, გუნდი ისე მოამზადოს, რომ პირველად იტალიური რაგბის ისტორიაში, „სკუადრა აძურამ" მსოფლიო თასის მეოთხედფინალში გააღწიოს.

მას შემდეგ, რაც ფრანგი **პიერ ბერბიზიეს** ნაცვლად, იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ნიკ მალეტი დაინიშნა, გუნდმა სერიოზული პროგრესი განიცადა - ბევრად უკეთ, მობილურად და საინტერესოდ ათამაშდა. შესაბამისად, ევროპის ექვსი ერის გათამაშებაში „სკუადრა აძურა" სულაც აღარ არის ადვილად „გასალახი".

ნიკ მალეტს დიდი იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები 2011 წლის მსოფლიო თასზე ღირსეულად ითამაშებენ და მეოთხედფინალში გასვლას შეძლებენ. შეგახსენებთ, რომ იტალიელთა მთავარი კონკურენტები C ჯგუფში ავსტრალიისა და ირლანდიის ნაკრებები იქნებიან. ამავე ჯგუფში იაპარეზებენ აშშ-სა და რუსეთის ეროვნული გუნდები, რომელთა დამარცხებაც, წესით, მალეტის სამწყსოსთვის ძნელი არ უნდა იყოს.

საინტერესოა, რას ემყარება იტალიელთა სამხრეთაფრიკელი თავკაცის ოპტიმიზმი.

*„სამი წელიწადია, „იტალიის ნაკრებში ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში კარგად გავიცანი მოთამაშეები, ზუსტად ვიცი მათი შესაძლებლობები.*

*კარგია, რომ იტალიის ორი უძლიერესი გუნდი „ბენეტონი" და „ვიადანა" კელტთა ლიგაში მიიღეს. იტალიელი მორაგბეები ბრიტანელებთან პაექრობაში ბევრ სასარგებლოს აითვისებენ, რის შედეგსაც რამდენიმე წელიწადში ვნახავთ.*

*შემოდგომაზე ეროვნულმა გუნდმა სამი ტესტ-მატჩი უნდა გამართოს. კარგი შანსი გვეძლევა, არგენტინასთან ივნისის ტესტებისას განცდილი მარცხის გამო რევანშის აღება ვცადოთ. ფიჯელებს კი, რომლებიც მსოფლიო რეიტინგში ერთი საფეხურით გვისწრებენ, აუცილებლად უნდა მოვუგოთ. ეს მსოფლიო თასზე წარმატების მიღწევის გზის დასაწყისი იქნება"* - თქვა ნიკ მალეტმა.

შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურა" 13 ნოემბერს ვერონაში არგენტინის ნაკრებს ეთამაშება. ერთი კვირის თავზე კი ფლორენციაში ავსტრალიას დაუხვდება. იტალიის ნაკრები შემოდგომის ტესტების ბოლო მატჩს მოდენაში 27 ნოემბერს ფიჯისთან გამართავს.



# შოტლანდიელებს პრობლემები მოეძალათ

2011 წლის მსოფლიო თასის ჯგუფურ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდიის ნაკრებს პრობლემები მოეძალა. ახლახან მხარი იტკინა და საოპერაციო შეიქნა „ნარშავების" მესამეხაზელი **ჯონ ბიტი,** რომელიც ექიმების ვერდიქტით ექვსი თვე ვერ ითამაშებს.

შოტლანდიელთა 24 წლის იმედი, რომელმაც წლეულს, ივნისის ტესტებზე არგენტინასთან მატჩში მე-14 კეპი მოიხვეჭა, ოპერაციას ედინბურგში გაიკეთებს. მას იმედი აქვს, რომ რეაბილიტაციას გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდება, ვიდრე ამას მკურნალები ნინასწარმეტყველებენ.

*„ექიმები ამბობენ, რომ სრული გამოჯანმრთელებისთვის ექვსი თვე დამჭირდება. ისინი ფრთხილობენ. თუ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, დარწმუნებული ვარ, რაგბის გაცილებით ადრე დავუბრუნდები"* - თქვა ბიტიმ

ასეა თუ ისე, ეჭვგარეშეა, რომ ბიტი ნოემბრის ტესტებზე გუნდს ვერაფრით დაეხმარება. ისიც საკითხავია, შეძლებს თუ არა გაზაფხულზე, ექვსი ერის გათამაშებისთვის ფორმის აღდგენას.

*„ჯონს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ. მის გარდა, ბევრ ჩვენს წამყვან მორაგბესაც აწუხებს ტრავმები. თუმცა ექიმები გვარწმუნებენ, რომ მალე მათი უმრავლესობა მწყობრში ჩადგება,"* - იმედოვნებს „გლაზგოსა" და შოტლანდიის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი **შონ ლინენი,** რომელიც ივნისში, ბუქარესტში გამართულ IRB-ს ერთა თასზე შოტლანდიის A ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

შეგახსენებთ, რომ შოტლანდიის ნაკრები ნოემბრის ტესტებზე სამხრეთ აფრიკის, ახალი ზელანდიისა და სამოას ეროვნულ გუნდებს დაუპირისპირდება.

## ბრიტანელ ლომებს განრიგი დაუდგინეს

„ბრიტანელი ლომები" 2013 წლის სამხრეთულ ტურნეს ჰონკონგში „ბარბაროსებთან" მატჩით დაიწყებენ. მერე კი ავსტრალიაში გადაბარგდებიან და იქ საერთო ჯამში ათ შეხვედრას გამართავენ. აქედან სამს ავსტრალიის ეროვნულ ნაკრებთან.

„ბრიტანელ ლომებს" უხელმძღვანელებს ირლანდიელი **ენდი ირვაინი,** რომელიც „ლომებს" სამხრეთაფრიკულ ტურნეში 1974 წელს ახლდა. ენდი ფულბეკი გახლდათ. წინასწარი გათვლებით, ტურნემ 7,8 მილიონი ამერიკული დოლარის მოგება უნდა მოიტანოს.

სავარაუდო შემადგენლობას ირვაინი წლეულს, დეკემბერში დაასახელებს. წინასწარი მონაცემებით, „ბრიტანელი ლომები" პირველ ტესტს ავსტრალიასთან 22 ივნისს ბრისბენში გამართავენ, მეორეს - ერთი კვირის თავზე მელბურნში, მესამე მატჩი კი 6 ივლისს სიდნეიში შედგება.

## ვაითი დაბრუნებას აპირებს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ირგვლივ ვითარება დღითი დღე იძაბება. ნაკრების მწვრთნელები და მოთამაშეები ყველანაირად ცდილობენ, არაფერი შეიმჩნიონ, მაგრამ ის, რომ, გუნდში საქმე კარგად ვერაა, გარეშეთათვისაც კი ცხადია.

ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ „ბოკეს" ყოფილმა მწვრთნელმა **ჯეიკ ვაითმა,** რომელმაც გუნდს 2007 წელს საფრანგეთში მსოფლიო თასი მოაგებინა, ნაკრების თავკაცად დაბრუნების სურვილი გამოთქვა.

ვაითი სამი ერის გათამაშებაში „ბოკეს" ზედიზედ სამმა მარცხმა და სრულიად უნიათო თამაშმა ალაშფოთა. თუმცა შეეცადა, კოლეგიალობა დაეცვა და თქვა, რომ მზადაა, ნაკრებში 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ დაბრუნდეს. სხვა საქმეა, როგორ გაიგებენ ამ გზავნილს სამხრეთ აფრიკის რაგბის მამები.



## ჯეისონ რობინსონი ბრუნდება

2003 წლის მსოფლიო თასის მფლობელი, ინგლისის ნაკრების ყოფილი გარემარბი **ჯეისონ რობინსონი** რაგბიში ბრუნდება. „პომების" ერთ-ერთმა ყველაზე ბრწყინვალედ მოკაშკაშე ვარსკვლავმა, რომელსაც მალე 36 წელი შეუსრულდება, ბუცები 2008 წელს შეინახა ვითომდა წარსულის სახსოვრად.

რობინსონმა თავისი კარიერა რაგბილიგაში დაიწყო და რაგბიში გადაბარგებული „ბასისა" და „სეილ შარქსის" ღირსებას იცავდა. მოგვიანებით ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა და, როგორც უკვე ვთქვით, მსოფლიო თასიც მოიპოვა.

ალსანიშნავია, რომ ჯეისონი ნაციონალურ ლიგაში მოასპარეზე „ფილდში" ითამაშებს, რომელსაც ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ბრაიან ეშტონი** წვრთნის.

*„ჯეისონს კარგად ვიცნობ. ნაკრებში მასთან საკმაო ხანს ვიმუშავე და ვიცი, რომ ის შესანიშნავი მორაგბე და, ადამიანია. ამას ყველა დაადასტურებს, ვინც კი მას იცნობს"* - თქვა ბრაიან ეშტონმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

კალათბურთი



# დიდი შაკი: დასასრული თუ დასასრულის დასაწყისი?

თითქოს დიდი ხანი არ არის გასული იმ პერიოდიდან, როცა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში **შაკილ ო'ნილი** ბატონობდა და ერთმანეთის მიყოლებით იგებდა ტიტულებს, საჩემპიონო ბეჭდებსა თუ ათასგვარ პრიზს. „დიდი არისტოტელე", „დიდი კაქტუსი", უბრალოდ „დიზელი" - ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენის სასურველი სტუმარი იყო. წლები მაინც თავისას შვრება და ასაკი ახსენებს შაკს, რომ პენსიაში გასვლის დრო მოვიდა.

გენერალურმა მენეჯერებმა, მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა რთული სატრანსფერო ზაფხული გადაიტანეს, მაგრამ ტრეიდები და ტრანსფერები ჯერ არ შეხებია ლიგის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ და ტიტულოვან კალათბურთელს. თავისუფალი აგენტების ბაზარმა გასული სეზონის შემდეგ მიიღო ო'ნილი, მაგრამ ჯერჯერობით მის გაშვებას არ აპირებს.

სატრანსფერო ფანჯრის გახსნიდან თითქმის ერთი თვე გავიდა. უკვე 65-მა თავისუფალმა აგენტმა მონახა ახალი კლუბი, მათ შორის 13-მა ცენტრმა. **დარკო მილიჩიჩი** და **იოჰან პეტროც**კი არ დარჩენილან უმუშევრები. ახალ გუნდებში მოეწყვნენ შაკის მსგავსი „ბებრები" - **რეტლიფი** და **ბეტი**... ხოლო მილიონობით გულშემატკივრის კერპი, 38 წლის შაკილ ო'ნილი ჯერაც „უმუშევართა" არმიას ეკუთვნის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კეთილი შაკი თავად არის დამნაშავე შექმნილ სიტუაციაში. თითქმის დადასტურებული ინფორმაციაა, რომ კალათბურთელი მზად არის კიდევ ორი წლით დარჩეს ლიგაში და ამის სანაცვლოდ 8 მილიონი დოლარი მიიღოს. ო'ნილი ჯანმრთელია და თავისუფლად შეუძლია მოედანზე 15-20 წუთი დაჰყოს, მაგრამ ორმოც წელს მიტანებული გიგანტი მხოლოდ გარკვეულ მომენტებში იქნება სასარგებლო, რადგან მთელ სეზონს უმაღლეს ან თუნდაც საშუალო დონეზე, ალბათ, ველარ ჩაატარებს. ის მონსტრი, რომელიც ათ წელზე მეტხანს „მეფობდა" ლიგაში, წარსულს ჩაჰბარდა.

*„ვერ წარმომიდგენია, რომელმა გუნდმა შეიძლება აიყვანოს შაკი"*, - განაცხადა აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთმა სკაუტმა და ხაზი გაუსვა შაკის დაბალ მარგი ქმედების კოეფიციენტს. მართლაც, თავიდან მსურველი მრავლად იყო, მაგრამ მალე დაიფანტნენ.

მაგალითად, შაკთან კონტაქტი ჰქონდა „დალასის" მფლობელ **მარკ ქიუბანს**, მაგრამ „დიზელის" მოთხოვნები გადამეტებული მოეჩვენა და ფული **ჰეივუდის** 6-წლიან კონტრაქტში (55 მილიონი) ჩადო, აგრეთვე **ჩენდლერი** და **მაინმი** დაიმატა.

*„მას შეუძლია ტიტულის პრეტენდენტ გუნდს დაეხმაროს. უბრალოდ, ჰეივუდის გაფორმების შემდეგ ჩვენთვის ეს ვარიანტი აქტუალური აღარ იყო"*, - აღნიშნა ქიუბანმა.

„ჰიუსტონს" სჭირდებოდა **იაო მინის** შემცვლელი, რომლის დაბრუნების ვადები ჯერაც დაუდგენელია, მაგრამ „როკეტსმა" არჩევანი ასევე ვეტერან, მაგრამ მხნე **ბრედ მილერზე** შეაჩერა, რომელიც დიდი ხანია ოცნებობდა რიკ ადელმანთან დაბრუნებაზე.

შაკი „მაიამიში" მოწყობასაც ცდილობდა, სადაც „ვარსკვლავი მეგობრები" შეიკრიბნენ, მაგრამ ახალწვეულებმა „ჰიტში" საკუთარი მეგობრების კანდიდატურები წარადგინეს და **პატ რაილიმ** ისინი დაამტკიცა. **ილგაუსკასმა** და **მაგლოირმა** უკვე მოაწერეს კონტრაქტებს ხელი და მშვიდად შეუძლიათ დაელოდონ სეზონის დაწყებას.

შაკილ ო'ნილის გარემოცვა ამტკიცებს, რომ ლეგენდარულ ცენტრს კიდევ ერთი ტიტულის მოპოვება სურს და არ მიდის ისეთ გუნდში, რომელსაც ახალ სეზონში ფავორიტის სტატუსი არ ექნება. ო'ნილს კარიერის მაჟორულ ნოტაზე დასრულება უნდა და ამიტომაც მეხუთე საჩემპიონო ბეჭედს უმიზნებს. თუმცა გუნდებისგან ჯერ ყურადღება ვერ დაიმსახურა.

შეიძლებოდა „ლეიკერსში" დაბრუნებაზე ფიქრი, მაგრამ იქ მას ღრმა რეზერვისტის როლი ექნებოდა გარანტირებული. მით უმეტეს, რომ 2004 წელს ამ გუნდიდან წასვლისას, შაკმა უკან დასაბრუნებელი გზა არ დაიტოვა.

ანალოგიური სიტუაციაა „ორლანდოსთან" დაკავშირებით. რა თქმა უნდა, შაკი კარგი მასწავლებელი იქნებოდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა **დუაიტ ჰოვარდისთვის**, მაგრამ „მეჯიქის" გულშემატკივრებს, ალბათ, არ დავიწყებიათ ის სიტყვები, რომელიც ო'ნილმა 1996 წელს კლუბის დატოვებისას თქვა - მან „ორლანდო" „დამშრალ წყაროს" შეადარა. ასე რომ, „ჯადოქრები" უკან აღარ მიიღებენ ყოფილ ლიდერს.

უნდა ითქვას, რომ რეალური ვარიანტი ძალიან ცოტაა. თუ ჩემპიონობის პრეტენდენტი გუნდების შანსებს ცალ-ცალკე განვიხილავთ, შაკი „სან ანტონიოშიც" არ სჭირდებათ, „დენვერში" მის გარეშეც მრავლად არიან არასტანდარტული პიროვნებები. ის ძალიან დიდია „იუტასთვის", ძალიან მომთხოვნი „პორტლენდისთვის" და მეტად სარისკო „ოკლაჰომასთვის".

ო'ნილი „კლივლენდში" დაბრუნებას თავად არ აპირებს - **ლებრონის** გარეშე მას იქ არაფერი ესაქმება, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდის ხელმძღვანელობა ისტერიულად იმუქრება - ტიტულს „მაიამიზე" ადრე მოვიპოვებთო. „კავალერები" ფავორიტებში აღარ წერიან.

რამდენჯერმე ამოტივტივდა „ბოსტონის" ვარიანტი, მაგრამ ამ მხრივ უფრო გაუმართლა შაკილის მოგვარეს, თანაც ჯერმეინ ო'ნილი უფრო ახალგაზრდა და მოქნილია. თუმცა ბოლო ჭორების მიხედვით, შაკი ყველაზე ახლოს მაინც „სელტიქსთანაა". თანაც ამბობენ, რომ ო'ნილი მაღალ ხელფასსაც აღარ ითხოვს (რაც არ უნდა მოითხოვოს, „სელტიქსში" ვეტერანის მინიმალურ ხელფასზე მეტს ვერ მიიღებს).

რაოდენ პესიმისტურიც უნდა იყოს შექმნილი სიტუაცია, ბევრს რატომღაც სჯერა, რომ მომავალ სეზონში შაკილ ო'ნილს მაინც ვიხილავთ მოედანზე. რა თქმა უნდა, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მას **ალენ აივერსონივით** გაუმართლებს, რომელმაც შარშან „მემფისში" სამმილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ უკვე ნახსენებ მინიმალურ ხელფასს მას ბევრი კლუბი გადაუხდის. მართალია, შარშანდელი სტატისტიკა (12 ქულა, 6.3 მოხსნა) ყველაზე უარესია ო'ნილის კარიერაში, მაგრამ „დიზელი" ჯერაც უქმნის სამწამიანში პრობლემებს კონკურენტებს.

გასულ სეზონში მან 29 მატჩი გამოტოვა თითის ტრავმის გამო, მაგრამ პლეი ოფის მატჩებისთვის დაბრუნდა და კეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა. „კლივლენდის" ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ მაშინ განაცხადა, რომ შაკი იმაზე უკეთ გამოიყურება, ვიდრე მთელი გასული სეზონის განმავლობაში.

მის წინააღმდეგ უკვე აღარ აყენებენ ორმაგ მეურვეობას, მის გარშემო აღარ იგება შეტევები, მაგრამ შაკილი ნებისმიერ გუნდში მაინც შესამჩნევი ფიგურაა. რაც უნდა იყოს, NBA-ის ოთხგზის ჩემპიონი სეზონში 41 ანშლაგის გარანტიაა იმ გუნდის საშინაო მატჩებზე, რომელიც მასზე გააკეთებს აქცენტს.

მაგრამ თუ „დიდი კაქტუსი" განსაკუთრებულ ზომას მიმართავს და **რაშიდ უოლასის** მსგავსად კარიერის დასრულებას გადაწყვეტს, მას NBA-ში გატარებულ 18 სეზონში ოთხი საჩემპიონო ბეჭედი ექნება, ფინალური სერიის MVP-ის სამი ტიტული და „ყველა ვარსკვლავის მატჩში" 15 მონაწილეობა. ის მეხუთე ადგილს იკავებს NBA-ის ყველაზე შედეგიან კალათბურთელებს შორის (28 255 ქულა), მეორეა თამაშიდან სროლების რეალიზაციის პროცენტით - 58.1. მოკლედ, კალათბურთის დიდების დარბაზში მას გარანტირებული აქვს ადგილი.

კარიერის ზენიტში შაკი იკვეხნიდა, რომ პენსიაში გაუშვა **ჰაკიმ ოლაჟუონი, პატრიკ იუინგი, დევიდ რობინსონი, რიკ სმიტსი, ალონზო მოურნინგი** და **ვლადე დივაცი**. ახლა თავად არის მოწმე, როგორ იკავებენ მის ადგილს ლიგის ახალგაზრდა ცენტრები.

„დიდი ოპტიმისტი" კვლავაც ახალი კონტრაქტის იმედადაა, მაგრამ, როგორც ჩანს, შორს არ არის „დიდ კაქტუსთან" გამოთხოვების ჟამი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კლივლენდმა სეშენსი გადაიბირა

**ლებრონ ჯეიმსისა** და კიდევ რამდენიმე წამყვანი კალათბურთელის გარეშე დარჩენილი „კლივლენდ კავალიერზი" შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობს. „კავალერებმა" გუშინ „მინესოტა ტიმბერვულვზთან" გაცვლა განახორციელეს, რომელშიც ოთხი მოთამაშე იყო ჩართული.

„კლივლენდმა" „მგლებისგან" გამთამაშებელი **რამონ სეშენსი** და ცენტრი **რაიან ჰოლინზი** მიიღო, მათ ნაცვლად კი **დელონტე უესტისა** და **სებასტიან ტელფეირის** დათმობამ მოუწია. გარდა ამისა, „კავალიერზს" ერგო 2013 წლის დრაფტის მეორე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევანი.

ჰოლინზი „კლივლენდში" ცენტრის პოზიციას გააძლიერებს, რადგან კლუბი ორი წამყვანი ცენტრის - **ჟიდრუნას ილგაუსკასისა** და **შაკილ ო'ნილის** გარეშე დარჩა.

გასულ სეზონში სეშენსის საშუალო მაჩვენებლები იყო - 8.2 ქულა, 3.1 შედეგიანი პასი და 2.6 მოხსნა. ჰოლინზის საშუალო სტატისტიკა 6.1 ქულასა და 2.8 მოხსნას შეადგენდა.

## პოლმა წასვლა გადაიფიქრა

**კრის პოლსა** და „ნიუ ორლეან ჰორნეტსს" შორის უთანხმოება მოგვარდა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი აღარ აპირებს სხვა გუნდში გადასვლას. როგორც იცით, პოლი უკმაყოფილებას გამოთქვამდა კლუბის სამომავლო გეგმების გამო, ამიტომაც ხელმძღვანელობას სხვა გუნდში დაუყოვნებლივ გაშვება მოსთხოვა.

გუშინ გაიმართა პოლისა და „ჰორნეტსის" შეფების შეხვედრა, რომელზეც კალათბურთელს აღარ მოუთხოვია ტრეიდი. როგორც „ნიუ ორლეანის" გენერალური მენეჯერი **დელ დემპსი** ამბობს, კრისი კმაყოფილი დარჩა კლუბის სამომავლო განვითარების გეგმებით და დარწმუნებულია, რომ პოლი მრავალი წლით დარჩება „ნიუ ორლეანში".

თავად კალათბურთელიც ოპტიმისტურად არის განწყობილი: *„შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა. მოხარული ვარ, რომ მთავარ მწვრთნელ უილიამსთან, პრეზიდენტ უებერთან და ახალ გენერალურ მენეჯერ დელ დემპსისთან შეხვედრის საშუალება მომეცა. მათ ჩემი საჩემპიონო ამბიციების შესახებ მოვახსენე, რის შემდეგაც კლუბის შემდგომი განვითარების სტრატეგია მოვისმინე. პროექტი მომეწონა. მთელი კარიერის განმავლობაში „ჰორნეტსის" რიგებში გამოვდივარ და იმედია, კიდევ მრავალი წელი მოვემსახურები ნიუ ორლეანსა და ლუიზიანის შტატს"*.

## მაკგრეიდი ჩიკაგოში?




**საინტერესო** ტრანსფერს გეგმავს „ჩიკაგო ბულზი". „ხარების" ხელმძღვანელობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო **ტრეისი მაკგრეიდის** გაფორმებაზე, ოღონდ ვეტერან ვარსკვლავს საკუთარ პირობებს უყენებს - კალათბურთელი იმ შემთხვევაში მოაწერს კონტრაქტს ხელს, თუ წარმატებით გაივლის სამედიცინო შემოწმებას და დათანხმდება სათადარიგო მოთამაშის როლს.

ტი-მაკს დღეს ელოდებიან ჩიკაგოში სამედიცინო შემოწმების გასავლელად.

ტრეისიმ ადრე განაცხადა, რომ „ჰიუსტონთან" და „ნიუ იორკთან" სარფიანი კონტრაქტების შემდეგ მისთვის ხელფასის ოდენობას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ საინტერესოა, რა რეაქცია ექნება მაკგრეიდის იმ შემთხვევაში, თუ „ჩიკაგო" არაგარანტირებულ კონტრაქტს შესთავაზებს. ჭორების მიხედვით, სწორედ ასეთი ნაბიჯის გადადგმას აპირებს „ბულზის" ხელმძღვანელობა.

## მარბერი ისევ ჩინეთში წავიდა

**არ** გამართლდა ჭორი ვეტერანი გამთამაშებლის **სტეფონ მარბერისა** და „მაიამი ჰიტის" სავარაუდო გარიგების შესახებ. 33 წლის კალათბურთელმა, რომელსაც რამდენიმე ევროპული კლუბიც იწვევდა, ჩინეთში თამაშის გაგრძელება გადაწყვიტა.

მარბერიმ ახალი კონტრაქტი გააფორმა ჩინეთის ლიგის ერთ-ერთ ლიდერ „შანსი ჩონგუსთან". სტეფონი ამ კლუბში შარშან გადავიდა მას შემდეგ, რაც უშედეგოდ სცადა NBA-ის რომელიმე გუნდთან კონტრაქტის გაფორმება.

შარშან ჩინეთის ჩემპიონატში ამერიკელი მცველი საშუალოდ 22.9 ქულასა და 9.5 მოხსნას აგროვებდა. ის აგრეთვე ჩინური „ოლ სტარის" ყველაზე სასარგებლო მოთამაშე გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# მუსულმანური სპორტის სირცხვილი




აზიის ყველაზე ცნობილი და წარმატებული ქალი სპრინტერი **რაკია ალგასრა** ორი წლით არის დისკვალიფიცირებული. 28 წლის ბაჰრეინელი სპორტსმენი 2011 წლის 16 სექტემბრამდე ვერ შეძლებს ტურნირებზე გამოსვლას. მძლეოსნობის საერთაშორისო ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ბაჰრეინელმა დადებითი დოპინგტესტი გასულ წელს ჩააბარა.

ანალიზმა ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის კვალი დაადასტურა, რის შემდეგაც მძლეოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ სპორტსმენს ორწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. მოქმედი წესების თანახმად, ალ გასრა 2012 წლის ოლიმპიადაზე ვერ შეძლებს გამოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ დისკვალიფიკაციას 2011 წლის შემოდგომაზე გასდის ვადა.

ალ გასრას დოპინგში გამოჭერა - მეტად ხმაურიანი სკანდალია. მასშტაბებით ის არ ჩამოუვარდება ბაჰრეინის მეორე ცნობილი წარმომადგენლის, **რაშიდ რამზის** სკანდალურ დისკვალიფიკაციას.

■ ■ ■

ამ წლის დასაწყისში საერთაშორისო ტურნირებს ჩამოაშორეს ქვეყნის ყველაზე ცნობილი სპორტსმენი რაშიდ რამზი. მან პეკინის ოლიმპიადაზე ბაჰრეინს ისტორიაში ოქროს პირველი მედალი მოუტანა - 1500 მეტრზე სირბილში. წარმოშობით მაროკოელმა რამზიმ 2002 წელს სპეციალურად შეიცვალა მოქალაქეობა საკუთარი სპორტული ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ახლა იძულებულია დააბრუნოს მედალი, თუმცა კვლავინდებურად უარყოფს დოპინგის მიღებას.

IAAF-მა რამზის დაუტოვა მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატზე 800 და 1500 მეტრზე მოპოვებული ოქროს მედლები, მაგრამ მისი სპორტული ღირსება საბოლოოდ დაზარალდა.

■ ■ ■

ალ გასრამ მუსლიმანურ სპორტში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. სპორტული კარიერის დასაწყისში კალათბურთელი იყო, მაგრამ 19 წლის ასაკში მიმართულება შეიცვალა - სწრაფი გოგონა მძლეოსნობაში გადავიდა. რამდენიმე ახალგაზრდული ტურნირის მოგების შემდეგ, მისმა მწვრთნელმა ქალთა მძლეოსნობის მხარდაჭერის სპეციალური პროგრამის პროპაგანდა დაიწყო. საქმე ისაა, რომ ბაჰრეინში გოგონებს მხოლოდ სპორტის გუნდურ სახეობებში გამოსვლის უფლება ჰქონდათ.

მძლეოსნის კარიერის გასაგრძელებლად რაკიას საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ წასვლამ მოუწია. ისლამის ფუნდამენტალისტური მიმართულების წარმომადგენლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ქალების მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მით უმეტეს, თუ ეს მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე ხდება. მათი რეაქციის შესარბილებლად სპორტსმენი სარბენ ბილიკზე „ჰიჯაბით" გადიოდა - სპეციალური კაპიუშონიანი კომბინეზონით, რომელიც თავად შექმნა.

მუსლიმანურმა პორტალმა Al Jazeera-მ რაშიდ რამზის დისკვალიფიკაციის კომენტარისას რაკია ალ გასრას მაგალითი მოიყვანა. კორესპონდენტმა მას „დიადი მისაბაძი მაგალითი" უწოდა. *„პატიოსანი, სტუმართმოყვარე და მოკრძალებული"*, - ეპითეტებს არ იშურებდა ჟურნალისტი. ამიტომაც გასაკვირი არ არის, მუსლიმანურ სამყაროში ამდენი მიმდევარი რომ ჰყავს. თუმცა თავად მორბენალმა ბედის ირონიით, მისაბაძ მაგალითად ამერიკელი **მერიონ ჯონსი** აირჩია, რომელიც ასევე დოპინგის მიღებაში იყო დადანაშაულებული.

2004 წელს ალ გასრამ გამოწვევა ესროლა ფუნდამენტალისტებს, როცა ათენის ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. მან საკვალიფიკაციო ეტაპზე შორს წასვლა ვერ შეძლო, მაგრამ ამან კიდევ უფრო წააქეზა ათლეტი.

თავის მეორე ოლიმპიადაზე რაკიამ 100 და 200 მეტრ დისტანციებზე მიიღო მონაწილეობა და „გრძელ სპრინტში" ნახევარფინალს მიაღწია. ის აგრეთვე თავისი ქვეყნის ნაკრების მედროშე იყო გახსნის ცერემონიაზე.

*„მას შეეძლო უფრო ჩქარა ერბინა,* - ამბობს მისი მწვრთნელი. - *მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მძლეოსნობაში გვიან მოვიდა და ჩვენ სხვებზე ორჯერ მეტი მუშაობა გვიწევს"*.

■ ■ ■

მაგრამ ახლა მუსლიმანურ სამყაროში ქალთა სპორტის მომავალი საფრთხის წინაშე დადგა. საერთო სურათს ამძიმებს მსოფლიო სპრინტის ცხოვრების სხვა სკანდალური ფაქტები: ივლისში ტურნირებიდან მოკვეთეს ქალთა სპრინტის ვარსკვლავი, იამაიკელი **შელი-ენ ფრეზერი**. 100 მეტრზე 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული აკრძალული პრეპარატის მიღებაში გამოიჭირეს, თუმცა სპრინტერი ყველა ბრალდებას უარყოფს.

ცეცხლზე ნავთი დაასხა სკანდალურმა კანადელმა სპრინტერმა **ბენ ჯონსონმა**, რომელსაც ყველანაირი ტიტული ჩამოართვეს დოპინგის გამოყენების გამო. ის სპრინტში თანამედროვე მიღწევების კომენტარით გამოვიდა.

1988 წელს მიღებული დისკვალიფიკაციის შემდეგ მან დოპინგის მიღება აღიარა და განაცხადა, რომ *„ჩემს დროს დოპინგის გარეშე მაღალ დონეზე გამოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო"*.

კანადელმა ამჯერადაც დაადასტურა თავისი სიტყვები და ახსნა, რომ მაღალ შედეგებს მძიმე შრომით მიაღწია, სტეროიდები კი ენერგიის სწრაფად აღდგენაში ეხმარება. რაც შეეხება დღევანდელი ლიდერების მიღწევებს, ჯონსონი კმაყოფილია თანამედროვე სპრინტით, თუმცა წარმოდგენა არ აქვს, როგორ ვარჯიშობს **უსაინ ბოლტი** და როგორ აჩვენებს ფანტასტიკურ წამებს.

ამასთან, სკანდალური სპორტსმენი აღნიშნავს, რომ *„ადამიანს შეუძლია ასი მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში გაირბინოს, ოღონდ რეგულარულად ეს შეუძლებელია - მხოლოდ ერთხელ სეზონში, ფორმის პიკზე"*.

ფორმულა 1

# ექლსტოუნი ფერარის მხარესაა

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** გამოეხმაურა გერმანიის გრან-პრიზე მომხდარ სკანდალს, რომელიც „ფერარის" გუნდურ ტაქტიკას უკავშირდება. ბრიტანელის აზრით, გუნდებს უფლება უნდა ჰქონდეთ, რაც სურთ, ის უბრძანონ რადიოთი საკუთარ პილოტებს.

ასეთი რეაქცია ჰქონდა ექლსტოუნს ჰოკენჰაიმში მომხდარ სკანდალზე, როცა „ფერარის" პილოტმა **ფელიპე მასამ** გუნდის ბრძანებით თანაგუნდელი **ფერნანდო ალონსო** გაატარა და განაღდებული გამარჯვება დაკარგა. გუნდური ტაქტიკის გამოყენებისთვის გერმანიის გრან-პრის სტიუარდებმა იტალიური გუნდი 100 ათასი დოლარით დააჯარიმეს. მიაჩნიათ, რომ რადგან „ფერარი" დამნაშავედ აღიარეს, სასჯელი მხოლოდ ჯარიმით არ შემოიფარგლება. „ფერარის" საქმეს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს საბჭოზე განიხილავენ და სწორედ აქ შეიძლება მოითხოვონ დამატებითი სანქციები.



ექლსტოუნი მსოფლიოს საბჭოს ერთ-ერთი წევრია, ამიტომაც არ აქვს უფლება, ვადაზე ადრე გაუკეთოს კომენტარი კონკრეტულ ინციდენტს. მიუხედავად ამისა, მან მთლიანად პრობლემაზე გამოთქვა საკუთარი მოსაზრება და დაეთანხმა ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტ **დევიდ ქულთარდს**, რომელიც გუნდური ტაქტიკის გაუქმების წინადადებით გამოვიდა.

*„უნდა ვაღიარო, რომ ვეთანხმები ყველას, ვინც ასე ფიქრობს,* - ამბობს ექლსტოუნი სააგენტო AP-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *ორი მრბოლელი აბსოლუტურად ერთნაირი მანქანით გამოდის, ერთნაირი კომბინეზონები აცვიათ... მოკლედ ეს არის ერთიანი გუნდი და ჩემი აზრით, რასაც ისინი საკუთარი საჯინიბოს შიგნით გადაწყვეტენ, მათი პირადი საქმეა"*.

თუ გავითვალისწინებთ ექლსტოუნის გავლენას, სავსებით სავარაუდოა, რომ რეგლამენტში შესაბამისი ცვლილება შეიტანონ.

*„რთული სათქმელია, რა მოხდება სხდომაზე. ჯერ საკითხი კარგად უნდა შევისწავლოთ,* - განაცხადა ბერნიმ. - *რამდენადაც მესმის, გუნდი მისმა ხელმძღვანელობამ ისე უნდა მართოს, როგორც მას სურს და არავინ უნდა ჩაერიოს ამ პროცესში. მათი დასჯა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათგან ტრასაზე რაიმე ხიფათი შეიქმნება"*.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2010**

**UNDER 19. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ინგლისი | 3:1 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 2:1 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**III საკვ. რაუნდი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ომონია-ზალცბურგი | 1:1 |
| დინამო (კ)-გენტი | 3:0 |
| ლიტექსი-ჟილინა | 1:1 |
| უნირეა-ზენიტი | 0:0 |
| სპარტა-ლეხი | 1:0 |
| ტნს-ანდერლეხტი | 1:3 |

**ევროპის ლიგა**

**III საკვ. რაუნდი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ცსკა (ს)-კლიფტონვილი | 3:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ბრანი-ლიდსი | 1:3 |
| კამბური-ერგტელისი | 1:1 |
| დენ ბოში-ჰერაკლესი | 0:0 |
| გრონინგენი-ვოლენდამი | 2:1 |
| ტვენტე-ხეტაფე | 1:2 |
| ლომელი-როდა | 2:2 |
| მალმიო-ფულჰემი | 0:0 |
| ნოიზიდლი-არსენალი | 0:4 |
| ვიტესი-მალიორკა | 1:2 |
| ვენლო-ჰელმონდი | 0:2 |
| დორდრეხტი-ტოპ ოსი | 0:0 |
| ჰამბურგი-მიუნხენი | 1:1 |
| რომა-ალ სადი | 2:1 |
| დანფერმლაინი-ჰართსი | 3:1 |
| ფორფარი-დანდი | 1:4 |
| პორტ ვეილი-აბერდინი | 0:1 |
| კემბრიჯი-კოლჩესტერი | 0:1 |
| დერბი-სტოკი | 1:0 |
| ლისბურნი-სტ. ჯონსტონი | 1:0 |
| რეითი-დანდი იუნ | 0:5 |
| სტევენეიჯი-უოტფორდი | 0:2 |
| უოლსოლი-ასტონ ვილა | 1:2 |
| იორკი-სკანთორფი | 1:0 |
| რედინგი-ვულვზი | 2:1 |
| ბენფიკა-სანდერლენდი | 2:0 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| შიმიცუ-სერეზო | 3:2 |
| ვეგალტა-ჰიროშიმა | 1:1 |
| კაშიმა-ნიიგატა | 2:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. გშტაადი**

| | |
|---|---|
| ა. ბეკი-ველოტი | 6:3, 6:1 |
| ჰანესკუ-**ხიმენო ტრავერო** | 4:6, 4:6 |
| ალმაგრო-გრანოლერსი | 7:6, 3:6, 6:3 |
| იუჟნი-კოროლიოვი | 6:2, 6:2 |
| გოლუბევი-**შჩუკინი** | 6:7, 6:2, 3:6 |
| შარდი-მატიო | 6:1, 6:3 |
| ნიემინენი-ალვეში | 6:4, 4:6, 6:3 |
| ბელუჩი-**ჩიუდინელი** | 6:7, 6:0, 4:6 |

**ATP. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| სვიტინგი-ვლიეგენი | 2:6, 6:3, 6:4 |
| ანდერსონი-მარჩენკო | 6:3, 6:2 |

**ATP. უმაგი**

| | |
|---|---|
| რობერი-პატიენსი | 6:3, 6:2 |
| კუევასი-ვანოცი | 6:4, 6:1 |
| ო. როხუსი-პეტცშნერი | 6:2, 6:3 |
| სეპი-მ. გონსალესი | 6:3, 3:6, 6:1 |
| ბოლელი-ვეიჩი | 7:6, 6:3 |
| ჰაიეკი-მელცერი | 6:4, 6:3 |
| სტარაჩე-სტახოვსკი | 6:3, 6:7, 6:0 |
| დოდიგი-ნავარო | 6:3, 6:4 |
| ფონინი-**ფაუ** | 1:6, 4:6 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| ვესნინა-იოვანოვსკი | 6:2, 6:0 |
| კირსტეა-ამანმურადოვა | 7:6, 6:3 |
| რიბარიკოვა-შრუფი | 6:3, 6:2 |
| პირონკოვა-მალეკი | 7:6, 6:2 |
| პავლიუჩკენკოვა-დომახოვსკა | 6:1, 6:0 |
| რაზანო-**მაკაროვა** | 2:6, 2:6 |
| კვიტოვა-სევასტოვა | 2:6, 6:0, 6:4 |
| როდიონოვა-ერაიდინი | 6:1, 6:3 |
| სკიავონე-კეოტავონგი | 6:2, 6:2 |
| ზაკოპალოვა-**ლაპუშჩენკ.** | 7:5, 2:6, 3:6 |
| ბალტაჩა-ბუიქუქჩაი | 7:5, 7:6 |
| გროტი-გრონეფელდი | 6:2, 6:1 |
| შნიდერი-**ლარსონი** | 4:6, 2:6 |

**WTA. სტენფორდი**

| | |
|---|---|
| ბარტოლი-ჰარკლროუდი | 6:1, 6:4 |
| ჩანგი-**მაკჰეილი** | 6:3, 0:6, 2:6 |
| პეერი-ჰანტუხოვა | 0:6, 6:4, 6:3 |

TV პროგრამა

**28 ივლისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-შტუტგარტი.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. პანათინაიკოსი-სტანდარდი.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა.
**12:00** ახალი ამბები.
**12:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-შალკე.
**14:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-კალიარი.
**15:55** ახალი ამბები.
**16:10** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვოლფსბურგი-რუბინი.
**18:35** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:40** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-ბორდო.
**20:35** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:50** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
**22:35** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:40** საფრანგეთის სუპერთასი. მარსელი-პსჟ (LIVE).
**01:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-მანჩესტერ იუნ.
**02:55** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ლივერპული-ლილი.
**04:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.

**EUROSPORT**

**10:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**15:15** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. I დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**16:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. საფრანგეთი.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. საფრანგეთი.
**18:20** ევროგოლი- საფეხბურთო მიმოხილვა.
**18:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. I დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**20:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**00:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღის მიმოხილვა.
**01:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. საფრანგეთი.
**02:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**03:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღის მიმოხილვა.

ჭადრაკი

# მაინც რუსეთში გაიმართება

მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი 2011 წელს რუსეთის ქალაქ ყაზანში გაიმართება - ასეთი დადგენილება გამოიტანა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭომ.

აზერბაიჯანთან ძველი მოლაპარაკების თანახმად, მომავალ ტურნირზე ერთ-ერთი მონაწილე იქნება ამ ქვეყნის დიდოსტატი **შაჰრიარ მამედიაროვი**. მის გარდა, რვა პრეტენდენტს შორის შედიან: **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი), **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია), **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი), **ლევონ არონიანი** (სომხეთი), **თეიმურაზ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი), **ბორის გელფანდი** (ისრაელი) და **გატა კამსკი** (აშშ). ტურნირის გამარჯვებული ტიტულისთვის მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **ვიშვანთან ანანდს** (ინდოეთი) შეხვდება.

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ბულგარელი დიდოსტატი ტოპალოვი არ აპირებს რუსეთში თამაშს და ტურნირის სხვა ტერიტორიაზე გადატანას ითხოვს. იმ შემთხვევაში, თუ ვესელინი არ ისურვებს ყაზანში ჩასვლას, მის ადგილს რუსი მოჭადრაკე **ალექსანდრ გრიშჩუკი** დაიკავებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემანუელას მეზობელი

სულ რაღაც ერთი წლის წინ ქვეყანაზე არ არსებობდა ვესლი სნეიდერზე უბედური ადამიანი. მობეზრებული ცოლი კატეგორიულად არ თანხმდებოდა გაყრას, მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობა თავს იტეხდა, სად გაეშვა ტანმორჩილი ჰოლანდიელი და თან რამდენიმე მილიონი ეშოვა. მშობლიურ ჰოლანდიაში მუდმივად წარუმატებელი თინეიჯერის სახელი ჰქონდა. დღისით სკოლაში მისი ნორჩი თანამემამულეები წერდნენ თემას სახელწოდებით - „რატომ არ მინდა ვიყო სნეიდერი!", საღამოობით კი მათი მამები და დედები სიცილით იხოცებოდნენ პატარა სნეიდერის შესახებ სამწუთიანი ვიდეორგოლის ყურებით - როგორ არ გამოსდის ფეხბურთელს ამსტერდამში პირდაპირ ბანკომატის წინ სექსი თავის გულის სწორთან. ეს კადრები ფარული ვიდეოკამერით იყო გადაღებული. მაგრამ გავიდა სულ რაღაც 12 თვე - წარუმატებელი ვესლი პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად იქცა. „ინტერმა", რომელშიც სნეიდერი გადავიდა, სეზონის ყველა პრიზი მოიგო, ჰოლანდიამ კი - მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, თანაც ვესლი ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ჩემპიონატის დასრულებისთანავე ვესლიმ ოფიციალურად იქორწინა სწორედ ბანკომატების იმ მოყვარულთან, ჰოლანდიის ნომერ პირველ სექსსიმბოლოსთან - იოლანტა კაბაუ ვან კასბერგენთან...

■ ■ ■

ვესლი სნეიდერი 26 წლის წინ უტრეხტში დაიბადა - ჰოლანდიური საზომითაც კი უცნაურ ქალაქში. შუა საუკუნეებში უტრეხტი ჰოლანდიაში კათოლიციზმის მთავარი ფორპოსტი იყო, თუმცა რეფორმაციის პერიოდში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ქალაქის კრებაზე ერთხმად გადაწყვიტეს პროტესტანტიზმზე გადასვლა. რომის პაპისთვის გაგზავნილ წერილში მათ ასე ახსნეს ეს საქციელი: *„ბოდიში, ეს მხოლოდ ბიზნესია!"* დროთა განმავლობაში, ეს ფრაზა უტრეხტის მცხოვრებთა ერთგვარ ლოზუნგად იქცა. ამ ფრაზით ამართლებდნენ ნაპოლეონის დროს კონტინენტალური ბლოკადის მუდმივ დარღვევას, კოლაბორაციონიზმს გერმანული ოკუპაციის დროს და მერიის გადაწყვეტილებას, რომლითაც უტრეხტი გახდა პირველი ქალაქი, სადაც ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინება დააკანონეს. ამ ყველაფრის გამო თანამედროვე ჰოლანდიაში სიტყვა - „უტრეხტელი" სალაძლავი გახდა - ასე უწოდებდნენ მხდალ ადამიანს ან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს. ამიტომაც, ვესლის არ უყვარს, როცა უტრეხტში გატარებული ბავშვობის წლების შესახებ ეკითხებიან. საინტერესოა, რომ თავის დროზე, ზუსტად ასეთივე პრობლემები ჰქონდა ვესლის ორ სახელგანთქმულ თანაქალაქელს - **მარკო ვან ბასტენს** (ყოფილი სუპერფორვარდისა და ვესლის სახლები ერთ კვარტალში მდებარეობს) და **სილვია კრისტელს** - 70-იანი წლების ევროპის მთავარ სექსსიმბოლოს. **ემანუელას** როლის შემსრულებელი ვესლის სახლის მოპირდაპირე ქუჩაზე დაიბადა და ჩვენი გმირის ოთახში მისი პოსტერების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, შესანიშნავი მეზობელი ბავშვობაში ვესლისთვის ქალის იდეალი იყო.

მეგობარ გოგონებსაც სილვიას თარგზე არჩევდა - გრძელი ფეხები, მწვანე თვალები და აუცილებლად მასზე მაღალი, თუმცა ჰოლანდიელის სიმაღლის გათვალისწინებით, ეს პრობლემა არ იყო.

■ ■ ■

თავისი მაღალი მამისა და ძმების ფონზე სნეიდერი დღემდე „ლილიპუტად" მოჩანს. აიაქსის" აკადემიაში სწავლისას მას სიმაღლის მოსამატებელი სპეციალური კურსების გავლამ მოუწია, მაგრამ 170 სანტიმეტრს ვერ გადააჭარბა. სწორედ სიდაბლის გამო ვესლის ბავშვობაში ბევრი რთული მომენტის გადატანა მოუხდა, რადგან თანატოლები „ცეროდენას" ეძახდნენ. იმ პერიოდში ბიჭს ისტორიისადმი ინტერესი გაუჩნდა, ოღონდ ერთი კონკრეტული მიმართულებით - ვესლი იმ პიროვნებებზე კითხულობდა წიგნებს, რომლებიც მასავით დაბლები იყვნენ. მაშინ გაუჩნდა პირველი კერპი - იმპერატორი **ნაპოლეონი**. როცა მორიგმა სიმპათიურმა გოგონამ (ულამაზოებს ყურადღებას არ აქცევდა) უარი უთხრა პაემანზე სიტყვებით: *„ჯერ გაიზარდე!"* - განაწყენებულმა სნეიდერმა წამოიძახა: *„რატომ უნდა გავიზარდო, თუ ნაპოლეონზე ცხრა სანტიმეტრით მაღალი ვარ!"* დამწყებ პლეიბოიზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ნაპოლეონისა და **ჟოზეფინას** სასიყვარულო მიმოწერამ. იმპერატორის ზოგიერთი ფრაზა ისე ჩაებეჭდა გონებაში, რომ მიზანში ამოღებულ გოგონებს ნაპოლეონის წერილებიდან ნაწყვეტებს უგზავნიდა. პირველმა რვა ადრესატმა არ დააფასა 15 წლის თინეიჯერის მონდომება...

■ ■ ■

მაგრამ რიგით მეცხრე დიდი რომანტიკოსი აღმოჩნდა და მოულოდნელად დათანხმდა ვესლისთან შეხვერას. ასე შემოვიდა მის ცხოვრებაში **რამონა სტრიქსტრა**, რომელიც გახდა ფეხბურთელის პირველი ცოლი და ვაჟის დედა. რამონა საერთოდ არ შეესაბამებოდა სნეიდერის სილამაზის ეტალონს - ოდნავ მსუქანი ქერათმიანი ქალია, თანაც მთელი ორი სანტიმეტრით დაბალი. მაგრამ ვესლიმ მაინც დაიწყო მასთან შეხვედრა და მოგვიანებით იქორწინა კიდეც.

თუმცა ვესლიმ ცოლს ჯერ კიდევ თაფლობის თვეში უღალატა. მით უმეტეს, რომ შესაფერისი ვარიანტი გაჩნდა: ფეხბურთელი მოხიბლა სპორტულ სამყაროში ყველაზე გრძელი ფეხების მფლობელმა - სლოვაკმა **დანიელმა ჰანტუხოვამ**, რომელიც ერთი წლით უფროსი და 15 სანტიმეტრით მაღალია ფეხბურთელზე.

იმ დროს, კერძოდ კი 2003 წელს, სნეიდერი მხოლოდ და მხოლოდ „აიაქსის" იმედის მომცემი ფეხბურთელი იყო, მისი მეგობარი კი მსოფლიოს ჩოგბურთის მეორე სექსსიმბოლო გახლდათ. თავისი ფანტასტიკური და გრძელი ფეხების (122 სმ) წყალობით, ის ათჯერ მეტ ფულს შოულობდა, ვიდრე „ლილიპუტი" ჰოლანდიელი, ამიტომაც მდიდარი მთხოვნელიც მრავლად ჰყავდა. მაგრამ დანიელამ ყველას ამსტერდამელი ბიჭუნა ამჯობინა. ეს იყო სიყვარული ლონდონსა (სადაც მუდმივად ვარჯიშობდა ჰანტუხოვა) და ამსტერდამს (სადაც ფეხბურთელი თამაშობდა) შორის. ამ რომანის გამო, რომელიც ორი წელი გაგრძელდა, ჩოგბურთელმა ხუთი კილოგრამი დაკარგა და ცარიელი ძვალი და ტყავი დარჩა. ჟურნალისტები ვერ მიხვდნენ, რატომ დასუსტდა ქალთა პროფესიული ტურის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ჩოგბურთელი და რატომ აგებდა ზედიზედ მატჩებს. ამასობაში, სნეიდერი ნამდვილი ენერგოვამპირივით მოქმედებდა. რაც უფრო ცუდად მიდიოდა დანიელას საქმეები, მით უფრო წინ მიდიოდა სნეიდერის კარიერა. საინტერესოა, რომ ამ ყველაფერთან ერთად, ვესლის არ ავიწყდებოდა ქმრის მოვალეობების შესრულება, რომლის გვირგვინი გახდა 2005 წელს ვაჟის - **ჯესის** დაბადება. ბოლოს და ბოლოს, ჩოგბურთელის მენეჯერებს მოჰბეზრდათ ეს მაზოხისტური შოუ და აიძულეს ჰანტუხოვა ოკეანის მეორე მხარეს - მაიამიში გადასულიყო.

სნეიდერს დიდხანს არ უნაღვლია და უკვე სამი კვირის შემდეგ ახალი რომანი გააჩალა კიდევ ერთ ჩოგბურთელ **მიხაელა კრაიჩეკთან**. შემდეგ კი მადრიდში „რეალთან" კონტრაქტის გასაფორმებლად მიმავალმა, ულამაზესი გოგონა გაიცნო, სახელად იოლანტა და უკვე ხუთი წუთის შემდეგ მასზე დაქორწინება გადაწყვიტა.

■ ■ ■

წარმოშობით არისტოკრატი იოლანტა კაბაუ ვან კასბერგენი მალიორკაში, ერთ-ერთ ცნობილ ესპანურ ოჯახში დაიბადა. ჯერჯერობით გაუგებარია, ასეთმა ლამაზმა და თითქმის იდეალური პროპორციების (91-62-92) გოგონამ რატომ ვერ მოიკიდა ფეხი ესპანურ შოუბიზნესში. სამაგიეროდ, თავისი დედის სამშობლოში - ჰოლანდიაში პირველივე დღეებიდან მოახდინა ფურორი. ხოლო მას შემდეგ, რაც ადგილობრივ მომღერალ **იან სმიტთან** დაიწყო შეხვედრა, იოლანტა საკულტო ფიგურად იქცა, რომელმაც თავიდანვე უარყო ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის ყურადღება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ დროს სნეიდერი დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა არც თავის ქვეყანაში და არც კლუბში.

ვესლის უკან დახევა არც უფიქრია და მეთოდურად დაიწყო ციხესიმაგრის აღება. რთული სათქმელია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მისთვის „დახმარება" თავად სმიტს რომ არ გაეწია, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, ხოლო ფხიზელ მდგომარეობაში ეჭვიანობის სცენებს უმართავდა მეგობარს და პროფილაქტიკისთვის სცემდა კიდეც მას. მაგრამ ერთხელ ძალები ვერ გათვალა და იოლანტას სახე დაუზიანა - ის ადგილი, რომლითაც გოგონა ფულს შოულობდა. ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა და კაბაუ შეყვარებულს გაექცა. იმ მომენტში, როცა სმიტის ამსტერდამულ ვილას ტოვებდა, მას სნეიდერმა დაურეკა და კომპლიმენტებით აავსო. გოგონას იმ მომენტში არჩევანის საშუალება არ ჰქონდა, ვესლის ლაპარაკი შეაწყვეტინა და ყურმილში ჩასძახა: *„იანს უნდა დავემალო! მიშველე!"* და სნეიდერი პირველივე რეისით ჩავიდა ამსტერდამში და იოლანტა საკუთარ ბინაში დამალა, შემდეგ კი მადრიდში ისე დაბრუნდა, რომ ამ სამსახურის სანაცვლოდ გოგონასთვის არაფერი უთხოვია.

ასე დაიწყო მათი რომანი, რომელმაც ბევრ პრობლემას გაუძლო - სმიტის ეჭვიანობას, ბანკომატის ისტორიასა თუ მისის სნეიდერთან სკანდალურ სასამართლო გარჩევებს. საიდუმლო არ არის, რომ ვესლი არ აპირებდა მადრიდის დატოვებას და მზად იყო მთელი წელი „რეალის" სათადარიგოთა სკამზე გაეტარებინა. და მხოლოდ იოლანტამ დაარწმუნა ფეხბურთელი იტალიაში გამგზავრებაზე. მოკლედ, ამ ტრანსფერით ყველა მოგებული დარჩა: სნეიდერმა, როგორც იქნა იპოვა კლუბი, სადაც მისი ნიჭი საბოლოოდ გაიხსნა, იოლანტა კი ტოპმოდელი და სახელგანთქმული ველორბოლის - „ჯირო დ'იტალიას" სახე გახდა, თუმცა ცხოვრებაში არ მჯდარა ველოსიპედზე.

ამა წლის გაზაფხულზე მათ ნიშნობა ჰქონდათ - ვესლიმ გოგონას ხელი პირდაპირ თვითმფრინავში სთხოვა, როცა ბარსელონადან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ისტორიული გამარჯვების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ. იქვე გადაწყვიტეს ქორწილის ივლისში გადახდა.

საზეიმო ცერემონია იტალიის ერთ-ერთ რომანტიკულ ადგილას - შუა საუკუნეების სიენაში გაიმართა. პატარძალს **ვერა ვონგის** კაბა და უქუსლო ფეხსაცმელები ეცვა, რათა ნაკლებად გამოჩენილიყო ქმართან ათსანტიმეტრიანი განსხვავება. როცა ცნობილმა ფეხბურთელმა **პატრიკ კლუივერტმა** შოუს დროს სასიძოს უთხრა: *„ვესლი, იმედია ამის შემდეგ დამშვიდდები, რადგან მთელი სამყარო შენს ხელშია!"*, ამაზე ბედნიერმა სნეიდერმა ნაპოლეონის სტილში უპასუხა: *„ჩემთვის მთელი სამყაროც ცოტაა!"*



**გია თვალაბეიშვილი**